საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის მიერ ადამიანის უფლებების საკითხებზე ორგანიზებული ტრენინგი

პროფესორი
ჯიმ მერდოკი

2016 წლის
ივლისი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის მიერ ადამიანის უფლებების საკითხებზე ორგანიზებული ტრენინგი

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

კურიკულუმი მომზადდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის (HRTF) მიერ დაფინანსებული პროექტის “სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის გაუმჯობესება საქართველოში“ ფარგლებში. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოზიციას. დაუშვებელია ანგარიშის რომელიმე ნაწილის გამრავლება ან გამოყენება ევროპის საბჭოს წერილობითი ნებართვის გარეშე.

www.coe.int

ევროპის საბჭო, ივლისი 2016

კურიკულუმი დაკაბადონდა და დაიბეჭდა „ვესტა“- ში

სარჩევი

1. შესავალი 5
2. ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი ტრენინგების ჩატარების სტრატეგია და მეთოდოლოგია: ზოგადი კომენტარები 6
3. შემოთავაზებული კურიკულუმი 10
3.1 „ტრენერთა ტრენინგი“: ტრენინგ კურსი ტრენინგების ჩატარებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელეებისთვის სწავლების მეთოდოლოგიის საფუძველებზე.....10
3.2 სოციალური უფლებები როგორც „ადამიანის უფლებები“: სახელმწიფო მოხელეების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული სასწავლო კურსი 17
3.3 შესავალი კურსი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისადმი: სახელმწიფო მოხელეების ცნობიერების ამაღლება 26
3.4 ტრენინგი ჟურნალისტებისთვის: შესავალი ტრენინგი გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის საკითხებზე 31
3.5 შეუწყნარებლობასთან ბრძოლა თანასწორობის ხელშეწყობის გზით: შესავალი კურსი სახელმწიფო მოხელეებისთვის 36
3.6 საჯარო მოხელეების მხრიდან არასათანადო მოპყრობის რისკის აღმოფხვრა: კურსი საჯარო მოხელეებისთვის, რომლებიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს წარმომადგენლები არიან 44
3.7 საჯარო მოხელეების მხრიდან არასათანადო მოპყრობის რისკის აღმოფხვრა: კურსი საჯარო მოხელეებისთვის, რომლებიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს წარმომადგენლები არიან 48
3.8 ადამიანის უფლებები და სამხედრო ძალის გამოყენება: ტრენინგი სამხედრო პერსონალისა და საჯარო მოხელეებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან შეიარაღებული კონფლიქტების მართვაზე 51
3.9 ქალთა უფლებები ეროვნულ კონტექსტში: შესავალი კურის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აღსრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელეებისთვის 55

1. შესავალი

1.1 წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის საქმიანობის გაუმჯობესება“. წინამდებარე ანგარიში მომზადდა 2015 წელს შემუშავებულ საჭიროებების შეფასების ანგარიშის შედეგებზე დაყრდნობით.

1.2 ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულია ადამიანის უფლებების საკითხებზე ტრენინგების ჩატარების საჭიროება, რათა უზრუნველყოფილი იქნას საჯარო მომსახურების მიწოდებისას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ასპექტების უკეთ გათვალისწინება. მოცემულ სფეროში ტრენინგების ჩატარება შესაბამისობაშია საერთაშორისო პრაქტიკასთან. გაერთიანებული ერებისორგანიზაციის შესაბამისად ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების დამცველი ინსტიტუტების ჩამოყალიბება კომისიების, კომიტეტების, სახალხო დამცველის ოფისების ან მსგავსი ფორმით, ხელს უწყობს სახელმწიფოების მიერ დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულებების უფრო ეფექტურად შესრულებას[1]. გაერთიანებული ერების მიერ 1993 წელს მიღებული „პარიზის პრინციპების“ მიხედვით ასეთ ინსტიტუტებს ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის ფუნქცია გააჩნიათ.

1.3 წინამდებარე ანგარიშის მიზანია ადამიანის უფლებათა დამცველი ეროვნული ინსტიტუტების ან მსგავსი ინსტიტუტების პერსონალისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე საბაზისო ტრენინგების ჩატარებასთან დაკავშირებით საბაზისო კურიკულუმების შეთავაზება. შემოთავაზებული ტრენინგები საბაზისო ტრენინგებია, და მიმართულია ძირითად საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით საფუძვლიანი ცოდნის გადაცემაზე და ამ საკითხების უკეთ გააზრების ხელშეწყობაზე. გარდა ამისა, ზემოთხსენებული კატეგორიის სახელმწიფო მოხელეებს შეიძლება კონკრეტულ სფეროებში უნარების განვითარებაზე მიმართული ტრენინგები ჩაუტარდეთ (საბაზისო ტრენინგების ჩატარების ტექნიკები; თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსებულ პირებთან გასაუბრებისა და მათდამი მოპყრობაზე მონიტორინგის უნარები და ტექნიკები; დისკრიმინაციის შემთხვევების გა-მოძიება, მედიაციის ტექნიკები, ადვოკატირებისა და ზეპირ და წერილობით ფორმაში პრეზენტაციის უნარები). აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ანგარიშში არ არის ასახული ამ კონკრეტული უნარების განვითარებაზე მიმართულ ტრენინგებთან დაკავშირებული ასპექტები, არამედ ანგარიშში საუბარია ადამიანის უფლებების, თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე მიმართულ ძირითად ასპექტებთან დაკავშირებული ტრენინგების შესაძლებელ კურიკულუმზე.

1. ‘ადამიანის უფლებათა დამცველი ეროვნული ინსტიტუტების სტატუსთან დაკავშირებული პრინციპები“, გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 48/134, 1993 წლის 20 დეკემბერი, UN Doc A/ RES/48/134. ასევე იხილეთ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R (97) 14 ადამიანის უფლებათა დამცველი ეროვნული დამოუკიდებელი ინსტიტუტების შექმნის შესახებ.

NOTES

2. ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი ტრენინგების ჩატარების სტრატეგია და მეთოდოლოგია: ზოგადი კომენტარები

2.1 ***შესავალი***
ტრენინგის დიზაინისადმი თანმიმდევრული მიდგომა და ნათელი მეთოდოლოგიის შემუშავებაა საჭირო. გარდა ამისა, აუცილებელია სასწავლო კურსის დიზაინის სტანდარტიზაცია. დაგეგმვისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება ასევე ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფას და სასწავლო კურსთან დაკავშირებული წინადადებების შიდა მონიტორინგის სქემის გაუმჯობესებას. სწავლება არ უნდა იყოს დაუგეგმავი ან არათანმიმდევრული. შიდა დონეზე თანმიმდევრული მიდგომა ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე სწავლებისადმი ერთგვაროვანი მიდგომების შემუშავებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც ტრენინგის გარეშე ორგანიზაციებისთვის ჩატარება გახდება საჭირო, და იმავდროულად, აუცილებელია ასეთი ორგანიზაციების საჭიროებების სწორად გააზრება.

2.2 ***საკვანძო აქტივობა 1:*** შემოთავაზებული სასწავლო კურსების შიდა შეფასების მეთოდები სასწავლო კურსის დაგეგმვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების ნათლად განსაზღვრისთვის საჭიროა „შიდა დამტკიცების პროცესის“ დამკვიდრება. ასეთი საკვანძო საკითხები შეეხება არა მხოლოდ მეთოდოლოგიას, არამედ ასევე რესურსების გამოყენებას, პასუხისმგებლობების განაწილებას და რესურსების განსაზღვრას. სწავლება საკმაო დანახარჯებთანაა დაკავშირებული, და ეს გულისხმობს, რომ იმ ორგანიზაციას, სადაც გარკვეული ტრენინგები მიმდინარეობს, დაკავებული პერსონალის რესურსის სხვა მიზნებით გამოყენების საშუალება ეზღუდება (გამოუყენებელ შესაძლებლობებთან დაკავშირებული დანახარჯები). მეორეს მხრივ, სწავლების შედეგად პერსონალის საქმიანობის მაჩვენებლები უნდა გაუმჯობესდეს. სწავლების სარგებლის მაქსიმალიზაციის მიზნით, საჭიროა სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა და სწავლებასთან დაკავშირებული წინადადებების წინასწარი დამტკიცების მექანიზმების დანერგვა.

2.3 „შიდა წინასწარი დამტკიცების მექანიზმის“ მრავალი მოდელი არსებობს. იდეა საკმაოდ ნათელია: ტრენინგების ჩატარებაზე პასუხისმგებელმა პირებმა არსებული პრობლემების და საჭიროებების წინასწარ განსაზღვრული ჩამონათვალის გათვალისწინებით უნდა იმოქმედონ. ოქსფორდის უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრი შემდეგ მიდგომებს იყენებს:

1. მიზანი

- ► რატომ არის საჭირო ტრენინგი?
- ► როგორ იქნა იდენტიფიცირებული ეს საჭიროება?
  ვინ განახორციელა მოცემული საჭიროების იდენტიფიცირება?
- ► ვინ არის სამიზნე აუდიტორია?
- ► რა მიზანს (მიზნებს) ისახავს ტრენინგი?

NOTES

.....

.....

.....

.....

2 კურსის მონახაზი

- ► რამდენი სასწავლო საათისგან შედგება კურსი? (ანუ, საათების რაოდენობა, რომელიც კურსის გავლისთვისაა საჭირო, მათ შორის საკონტაქტო საათები)
- ► რამდენი საკონტაქტო საათისგან შედგება კურსი (ანუ, თავად ტრენინგზე გატარებული საათების რაოდენობა)
- ► ტრენინგამდე რა აქტივობებია დაგეგმილი? (მაგ. ტრენინგისთვის მოსამზადებლად წასაკითხი მასალა)
- ► რა მოიაზრება საკონტაქტო საათებად?

3. სწავლებისგან მოსალოდნელი შედეგები. შემდგომში - (ILO)

- ► ნათლად არის ჩამოყალიბებული ILO? (მაგ. „სასწავლო კურსის ბოლოსთვის მონაწილეები შეძლებენ ...')
- ► სწავლებისგან მოსალოდნელი შედეგები განხილული იქნა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან?
- ► სწავლებისგან მოსალოდნელი შედეგები განხილული იქნა ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან?

4. კურსის შინაარსი

- ► რას მოიცავს სასწავლო კურსის ყოველი ელემენტი?
- ► არის იმის მცდელობა, რომ უზრუნველყოფილი იქნას შერჩეული სწავლების მეთოდების შესაბამისობა სხვადასხვა ILO-თან?

5. შეფასება

- ► როგორ განხორციელდება ყოველი ILO-ს შეფასება, რათა დადგინდეს, რომ ტრენინგის მონაწილემ სწავლების მოსალოდნელ შედეგს მიაღწია?
- ► როგორ იქნება აღმოფხვრილი სწავლების პროცესში არსებული ხარვეზები? (ანუ, იქნება დათმობილი დამატებითი დრო იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსალოდნელი შედეგი მიღწეული იქნება?)

6. მართვა

- ► ვინ იქნება პასუხისმგებელი იმის უზრუნველყოფაზე, რომ სასწავლო კურსი ჩატარდება?
- ► ტრენერები შეიტანენ რაიმე წვლილს კურსის დიზაინის განსაზღვრაში?
- ► ბიუჯეტი შედგენილია?

7. ადმინისტრირება

- ► რა ლოჯისტიკური საკითხებია გადასაწყვეტი (ოთახის დაჯავშნა, კვება, ხარჯების დაფარვა და სხვა)
- ► ვინ იქნება პასუხისმგებელი ყოველ ამ საკითხზე?

8. ხარისხის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება

- ► როგორ გამოვლინდება ტრენინგის მონაწილეების აზრი სწავლების ხარიხის თაობაზე?
- ► როგორ განხორციელდება ტრენერთა მოსაზრებების გამოვლენა?
- ► როგორ მოხდება გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირება და ამ ასპექტების გათვალისწინება მომავალ ტრენინგებში?

.....

.....

.....

.....

საკონტროლო ჩამონათვალის გამოყენება ხელს უწყობს ტრენერების მიერ შესაბამისი საკითხების უფრო უკეთ გააზრებას და გათვალისწინებას. იგი ასევე საშუალებას აძლევს სხვა ტრენერებს (ლექტორებს, მასწავლებლებს და სხვა) უკეთ გაიგონ ტრენინგის მიზანი და დიზაინი (ან მეთოდოლოგია).

ქვემოთ შემოთავაზებულ კურიკულუმში ასახულია ტრენინგის მიზნები, ტრენინგისგან მოსალოდნელი შედეგები (ILO), სასწავლო კურსის შინაარსი და შეფასების სტრატეგიები. აღსანიშნავია, რომ მოცემული კურიკულუმი მხოლოდ სავარაუდო კურიკულუმია და იგი გადასინჯული უნდა იქნას შესაბამისი დაგეგმვის პროცესში.

2.4 *საკვანძო აქტივობა 2:* ტრენინგის დაგეგმვისა და ჩატარების მეთოდოლოგიის გამოყენება.

ტრენინგთან დაკავშირებული წინადადებების შეფასების შიდა პროცესის გარდა, საჭიროა სასწავლო კურსის დაგეგმვასთან დაკავშირებული სტანდარტული მეთოდოლოგიის ზედმიწევნით დაცვა. ტრენერებმა უბრალოდ წინასწარ განსაზღვრულ სილაბუსს კი არ უნდა მისდიონ, არამედ მათ სასწავლო კურსი უნდა გაითავისონ, რისთვისაც საჭიროა სასწავლო კურსის მეთოდოლოგიის სათანადოდ გაცნობიერება და შემოთავაზებული კურსის მონახაზის ადაპტირება.

2.5 *ევროპის საბჭოს პროგრამა HELP*

HELP-ის სახელმძღვანელოში შემოთავაზებული მეთოდოლოგია ხუთ მკაფიო ეტაპს, ან ნაბიჯს ითვალისწინებს:

1. ჩამოაყალიბეთ რისი მიღწევა გსურთ როგორც ტრენერს, და ჩამოწერეთ თქვენი მოსაზრებები პირველ რიგში როგორც „მიზნები“, ხოლო შემდეგ კი როგორც „სწავლების მოსალოდნელი შედეგები“.
2. მიაწოდეთ ინფორმაცია მიზნებისა და სწავლების მოსალოდნელი შედეგების თაობაზე დანარჩენ ტრენერებს და კურსის მონაწილეებს.
3. განსაზღვრეთ, თუ რა გზითაა შესაძლებელი სწავლების ყოველი მოსალოდნელი შედეგის წარმატებით მიღწევის შეფასება.
4. შეარჩიეთ ინფორმაციის მიწოდების ყველაზე შესაფერისი მეთოდი, ანუ შეარჩიეთ სასწავლო კურსის დიზაინი, რომელიც ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნება დასახული შედეგების მისაღწევად.
5. შეაფასეთ, თუ რამდენად იყო მიღწეული მონაწილის მიერ დასახული შედეგი.

სასწავლო კურსის დიზაინი ლოგიკური ფორმატით უნდა მისდევდეს ზემოთხსენებულ ნაბიჯებს. ყოველივე ზემოთხსენებული ასახული უნდა იქნას დაგეგმვის „შიდა დამტკიცების“ დოკუმენტში (რაზედაც ზემოთ იყო საუბარი). ზემოთხსენებული მიდგომა ასახულია შემოთავაზებულ კურიკულუმში. მოცემული მიდგომა ქვემოთ იქნება უფრო დეტალურად განხილული.

2.6 *მიზნები.*

სწავლების საერთო მიზნის განსაზღვრა ტრენინგის დიზაინის განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი ეტაპია. აღსანიშნავია, რომ ეს არის დიზაინის განსაზღვრის პირველი ეტაპი, და იგი გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ტრენერების და კურსის მონაწილეების სურვილები შესაძლოა ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს. გარდა ამისა, ეს სურვილები შესაძლოა ემთხვეოდეს, ან არ ემთხვეოდეს ორგანიზაციის საჭიროებებს. წარსულში უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა სასწავლო კურსის მონაწილეების საჭიროებების დადგენას, თუმცა ყოველთვის არ იყო ნათელი, თუ რამდენად უზრუნველყოფდნენ ორგანიზაციები იმის მიღწევას, რომ მათი საჭიროებები ყოფილიყო დაკმაყოფილებული. როდესაც ორგანიზაციებმა უფრო მეტი ყურადღება დაუთმეს საკუთარი საჭიროებებისა და ცალკეული მონაწილეების საჭიროებების უკეთ შეჯერებას, უფრო ცხადი გახდა, რომ აუცილებელია ორგანიზაციისა და ცალკეული მონაწილეების საჭიროებების ერთმანეთზე მორგება. წინამდებარე ანგარიშის მომზადების პროცესში შესწავლილი მასალებიდან ნათელი ხდება, რომ არსებობს მოლოდინი იმისა, რომ ტრენერმა უნდა იცოდეს სამიზნე აუდიტორიის/აუდიტორიების საჭიროებები. მაგრამ ის გარემოება, რომ ტრენინგი შესაძლოა სხვა ორგანიზაციის საჭიროებებზე მორგებით უნდა ჩატარდეს, დამატებით გამოწვევებს ბადებს.

2.7 *სწავლების მოსალოდნელი შედეგები.*

ILOშეიძლება მიზნად ისახავდეს ცოდნის შეძენას (სწავლების მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპების, კურსის დიზაინის, შეფასების ტექნიკისა და სწავლების მეთოდების თაობაზე) და უნარების განვითარებას (ეფექტური კომუნიკაციის, ან ჯგუფური მუშაობის უნარი). გარდა ამისა, გარკ-

NOTES

ვეული ILO შეიძლება მიზნად ისახავდეს სათანადო ხარისხის სწავლების ვალდებულების შესრულებას.

2.8 *შეფასება.* უნდა არსებობდეს გარკვეული მეთოდები, რომლებიც დაეხმარება ტრენინგის მონაწილეს იმის შეფასებაში მიაღწია თუ არა მან სწავლების დასახულ მიზანს. ეს არ არის იგივე, რაც „ტესტი". მოცემული გულისხმობს, რომ ტრენინგის დიზაინში გათვალისწინებული უნდა იყოს ინსტრუმენტები, რომლებიც საშუალებას აძლევს ტრენინგის მონაწილეს შეაფასოს, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია მისი პროგრესი. ასეთ ინსტრუმენტებს შეიძლება მივაკუთვნოთ ჯგუფური დისკუსიები კაზუსების ირგვლივ.

2.9 *სწავლების მეთოდოლოგიის არჩევანი.* სწავლების მიწოდების გზებს ხშირად ექსპერტები ადგენენ. შედეგად, შესაძლოა სათანადოდ არ იქნას გათვალისწინებული ტრენინგის მონაწილეების საჭიროებები, ან იმ რესურსებთან დაკავშირებული დანახარჯები, რაც საჭიროა ტრენინგების მდგრადი ან განმეორებითი ჩატარებისთვის. უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ შერჩეული მეთოდი უნდა დაეხმაროს ტრენინგის მონაწილეს დასახული ILO-ს მიღწევაში. ამისთვის საჭიროა ტრენინგის არსებული ინსტრუმენტების, ფართო დიაპაზონის, მათ შორის ონ-ლაინ სასწავლო მასალების სათანადო გაგება/გააზრება.
„საკონტაქტო" ან „სასწავლო საათების" (მათ შორის მოსამზადებელი პერიოდისთვის განკუთვნილი საათების) მიდგომიდან სხვა მიდგომებზე გადანაცვლება საშუალებას მისცემს ტრენერებს უკეთ მოიფიქრონ, თუ რა გზებითაა შესაძლებელი სასწავლო კურსის მომავალი მონაწილის მიერ კურსისთვის წინასწარ მომზადების შანსის მაქსიმალიზაცია. გარდა ამისა, ეს საშუალებას აძლევს ტრენერებს უკეთესი წარმოდგენა შეუქმნას მომავალ აუდიტორიას იმის თაობაზე, თუ რას შეეხება ტრენინგი.

2.10 *ტრენინგის შეფასება.* ბოლო ნაბიჯია ტრენინგის შეფასება. მოცემული ასპექტი განხილულ მასალებში არ არის ამომწურავად განხილული. ტრენინგის გუნდსაც ესაჭიროება ინფორმაციული უკუგაცვლა. საჭიროა ისეთ საკითხებზე პასუხების მიღება, როგორიცაა:

- მონაწილის ინტერესი განსახილველი საკითხებისადმი
- ტრენინგის ფარგლებში განხილული საკითხების რელევანტობა ტრენინგის მონაწილის პროფესიონალური საქმიანობისთვის
- ტრენინგის ორგანიზაციული ასპექტები (ტრენინგის ჩატარების ადგილი, დრო და სხვა)
- ტრენინგისთვის მომზადებული და დარიგებული მასალების საგანმანათლებლო ღირებულება
- ტრენერების ან ექსპერტების მიერ მომზადებული მასალების და პრეზენტაციების (პლენარული სესიებისთვის), და მცირე ჯგუფებში მუშაობის ხარისხი (ტრენერის ან ფასილიტატორის როლის ჩათვლით)
- გამოყენებული სწავლების მეთოდების შესაბამისობა და მრავალფეროვნება (პლენარული სესიების, დებატების, მცირე ჯგუფებში მუშაობის, სასწავლო სასამართლო პროცესის დროს გამოყენებული მეთოდები)

ყოველივე ზემოთხსენებული უნდა განხორციელდეს იმისთვის, რომ ტრენინგის დასრულების შემდეგ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდეს, თუ რამდენად იქნა მიღწეული სწავლების მოსალოდნელი შედეგი. თუ გარკვეული მოსალოდნელი შედეგები არ იქნა მიღწეული, იგულისხმება, რომ მომავალი ტრენინგის ფარგლებში განსახილველი ასპექტები უკვე იდენტიფიცირებულია. გარდა ამისა, ეს გვეხმარება მომავალი სასწავლო პროცესის დაგეგმვის დახვეწაში მონაწილეებისგან მიღებულ იდეებსა და წინადადებებზე დაყრდნობით. ასეთი გზით ტრენერს საშუალება ეძლევა გაიგოს აუდიტორიისგან მისი მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რა საკითხები არის მათთვის რელევანტური, რომ მომავალი ტრენინგების ფარგლებში ამ საკითხებზე გამახვილდეს ყურადღება (რაც იმავდროულად გვეხმარება აუდიტორიისთვის იმ გზავნილის კიდევ ერთხელ მიწოდებაში, რომ ტრენინგები კონკრეტული აუდიტორიის საჭიროებების გათვალისწინებით იგეგმება).

2.11 *დასკვნები* შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საჭიროა მოზრდილთა განათლებისა და ტრენინგის სფეროში არსებული ახალი ტენდენციების სათანადოდ გათავისება. პროგრამა HELP ამის საშუალებას გვაძლევს. მე-3 ნაწილში განხილული იქნება „ტრენერთა ტრენინგის" შემოთავაზებული კურსი. სტრუქტურა ძირითადად ზემოთ განხილული სტრუქტურის მსგავსია, მაგრამ მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ სავარაუდოდ საჭირო გახდება გარკვეული ცვლილებების შეტანა, რაც ტრენინგის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელმა გუნდმა უნდა განახორციელოს.

3. შემოთავაზებული კურიკულუმი

მოცემულ ნაწილში ასახულია რამდენიმე შემოთავაზებული კურიკულუმი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე ტრენინგების ჩასატარებლად. ტრენინგები დაყოფილია სამ კატეგორიად:

ა. ტრენინგის მეთოდოლოგია

ბ. სახელმწიფო მოხელეების ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე

გ. ტრენინგები კონკრეტული სამიზნე აუდიტორიებისთვის

ა. ტრენინგის მეთოდოლოგია

3.1 „ტრენერთა ტრენინგი“: ტრენინგ კურსი ტრენინგების ჩატარებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელეებისთვის სწავლების მეთოდოლოგიის საფუძველებზე

1. მიზანი

ტრენერებს უნდა ესმოდეთ, რომ საჭიროა ტრენინგის საჭიროებების გამოვლენა. ადამიანის უფ-ლებადამცველ ეროვნულ ინსტიტუტებს ამის განხორციელება რამდენიმე გზით შეუძლიათ. ასეთი ინსტიტუტები პასუხისმგებელი არიან მოქალაქეებისგან საჩივრების მიღებაზე და ვიზიტების განხორციელებაზე. გარდა ამისა, მისთვის ხელმისაწვდომია შიდა და გარეშე წყაროების მიერ მომ-ზადებული ანგარიშები (მათ შორის ევროპის საბჭოს სხვადასხვა ინსტიტუტის მიერ მომზადებული ანგარიშები). საჭიროებების გამოვლენისადმი ასეთი პროაქტიული მიდგომა ეხმარება საჯარო სექტორში სერვისების მიწოდების თვალსაზრისით არსებული ხარვეზების გამოვლენასა და მათი აღმოფხვრისთვის საჭირო ტრენინგების დაგეგმვაში.

ადამიანის უფლებადამცველ ეროვნულ ინსტიტუტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაატარონ ისეთი ტრენინგები, რომლებიც რეალურად მოახდენენ ზეგავლენას არსებულ ვითარებაზე. იმავდროულად, აქ პრიორიტეტების დადგენის საკითხი დგება. ამ ინსტიტუტებს შეზღუდული რესურსები გააჩნიათ, და შესაბამისად საჭიროა სტრატეგიული არჩევანის გაკეთება იმის თაობაზე, თუ რა სფეროებზე სურს ორგანიზაციას თავისი ძალისხმევის წარმართვა. ბენეფიციარებისა და ჩასატარებელი ტრენინგის თემის არჩევა ნათელ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს. ტრენინგი ნათელ და თანმიმდევრულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით უნდა ჩატარდეს, და იგი დეტალურად და გულდასმით უნდა დაიგეგმოს.

იმ შემთხვევებში, როდესაც ტრენინგები სხვა ორგანიზაციების პერსონალს უტარდება, ყოველთვის არსებობს იმის რისკი, რომ გარეშე ორგანიზაციამ, რომელიც სხვა ორგანიზაციაში ატარებს ტრენინგებს, სათანადოდ არ გაითვალისწინოს ამ ორგანიზაციის ღირებულებები და დამოკიდებულებები.

დაბოლოს, ტრენინგი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ცოდნის გადაცემა. ცოდნისა და უნარების გაზიარება არ არის საკმარისი, თუ არ იქნება სათანადო ნაბიჯები გადადგმული იმისთვის, რომ

NOTES

.....

.....

.....

.....

ტრენინგის მონაწილეებს დაეხმაროთ უკეთ გააცნობიერონ მათზე, როგორც საჯარო მოხელეებზე დაკისრებული პასუხისმგებლობა დაიცვან ადამიანის უფლებები. შესაბამისად, ტრენინგის ფარგლებში ასევე საჭიროა ყურადღების გამახვილება დამოკიდებულების ტრანსფორმაციაზე.

2. მიზნები და სწავლებისგან მოსალოდნელ შედეგები

სასწავლო კურსის მიზანია დახმარების გაწევა ტრენინგების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ტრენინგების დაგეგმვაში, ჩატარებასა და შეფასებაში ევროპის საბჭოს HELP-ის პროგრამის პრინციპების შესაბამისად.

სწავლებისგან მოსალოდნელ შედეგები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

სასწავლო კურსის ბოლოსთვის ყოველი მონაწილე შეძლებს შემდეგს:

- ორგანიზაციული და ინდივიდუალური მონაწილის დონეზე არსებული ტრენინგ საჭიროებების იდენტიფიცირებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის მნიშვნელობის გაცნობიერება
- სხვადასხვა ტრენინგ საჭიროებებთან დაკავშირებით მიზნებისა და სწავლებისგან მოსალოდნელ შედეგების ნათლად განსაზღვრა და ჩამოწერა
- სხვადასხვა მეთოდების განსაზღვრა დასახული სწავლებისგან მოსალოდნელ შედეგების მიღწევის შესაფასებლად
- ტრენინგის ჩატარების ყველაზე შესაფერისი მეთოდის შერჩევა, ანუ ტრენინგის ისეთი დიზაინის შერჩევა, რომელიც ყველაზე ეფექტურად უზრუნველყოფს სწავლებისგან მოსალოდნელი ყოველი შედეგის მიღწევას
- ტრენინგის წარმატების შეფასების მეთოდების შეფასება

3. სამიზნე აუდიტორია და სასწავლო საათები

სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს ადამიანის უფლებების საკითხებზე ტრენინგის დიზაინის შემუშავებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი პერსონალი. შემოთავაზებულია 2.5-დღიანი ტრენინგის ჩატარება, გარდა ამისა ყოველი მონაწილის მიერ დამატებით 5 საათი სწავლისთვის დათმობა, და ინფორმაციული უკუგების ორგანიზება.

4. კურსის მონახაზი

1-ლი დღე

სესია 1: ხელახალი გააზრებისა და ტრენინგ საჭიროებების იდენტიფიცირების ტრენინგი; განხილვა (25 წუთი); მცირე ჯგუფებში მუშაობა (45 წუთი და შემდეგ პლენარულ შეხვედრაზე ინფორმაციული უკუგება - 15 წუთი)

სესია 2: მიზნების სიის შედგენა და სწავლებისგან მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა განხილვა: 25 წუთი; და შემდეგ მცირე ჯგუფებში მუშაობა 45 წუთი

სესია 3: შედეგების შეფასება/გაზომვა განხილვა: 25 წუთი

სესია 4: ტრენინგის მეთოდოლოგიის შერჩევა (1): პრეზენტაციის გაკეთება 2 საათი, პლენარულ ან მცირე ჯგუფების ფორმატში, აუდიტორიის ზომიდან გამომდინარე

მე-2 დღე

[**სესია 4** – გაგრძელება] განხილვა: 25 წუთი

სესია 5 – აუდიო-ვიზუალური რესურსების გამოყენება პრეზენტაციების დროს განხილვა და ვიდე მასალების წარდგენა (აუდიტორიის მონაწილეობით): დაახლოებით 45 წუთი

სესია 6 – ტრენინგის მეთოდოლოგიის შერჩევა (2): მცირე ჯგუფებში დისკუსიები მცირე ჯგუფებში მუშაობა: 75 წუთი; შემდეგ პლენარულ შეხვედრაზე ინფორმაციული უკუგება - 15 წუთი

სესია 7 – ტრენინგის მეთოდოლოგიის შერჩევა (3): კაზუსები და სასწავლო სასამართლო პროცესთან დაკავშირებული გამოწვევების განხილვა: 3 საათი

მე-3 დღე

სესია 8 – სწავლებისგან მოსალოდნელი შედეგების, შეფასებისა და არჩეული მეთოდოლოგიის შეჯერება განხილვა: 45 წუთი

სესია 9 – ტრენინგის შეფასება განხილვა: 20 წუთი; და მცირე ჯგუფებში დისკუსიები - 45 წუთი

სესია 10 – დასკვნები განხილვა : 20 წუთი

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 1 – ტრენინგის ახლებურად მოაზრება და საჭიროებების შეფასება

უნდა მოხდეს HELP სახელმძღვანელოს შესაბამის სექციაზე მითითება

მოცემული სესიის განმავლობაში მონაწილეებმა ახლებურად უნდა გაიაზრონ ტრენინგთან დაკავშირებული ასპექტები. სესია უნდა დაიწყოს ისეთი საკითხების განხილვით, რომლებიც ისედაც საკმაოდ ნათელია: რომ ტრენინგი ხშირად ლექციის ფორმით მიმდინარეობს; რომ ტრენინგი უნდა იყოს რელევანტური და ლოგიკურ მეთოდოლოგიას უნდა ეფუძნებოდეს. აღსანიშნავია, რომ საკვანძო საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ ტრენინგის რელევანტურობა იყოს უზრუნველყოფილი, ანუ გათვალისწინებული იქნას როგორც ორგანიზაციული საჭიროებები, ასევე ტრენინგების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები და რესურსები.

მოცემულ ეტაპზე ასევე მიზანშეწონილია, რომ მონაწილეებმა განიხილონ არა მხოლოდ ის ცოდნა, რომლის გადაცემაც სურთ, არამედ ასევე უნარების განვითარებისა და ღირებულებებისა და დამოკიდებულების ტრანსფორმაციის აუცილებლობა. ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების დაცვა შეიძლება არ ხდებოდეს ეფექტურად არა იმიტომ, რომ ამ საკითხების შესახებ ცნობიერების დონე დაბალია, ან ადამიანის უფლებების სფეროში არსებული სტანდარტების დაცვაა შეუძლებელი, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებს არ გააჩნიათ საკმარისი მზაობა აქტიურად ჩაერთონ ადამიანის უფლებების დაცვაში. ხაზგასასმელია, რომ ტრენინგის საჭიროებები მაღალი დონის ხელმძღვანელების მიერ უნდა იქნას მხარდაჭერილი, ანუ ხელმძღვანელობამ ნათელი და ცალსახა გზავნილები უნდა გააჟღეროს შესაბამისი საჯარო სამსახურის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. ეს ასპექტი ტრენინგის მონაწილეებმა კარგად უნდა გაითავისონ, როდესაც გარეშე ორგანიზაციებს უტარდებათ ტრენინგი.

განხილვის ბოლო ნაწილი შეეხება ტრენინგის თვალსაზრისით არსებული საჭიროებების იდენტიფიცირებას. ამის მიღწევის ორი გზა არსებობს: პირველი გზა ითვალისწინებს, რომ ტრენინგ საჭიროებების იდენტიფიცირებაზე ტრენინგის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები არიან. მეორე გზა უფრო მეტ გამოწვევასთანაა დაკავშირებული, თუმცა პოტენციურად უფრო მიზანშეწონილია: იგი

NOTES

ითვალისწინებს ტრენინგ საჭიროებების იდენტიფიცირებას როგორც სამიზნე აუდიტორიის, ასევე ორგანიზაციის მონაწილეობით. იმ გარემოს შესწავლა, სადაც კონკრეტული ორგანიზაცია ახორციელებს თავის საქმიანობას, ძალიან ბევრი პოტენციური ტრენინგ საჭიროების გამოვლენის საშუალებას იძლევა. შესაძლოა ტრენინგის პოტენციური მონაწილეების საჭიროებების იდენტიფიცირება უფრო რთული აღმოჩნდეს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ტრენინგის მონაწილეთა შორის სხვადასხვა დონეზე მომუშავე პერსონალი აღმოჩნდება, და მათ უნარებისა და ცოდნის დონეში განსხვავებები იქნება. მიუხედავად ამისა, ტრენერებს შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული წარმოდგენა სამიზნე ჯგუფის, ან ტრენინგის ბენეფიციარების შესახებ.

ტრენინგის მონაწილეებმა შეიძლება ეს საკითხები მცირე ჯგუფებში მუშაობის პროცესში გააანალიზონ. (მონაწილეებს შეიძლება თავიდანვე ვთხოვოთ თავიანთი მოსაზრებების გაზიარება წინა ტრენინგებთან დაკავშირებით, სადაც ისინი ტრენინგის მონაწილის, ან ტრენერის სახით იღებდნენ მონაწილეობას).

ტრენინგ საჭიროებების იდენტიფიცირების ყველაზე ლოგიკური გზაა ტრენერების მიერ წამყვანი როლის დაკისრება ორგანიზაციისა და ტრენინგის მონაწილეების საჭიროებების შეფასებაში. მონაწილეებს უნდა ვთხოვოთრომ ტრენინგ საჭიროებების იდენტიფიცირების ორი მეთოდის გამოყენების გზებზე გაგვიზიარონ თავიანთი მოსაზრებები:

1. იმ ასპექტების იდენტიფიცირება, რომლებიც უშლიან ორგანიზაციას მასზე დაკისრებული ფუნქციების უფრო ეფექტურად განხორციელებაში (ამჟამად არსებულ კონტექსტში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების განუხრელად შესრულება)

- ტრენინგი საჭიროება ადმინისტრაციული ცვლილებებითაა განპირობებული? მაგ. ციხეებზე მონიტორინგის პასუხისმგებლობების სფეროში რეორგანიზაციის გამო?
- უახლოს წარსულში გატარდა საკანონმდებლო ცვლილებები, ან კანონმდებლობის გადასინჯვაა დაგეგმილი, რის გამოც ტრენინგის ჩატარებაა საჭირო?
- ეროვნულმა მაღალი ინსტანციის სასამართლომ, ან სტრასბურგის სასამართლომ მიიღო განჩინება, რომელიც ადამიანის უფლებების სფეროში არსებული სამართლის არასწორ გაგებასა და ინტერპრეტაციაზე მიუთითებს?
- ორგანიზაციის პროცედურებში სისტემური პრობლემები გამოვლინდა? მაგალითად, გადაწყვეტილებების „გონივრულ ვადაში“ მიღებასთან დაკავშირებული პრობლემა?

მოცემულ პროცესში აუცილებელია ძირითადი პარტნიორი და დაინტერესებული ორგანიზაცის გამოვლენა და მათთან კონსულტაციების ჩატარება. ტრენინგის მონაწილეებს ხელი უნდა შევუწყოთ იმის განხილვაში, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს.

2. საჭიროა სავარაუდო მონაწილეებისა და მათი პროფილების იდენტიფიცირება (რათა განსაზღვროთ, თუ რა გავლენას მოახდენს ეს ტრენინგის დიზაინზე):

- რა სახის პროფესიული გამოცდილება გააჩნიათ მათ, და რომელი ორგანიზაციიდან იქნებიან ტრენინგის მონაწილეები?
- რა სახის კვალიფიკაცია ექნებათ მათ სავარაუდოდ?
- რა სახის გამოცდილება გააჩნიათ, ან რამდენი ხანი მსახურობენ ისინი საჯარო სექტორის მოცემულ სტრუქტურაში?
- რა ცოდნა/უნარები უნდა გააჩნდეთ მათ, რათა მაქსიმალური სარგებელი მიიღონ ტრენინგისგან?

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 2 – მიზნები და სწავლების მოსალოდნელი შედეგების ნუსხის შედგენა

შესავალ სიტყვაში განმარტებული უნდა იქნას განსხვავება მიზნებსა და სწავლების მოსალოდნელ შედეგს შორის, და რომ სწავლების მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა უაღრესად დიდ როლს თამაშობს ტრენინგის დიზაინის განსაზღვრაში. კურსის დიზაინის მოცემული ასპექტი ნათლადაა ასახული HELP-ის სახელმძღვანელოში.

მცირე ჯგუფებში დისკუსიებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს სწავლების მოსალოდნელი შედეგების „კარგ“ და „ცუდ“ მაგალითებზე (ანუ, შედეგების ნათლად ჩამოყალიბებასა და ტრენინგისთვის გამოყოფილ დროში დასახული შედეგების მიღწევადობის თვალსაზრისით; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენად შეესაბამება განსაზღვრული სწავლების მოსალოდნელი შედეგები ‘SMART’ მოთხოვნებს). ტრენინგის მონაწილეებმა წინასწარ მომზადებულ რეალურ მაგალითებზე დაყრდნობით უნდა განიხილონ მოცემული ასპექტი.

ტრენინგის მონაწილეებს უნდა სთხოვონ გამოგონილი მაგალითის გამოყენებით, მაგალითად მოკლე ტრენინგ კურსთან დაკავშირებით თავად შეიმუშაონ ILO, ხოლო შემდეგ ჯგუფმა კრიტიკულად უნდა შეაფასოს სხვადასხვა წინადადებები.

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 3 - მიღწევების შეფასება/გაზომვა

მიზანი მარტივია: ეს საშუალებას აძლევს ტრენინგის მონაწილეებს იმის გაცნობიერებაში, თუ როგორ შეუძლიათ მონაწილეებს და ტრენერებს იმის შეფასება, თუ რამდენად მიღწეული იქნა დასახული შედეგი (მაგალითად, მცირე ჯგუფებში დისკუსიების, სასწავლო სასამართლო პროცესების ორგანიზების გზით და ა.შ). მოცემული ასპექტები დეტალურადაა განხილული HELP-ის სახელმძღვანელოში.

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 4 - ტრენინგის მეთოდოლოგია (1): პრეზენტაციის გაკეთება.

სესია შეიძლება პლენარული სესიის, ან მცირე ჯგუფებში მუშაობის ფორმატში ჩატარდეს (დამოკიდებულია მონაწილეთა რაოდენობაზე). მონაწილეებს წინასწარ (სასწავლო კურსის დაწყებამდე) უნდა სთხოვონ 5-6 წუთიანი პრეზენტაციის მომზადება მათ მიერ არჩეულ საკითხზე, და ნებისმიერი თვალსაჩინოების და მასალის გამოყენების უფლება ეძლევათ. მონაწილეებს უნდა განემარტოთ, რომ ეს არ არის ტესტი, არამედ სავარჯიშო, რათა მათი პრეზენტაციის უნარებთან დაკავშირებით ინფორმაციული უკუგება განხორციელდეს.

ყოველმა მონაწილემ არაუმეტეს 6 წუთისა უნდა ისაუბროს. ტრენერმა უნდა ანიშნოს მათ როდესაც დრო ამოიწურება. შემდეგ ტრენერმა აუდიტორიას უნდა სთხოვოს ინფორმაციული უკუგება: ანუ, რა გამოუვიდა მონაწილეს კარგად, და რისი გაუმჯობესებაა შესაძლებელი. ამას ორი მიზანი აქვს - მონაწილის თავდაჯერებულობის ამაღლება პრეზენტაციების გაკეთებასთან დაკავშირებით, და აუდიტორიისთვის ინფორმაციული უკუგების მიწოდებაში (და მიღებაში) დახმარების გაწევა.

მოცემული სესია სავარაუდოდ პირველი დღის ბოლოსკენ უნდა დასრულდეს.

მეორე დღე პირველი სესიის გაგრძელებაა, და 25 წუთი ეთმობა პრეზენტაციის გაკეთების უნარებზე საუბარს. (მოცემული თემაც დეტალურადაა განხილული HELP-ის სახელმძღვანელოში.) ძირითადი საკითები, რომლებზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს, შემდეგია:

- აუდიტორიის მოლოდინი და ინტერვალის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც მსმენელები უსმენენ პრეზენტაციას
- რჩევები პრეზენტაციის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

NOTES

.....

.....

.....

.....

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 5 - ტრენინგის მეთოდოლოგია (2): აუდიო-ვიზუალური რესურსები

მოცემული გულისხმობს საუბარს და დისკუსიას პრეზენტაციის პროცესში აუდიო-ვიზუალური რე-სურსების გამოყენების თაობაზე. HELP სახელმძღვანელოში ქვემოთ მოცემულთან დაკავშირებით დიდი მოცულობის რესურსებია ასახული:

- „ფაუერფოინთის“ გამოყენება (და რანაირად უნდა მოხდეს ფაუერფოინთების გამოყენება)
- ონ-ლაინ ვიდეომასალების რესურსები (მაგ. Youtube)

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 6 - მცირე ჯგუფებში დისკუსიები

სესიის განმავლობაში მონაწილეებს გამოწვევებისა და უპირატესობების მცირე ჯგუფებში განხილვის საშუალება ექნებათ. HELP-ის სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე პრობლემურ ასპექტზე, და მონაწილეებმა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა განიხილონ ეს საკითხები. ეს შედარებით ადვილად გასაგები დავალებაა, მაგრამ ძირითადი მოსალოდნელი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ტრენინგის მონაწილეებმა უნდა გაითავისონ მთელი რიგი სტრატეგიები (ასახულიაHELP-ის სახელმძღვანელოში), რომლებიც ამ გამოწვევებთან გამკლავებაში დაეხმარებათ.

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 7 - კაზუსების შედგენა; კაზუსების გამოყენება ჯგუფში დისკუსიების პროცესში; პლენარულ სესიაზე ინფორმაციული უკუგება.

კვლავაც, HELP-ის სახელმძღვანელოში მოცემულ თემაზე უამრავი მასალაა ასახული. მოცემული სესია ჯგუფებში მუშაობის გაგრძელებას წარმოადგენს. ტრენინგის მონაწილეებმა უნდა შეასრულონ შემდეგი: (ა) მოამზადონ განსახილველი კაზუსი; (ბ) ჩაატარონ ჯგუფური დისკუსია. შემდეგ ფასილიტატორი სთხოვს მონაწილეებს მიაწოდონ ინფორმაციული უკუგება, და თავადაც გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს და შეფასებებს.

ხანგრძლივი სასწავლო სასამართლო პროცესის ორგანიზებისთვის საკმარისი დრო არ იქნება, მაგრამ ფასილიტატორმა მონაწილეებთან ერთად უნდა განიხილოს კონკრეტული გამოწვევები, რაც დაკავშირებულია კაზუსის მომზადებასთან, გადმოცემასთან და ინფორმაციულ უკუგებასთან.

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 8 – ILO-ს შეჯერება, შეფასება და მეთოდის შერჩევა

მოცემულ სესიაზე ყურადღება HELP-სი მეთოდოლოგიაზე იქნება გამახვილებული. უნდა განხორციელდეს ILO-ს შეჯერება შეფასების ინსტრუმენტების დიზაინთან, რომელიც სწავლების შედეგის შეფასებისთვის იქნება გამოყენებული. მოყვანილი უნდა იქნას კარგი და ცუდი მაგალითები, და ტრენინგის მონაწილეებს უნდა სთხოვონ თავისი მოსაზრებებისა და გამოცდილების გაზიარება.

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 8 – შეფასება

HELP-ის სახელმძღვანელოში ხაზგასმულია შეფასების მნიშვნელობა. ეს გულისხმობს შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებას, და ტრენინგის მონაწილეებმა უნდა განიხილონ ამ ინსტრუმენტების უპირატესობები და ნაკლოვანებები. მოცემული სესია საშუალებას მისცემს ტრენერებს მონაწილეებისგან მიიღონ ინფორმაციული უკუგება იმის თაობაზე: (ა) თუ რამდენად იქნა მიღწეული დასახული ILO; და (ბ) თუ მოსალოდნელი შედეგი არ იქნა მიღწეული, როგორ შეიძლება ამ ხარვეზის აღმოფხვრა.

ბ. საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე

მოცემულ ნაწილში ასახულია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მთელი რიგი ასპექტები, რომლებიც საბაზისო ტრენინგ პროგრამაში ჩასართველადაა შემოთავაზებული. ყოველი მიმართულება იწყება შესაძლო მიზნებისა და სწავლებისგან მოსალოდნელი შედეგების შესახებ განაცხადით, ხოლო შემდეგ მოცემულია კურსის შესაძლო მონახაზი. მოცემული სასწავლო კურსები იმ ვარაუდის გათვალისწინებითაა შედგენილი, რომ (ა) ამ მიმართულებით ცოდნის ამაღლება საჭირო გახდება იმ საჯარო მოხელეებისთვის, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ასპექტებზე ტრენინგების ჩატარებაზე არიან პასუხისმგებელი; და (ბ) მოცემული სასწავლო კურსი შესავალი კურსის სახით იქნება შეთავაზებული (ანუ კური არ არის გათვალისწინებული ამ საკითხებში კარგად გათვითცნობიერებული აუდიტორიისთვის).

ყოველ მიმართულებასთან დაკავშირებით შემოთავაზებულია ფასილიტატორის შენიშვნები. მათი მიზანია ტრენერებისთვის დახმარების გაწევა იმასთან დაკავშირებით, თუ რა საკითხებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება პლენარულ სესიებსა და ჯგუფებში მუშაობის პროცესში. კვლავაც გვინდა აღვნიშნოთ, რომ შემოთავაზებული შინაარსი შეიძლება ეროვნული კონტექსტისა და საჭიროებების გათვალისწინებით გადაისინჯოს.

ფასილიტატორის შენიშვნებში ასახულიარამდენიმე საკვანძო კაზუსი. შემოთავაზებულია, რომ მოცემული კაზუსები არა მხოლოდ განმარტებული უნდა იქნას, არამედ ჯგუფებში მუშაობის პროცესში უნდა იყონ გამოყენებული. ყოველ ცალკეულ კაზუსთან დაკავშირებით მიწოდებული იქნებაარსებითი გარემოებების მოკლე შეჯამება (დაახლოებით 4 პარაგრაფი, და საჭიროების შემთხვევაში ამ გარემოებების ეროვნული ვითარების გათვალისწინებით გადასინჯვაა შესაძლებელი). როდესაც ტრენინგის მონაწილეები საქმის ფაქტობრივ გარემოებებს გაეცნობიან, მათ უნდა ეთხოვოთ შემდეგ კითხვებზე პასუხის მოძიება:

- ადამიანის რომელი უფლების (უფლებების) საკითხი დგება მოცემულ კაზუსში?
- რა ვალდებულება ეკისრება ამასთან დაკავშირებით სახელისუფლებო ორგანოს წარმომადგენლებს?
- თვენი აზრით მთავრობის მხრიდან რეაგირება მოცემულ შემთხვევაში ადეკვატური იყო?
- თვენი აზრით ჰქონდა ადგილი უფლების დარღვევას?
- არსებობდა ალტერნატიული მიდგომები, რომლებიც მოცემულ ვითარებაში შეიძლება გატარე-ბულიყო?

გარკვეულ საქმეებთან დაკავშირებით შესაძლოა რელევანტური იყოს შემდეგი შეკითხვების დამატება:

- თქვენ რას მოიმოქმედებდით, როგორც სახელმწიფო მოხელე?
- ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა ამ საქმის ადეკვატურად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა?

NOTES

.....

.....

.....

.....

3.2 სოციალური უფლებები როგორც „ადამიანის უფლებები“: სახელმწიფო მოხელეების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული სასწავლო კურსი

1. მიზანი

ადამიანის უფლებები ხშირად არასწორად არის გაგებული. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ძირითადად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს იცავს, მაგრამ იგი ასევე გარკვეულ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებსაც შეეხება, რაც ასახულია შესაბამის პრეცედენტულ სამართალში.

ევროპის სოციალური ქარტია ძირითადად ისეთ უფლებებს იცავს, რომლებიც შედარებით ნაკლებად წარმოადგენენ სასამართლო განხილვის საგანს, მაგრამ ზეგავლენას ახდენენ საჯარო მომსახურებების მიწოდებაზე. მოცემული ვალდებულებები ხშირად არასწორად არის გაგებული. მოცემული კურსის მიზანია სახელმწიფო მოხელეების ცნობიერების ამაღლება ზემოთხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით.

2. სასწავლო კურსის მიზანი და სწავლებისგან მოსალოდნელი შედეგები

შესაბამისი სახელმწიფო მოხელეებისთვის დახმარების გაწევა სოციალურ უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპებისა და მათი მოცვის სფეროს უკეთ გაგებაში.

ILO მდგომარეობს შემდეგში:

მოცემული მოდულის ბოლოსკენ კურსის მონაწილეები შეძლებენ:

- სოციალური უფლებების მოცვის სფეროს განსაზღვრას ევროპის სოციალური ქარტიის მნიშვნელობით
- იმ მექანიზმების გაგებას, რომლებითაც ევროპის სოციალური ქარტიით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი ხორციელდება
- სოციალურ უფლებებსა და ECHR-ს შორის ურთიერთმიმართების განმარტება

3. შემოთავაზებული საკონტაქტო საათები

მოცემული მოდული მიზნად ისახავს საბაზისო ცოდნის გაღრმავებას სოციალური უფლებების, კერძოდ კი ევროპის სოციალური ქარტიისა და სოციალურ უფლებებთან დაკავშირებული იმ ასპექტების თაობაზე, რომლებიც შეიძლება რელევანტური იყოს ECHR-ისთვის. მოდული 3-საათიანი სწავლების განმავლობაში უნდა იქნას მოცული. იგი შეიძლება უფრო გრძელვადიან სასწავლო კურსში იქნას ჩართული (მაგ. ერთი ნახევარდღიანი სექციის სახით)

4. კურსის შინაარსი

სესია 1: სოციალური უფლებები როგორც ადამიანის უფლებები: განხილვა: 30 წუთი, პლენარულის ჩათვლით

სესია 2: ევროპის სოციალური ქარტია განხილვა: 10 წუთი; მცირე ჯგუფში მუშაობა - 45 წუთი

სესია 3: სოციალური უფლებები და ECHR განხილვა: 25 წუთი

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 1 – სოციალური უფლებები როგორც ადამიანის უფლებები

აქ ძირითადი მიზანია კურსის მონაწილეებმა კარგად გააცნობიერონ ადამიანის უფლებათა სამართალით გათვალისწინებული განსხვავება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს შორის. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია ძირითადად უფლებების პირველ წყებას შეეხება (თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ უფლებებით). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებებს შორის. ეს მნიშვნელოვანია, როდესაც ადამიანის უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული მექანიზმების შემუშავებაზეა საუბარი.

კურსის მონაწილეებმა მცირე ჯგუფებში (2 ან 3 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფები) უნდა შეასრულონ ქვემოთ მოყვანილი სავარჯიშო სესიის დასაწყისში (ან, მონაწილეებს წინასწარ უნდა დაურიგდეთ სავარჯიშო, და მათ დამოუკიდებლად უნდა შეასრულონ იგი):

სავარჯიშო 1: გადაწყვიტეთ, თუ რამდენად უნდა იქნას მიჩნეული ქვემოთ მოყვანილი უფლებები ადამიანის უფლებებად.

‘ უფლება’	კი √	სავარაუდოდ?	არა X
a. პოლიტიკური პროტესტის გამოხატვის უფლება			
b. მშვიდობიანი არსებობის უფლება შეიარაღებული კონფლიქტის			
c. ადეკვატური საკვების ხელმისაწვდომობის უფლება			
d. უფლება არ დაექვემდებაროს წამებას			
e. განათლების უფლება			
f. გამოხატვის თავისუფლება			
g. თვითგამორკვევის უფლება			
h. უფლება არ დაექვემდებაროს დისკრიმინაციას რასობრივი, სქესის ან რელიგიის ნიშნით			
i. საცხოვრისის უფლება			
j. საკუთრების უფლება			
k. სამოქალაქო დავების სამართლიანი სასამართლო განხილვისა და მოგვარების უფლება			
l. თავისუფალ დროს დასვენებისა და აქტივობებში მონაწილეობის მიღების უფლება			
m. ღვთისმსახურების რიტუალებში მონაწილეობის მიღების უფლება			
n. ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება			
p. უფლება არ დაექვემდებაროს უკანონო დაპატიმრებას			
q. სიცოცხლის უფლება			

NOTES

.....

.....

.....

.....

პირველი დისკუსია საშუალებას მისცემს მონაწილეებს მკაფიოდ განასხვავონ ერთმანეთისგან *ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებები და უმცირესობათა უფლებები; ასევე სამოქალაქო დაა პოლიტიკური და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები.* სთხოვეთ მონაწილეებს გაიაზრონ შემდეგი საკითხები: (ა) ჰკითხეთ მონაწილეებს რამდენად ექვემდებარება სოციალური უფლებები სასამართლო წესით დაცვას (კანონი, სამართლებრივი დაცვის საშუალებები შეიძლება რთულად ჩამოსაყალიბებელი იყოს; უმეტესობა მოითხოვს დასაბანდებელი დანახარჯების გამო პრიორიტეტების დადგენას, შეიძლება სცდებოდეს სასამართლოს კომპეტენციებს); და (ბ) ის, თუ რამდენად შეუძლიათ უმცირესობებს ინდივიდუალური გასაჩივრების სისტემით ისარგებლონ და დისკრიმინაციული პრაქტიკა გაასაჩივრონ (მაგ. სასჯელებთან დაკავშირებული პრინციპის გასაჩივრების არასაკმარისი შესაძლებლობები; უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს, თუ დისკრიმინაცია პირდაპირაა დაკავშირებული კონკრეტულ ინდივიდუალურ უფლებასთან).

დასკვნა უნდა იყოს შემდეგი: რომ სოციალური უფლებები უაღრესად მნიშვნელოვანია პირებისთვის, მაგრამ მათ აღსრულებაში სასამართლოებს შეიძლება უფრო ნაკლები როლი ეკისრებოდეთ, ვიდრე სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს.

თუ მოცემული სესიის, ან მეორე სესიის განმავლობაში დაგეგმილი ჯგუფებში დისკუსიების შემდეგ დრო დარჩება, შეიძლება შემდეგი სავარჯიშო ჩაატაროთ:

სთხოვეთ მონაწილეებს განიხილონ შემდეგი (დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში):

სავარჯიშო 2: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1948 წლის დეკემბერში მიიღო, რამდენიმე ძირითადი მიმართულების შესახებ განაცხადს შეიცავს, მათ შორის:

A. ყოველი ადამიანის ღირსების და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობის და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს

B. ამ უფლებების აღიარება წარმოადგენს ხალხათა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის და მშვიდობისთვის მთელს მსოფლიოში

C. ადამიანის უფლებათა უგულებელყოფა იწვევს ადამიანის უფლებების უხეშ და მასიურ დარღვევებს

D. ადამიანებს გააჩნიათ მორალური უფლება მიმართონ აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ

E. ყოველ ადამიანს გააჩნია თანასწორი უფლებები, და ისინი არ შეიძლება ხელყოფილი იქნენ

F. ქალებსა და მამაკაცებს თანასწორი უფლებები აქვთ

G. უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულების სათანადოდ შესრულებისათვის

რამდენად ეთანხმებით ზემოთხსენებულ განცხადებებს? (5-სრულად ვიზიარებ; 1-საერთოდ არ ვიზიარებ)

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 2 - ევროპის სოციალური ქარტია

შესავალ სიტყვაში საჭიროა სოციალური უფლებების, როგორც ადამიანის უფლებების მნიშვნელობის სათანადო გააზრების მნიშვნელობას გაესვას ხაზი. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია: http://www.coe.int/socialcharter/. ყურადღება შემდეგ ასპექტებზე უნდა გამახვილდეს:

.....

.....

.....

.....

- სოციალური უფლებები ევროკავშირის სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს. ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია 2000 წლის დეკემბერში იქნა მიღებული ნიცაში, და იგი მიზნად ისახავდა ევროკავშირის მოქალაქეების (და ევროკავშირში მცხოვრები სხვა პირების) მთელი რიგი უფლებების ერთ დოკუმენტში თავმოყრას და მათ გაერთიანებას 6 თავში: ღირსება; თავისუფლებები; თანასწორობა; სოლიდარობა; მოქალაქეთა უფლებები; სამართლიანობა. მოცემული უფლებები სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ხასიათის უფლებებია, და ეს უფლებები შემდეგ წყაროებზე დაყრდნობითაა განსაზღვრული: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის სოციალური ქარტია, ევროკავშირის დასაქმებულების ძირითად სოციალურ უფლებათა ქარტია და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ რატიფიცირებული სხვა საერთაშორისო კონვენციები.
- სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებთან, მათ შორის დასაქმების პირობებთან და სოციალურ თანასწორობასთან დაკავშირებული გარანტიები ევროპის სოციალურ ქარტიაშია ასახული, რომელიც 1996 წელს გადაისინჯა, და ქარტიის მოცემულ ვერსიას თანდათანობით უპირატესი ძალა ენიჭება 1961 წელს თავდაპირველად მიღებულ ქარტიასა და მის სამ დამატებით ოქმთან შედარებით. გადასინჯული ქარტია დასაქმების ადგილას ეკონომიკურ და სოციალურ უფლებათა, და ზოგადად კი საცხოვრისის, ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური დაცვის სფეროს უფლებათა ფართო წყებას მოიცავს. სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან რატიფიცირების მომენტისთვის განსაზღვრონ, თუ რომელ ვალდებულებებს იკისრებენ, თუმცა არსებობს „ძირითადი სავალდებულო უფლებები“ (და უფლებათა მინიმალური რაოდენობაა განსაზღვრული), რომელთა დაცვა ხელმომწერმა მხარე სახელმწიფოებმა უნდა იკისრონ.
- ევროპის სოციალური ქარტიით დადგენილ „ძირითად სავალდებულო უფლებებს“ მიეკუთვნება: დასაქმების უფლება, შრომის სამართლიანი პირობებით სარგებლობის უფლება, უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობები, და სამართლიანი ანაზღაურების უფლება (მათ შორის ქალთა და მამაკაცთა მიერ თანაბარი ღირებულების სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების მიღების უფლება; (მუხლები 1–4); ორგანიზებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლება (მუხლები 5–6); ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე და ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდეგ დასაქმებულ ქალთა დაცვის უფლება (მუხლები 7–8); პროფესიული ორიენტაციის და მომზადების უფლება (მუხლები 9–10); ჯანმრთელობის დაცვის უფლება (მუხლი 11); სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების მიღების უფლება, ასევე სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებით სარგებლობის უფლება (მუხლები 12–14); შრომის უნარო პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, ოჯახის სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური დაცვის უფლება და ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური დაცვის უფლება (მუხლები 16–17); - ევროკავშირის სხვა მხარეთა ტერიტორიებაზე შემოსავლიანი საქმიანობის განხორციელების უფლება (მუხლი 18); მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე (მუხლი 19); დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობით სარგებლობის უფლება, სქესობრივი დისკრიმინაციის გარეშე (მუხლი 20); - დასაქმებულების უფლება ინფორმაციითა და კონსულტაციებით სარგებლობაზე და სამუშაო პირობებისა და სამუშაო გარემოს შექმნასა და გაუმჯობესებაში მონაწილეობის მიღების უფლება (მუხლები 21–22); ხანდაზმულთა მიერ სოციალური დაცვით სარგებლობის უფლება (მუხლი 23); უფლება დაცვაზე დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში, მუშაკთა მოთხოვნების შესრულების უფლება დამსაქმებლის გაკოტრების შემთხვევაში და მუშაკთა ღირსების დაცვის უფლება (მუხლები 24-26); დაოჯახებულ მუშაკთა მიერ თანაბარი შესაძლებლობებითა და თანაბარი მოპყრობით სარგებლის უფლება (მუხლი 27); შრომით დაწესებულებებში მუშაკთა წარმომადგენლების მიერ დაცვის უფლების განხორციელება შრომით დაწესებულებებში მუშაკთა წარმომადგენლების მიერ დაცვის უფლების განხორციელება და ინფორმაციითა და

NOTES

.....

.....

.....

.....

კონსულტაციებით სარგებლობის უფლება კოლექტიური შემცირებების პროცესში (მუხლი 29); სიღატაკისა და სოციალური ოსტრაკიზმისაგან დაცვის უფლება (მუხლი 30); უფლება საცხოვრებელ ადგილზე (მუხლი 31).

- ზედამხედველობა საერთაშორისო მონიტორინგის გზით, და სახელმწიფოების მიერ წარდგენილი წლიური ანგარიშების შესწავლა. ამ ანგარიშებს სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი განიხილავს (ECSR), თავის მხრივ ამ კომიტეტის ანგარიშები სახელმწოფოების მიერ ქარტიით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების სამართლებრივ შეფასებას შეიცავენ. შემდეგ ანგარიში სამთავრობო კომიტეტს გადაეცემა, რომელიც ანგარიშზე დაყრდნობით მინისტრთა კომიტეტის მიერ დასამტკიცებელ რეკომენდაციებს შეიმუშავებს. ამ რეკომენდაციებ-ზე დაყრდნობით შესაბამისი წევრი სახელმწიფოები ეროვნულ კანონმდებლობას და პრაქტიკას გადასინჯავენ, თუ ისინი არ არიან შესაბამისობაში დადგენილ მოთხოვნებთან.
- 1998 წლიდან არსებობს უფლებების აღსრულების უზრუნველყოფის დამატებითი პროცედურა, რაც გულისხმობს სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის მიერ კოლექტიური საჩივრების განხილვას, რის შედეგადაც მინისტრთა კომიტეტმა შეიძლება შესაბამისი რეზოლუცია მიიღოს. ამჟამად საჩივრები შეიძლება ევროპის აღიარებულმა მმართველმა ორგანოებმა (მაგ. ევროპის პროფკავშირების კონფედერაცია, BUSINESSEUROPE-მა და დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციამ), დასაქმებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, დამსაქმებელთა ორგა-ნიზაციებმა და პროფკავშირებმა (და იმ შემთხვევებში, როდესაც მხარე სახელმწიფო ამაზე თანხმობას განაცხადებს, ეროვნულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა) წარადგინონ. თუ საჩივარი დასაშვებად იქნება მიჩნეული, წამოწყებული იქნება წერილობითი პროცედურა, და შეიძლება ჩატარდეს საჯარო განხილვა. არსებით მხარესთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მინისტრთა კომიტეტს გადაეცემა, რის შემდეგაც იგი გასაჯაროვდება. ამის შემდეგ მინისტრთა კომიტეტი მიიღებს რეზოლუციას, და შეიძლება სახელმწიფოს რეკომენდაცია მიაწოდოს კონკრეტული ზომების გატარების საჭიროების თაობაზე, რათა ქარტიის მოთხოვნებთან შესა-ბამისობა იქნას უზრუნველყოფილი.

მცირე ჯგუფებში მუშაობის სესიის განმავლობაში ყოველ ჯგუფს უნდა მიეწოდოს ერთი კოლექტიური საჩივარი (ან ორი საჩივარი, თუ ჯგუფი 3-ზე მეტი მონაწილისგან შედგება). ყოველმა გუნდმა შემდეგ სხვა ჯგუფს, ან პლენარულ სესიაზე მოკლე შეჯამება უნდა წარადგინოს [დაახლოებით 3-წუთიანი] შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საქმის ფაქტობრივი გარემოებები
- ეროვნული სამართალწარმოების ხასიათი და შედეგი
- საჩივარში დაყენებული ძირითადი საკითხები
- მთავრობის პასუხი
- შედეგები
- ეთანხმება თუ არა გუნდი დასკვნებს

მონაცემთა ბაზა მოცემულია HUDOC-ზე შემდეგ მისამართზე: http://hudoc.esc.coe.int/eng#. თემები შერჩეული უნდა იქნას ტრენინგის მონაწილეთა კონკრეტული ინტერესთა სფეროს გათვალისწინებით (ან, შესაძლოა შერჩეული იქნას ეკონომიკური, პოლიტიკური ან სამართლებრივი თვალსაზრისით მსგავსი ქვეყნების მაგალითები).

.....

.....

.....

.....

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 3 – ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და ევროპის სოციალური ქარტია

მოცემულ თემაზე პრეზენტაციის მიზანია კურსის მონაწილეებისთვის იმის განმარტება, რომ გამყოფი სოციალურ უფლებებსა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს შორის არ არის სრულიად ცალსახა, და რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალის რამდენიმე მაგალითი იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლოს ყოველთვის არ მიაჩნია, რომ „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული“ უფლებები უნდა ყოფილიყო დაცული.

ტრენერმა განსახილველი თემა აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა შეარჩიოს. პრეზენ-ტაციისთვის შეიძლება ქვემოთ მოცემული რომელიმე სფერო (ან ორივე სფერო) იქნას შერჩეული:

პროფკავშირების უფლებები

- ECHR-ის მუხლი 11(1)-ი შეიცავს მითითებას პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების“ უფლებაზე. პროფკავშირს უფლება უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლად გადაწყვიტოს წევრობასთან დაკავშირებული პირობები, და გარიცხონ წევრობიდან ის პირები, რომელთა შეხედულებები წინააღმდეგობაში მოდის მის მიზნებთან, იმ პირობით, რომ პროფკავშირი ამასთან დაკავშირებით გონივრულ ფარგლებში მოქმედებს. სიტყვები „საკუთარი ინტერესები დასაცავად“ გულისხმობენ, რომ პროფკავშირებს არა მხოლოდ უფლება გააჩნიათ, არამედ ვალდებული არიან გამოხატონ თავისი წევრების ინტერესები. ამის განხორციელება კოლექტიური ხელშეკრულებებისა და გაფიცვის უფლების რეალიზაციის, ან მეორადი კოლექტიური სარჩელის წარდგენის გზითაა შესაძლებელი იმ მხარის წინააღმდეგ, რომელიც არ არის დავის მხარე (აღსანიშნავია, რომ ეროვნულ სახელისუფლებო ორგანოებს მიხედულების თავისუფლების ფართო ფარგლები გააჩნიათ იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იზღუდება მეორადი სარჩელის უფლება).

- შეზღუდვები, რომლებიც პროფკავშირის თავისუფლების ისეთ ძირითად ელემენტებზე ახდენენ ზეგავლენას, რომელთა გარეშე მოცემული თავისუფლება თავის არსს მოკლებული იქნებოდა, მიუღებლად იქნება მიჩნეული. ამგვარად, პროფკავშირისთვის იურიდიული სტატუსის ჩამორთმევა მე-11 მუხლის დარღვევას წარმოადგენს. კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლება პროფკავშირებში გაწევრიანების უფლების ერთ-ერთი განუყოფელი და მნიშვნელოვანი ელემენტია. შესაბამისად, სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყონ პროფკავშირების დაცვაზე მიმართული დებულებების მიღება და დაიცვან კერძო პირები სამუშაო ადგილზე პროფკავშირის წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციისგან.

- აღსანიშნავია, რომ გაერთიანების უფლება შეიძლება ასევე გულისხმობდეს უფლებას არ შეხვიდე გაერთიანებებში, რაც გულისხმობს, გაერთიანებებში იძულებით გაწევრიანებისგან დაცვას. საქმეზე Sørensen and Rasmussen v Denmark, 2006 წელი, დიდმა პალატამ განიხილა, თუ რამდენად შეიძლება მიჩნეული იქნას, რომ პირმა უარი განაცხადა თავის ნეგატიურ უფლებაზე (ანუ უფლებაზე არ იყოს იძულებით გაწევრიანებული პროფკავშირში) იმით, რომ დაეთანხმა დასაქმების კონტრაქტზე, როდესაც დასაქმების წინაპირობას პროფკავშირის წევრობა წარმოადგენდა. პირველ მომჩივანს უნდოდა მითითებული პროფკავშირისგან განსხვავებულ პროფკავშირში გაწევრიანება, ხოლო მეორე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ იგი მითითებულ პროფკავშირში მხოლოდ იმიტომ გაწევრიანდა, რომ სამუშაო ეშოვნა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ეთანხმებოდა პროფკავშირის პოლიტიკას. სასამართლომ გაითვალისწინა დანიის შრომითი ბაზრის სპეციფიკა, სადაც დასაქმებულსა

NOTES

და დამსაქმებელს შორის შრომითი ურთიერთობები ინდივიდუალური და კოლექტიური ხელშეკრულებებით რეგულირდება, მაგრამ იმავდროულად აღნიშნა, რომ ევროპა ნაკლებად ემხრობოდა „დახურული ტიპის ხელშეკრულებებს, როდესაც წინაპირობას იმავე პროფკავშირის წევრობა წარმოადგენს“, და რომ „ეს არ იყო ერთადერთი შესაძლებელი მექანიზმი, რომელიც პროფკავშირის უფლებებს დაიცავდა“.

- მუხლი 11(2)-ის შესაბამისად „კანონიერიშეზღუდვები შეიძლება იქნას დაწესებული ამ უფლებათა განხორციელებაზე შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ“. მოცემული კატეგორიების ინტერპრეტაცია ვიწროდ უნდა განხორციელდეს. საკუთარი ინტერესები დასაცავად პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების უფლების აბსოლუტური აკრძალვა დაუშვებელია, თუმცა პროფკავშირებში გაწევრიანებაზე მნიშვნელოვანი შეზღუდვების დაკისრებაც ხშირად მიხედულების თავისუფლების ფარგლებში ხვდება, განსაკუთრებით თუ არსებობს ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, ან სხვა გარემოებები, რომლებითაც ამ უფლების შეზღუდვა დასაშვება შეიძლება იქნას მიჩნეული. ასეთი გაერთიანებების წევრების გაფიცვის უფლების შეზღუდვა შეიძლება ასევე გაართლებულად იქნას მიჩნეული.

ბოლო პერიოდში სასამართლოს მიერ განხილული საქმეები:

- The National Union of Rail, Maritime and Transport Workers v United Kingdom 2014 (ILO -ს, ევროპის სოციალური ქარტიის სახელშეკრულებო ორგანოებისა და ევროპის სახელმწიფოების მიერ მიღწეული საერთო კონსენსუსის შედეგად მიჩნეულია, რომ მეორადი სარჩელების წარდგენის უფლება მე-11 მუხლით გათვალისწინებული შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების ფარგლებში ხვდება; მაგრამ მუხლი არ იქნა მიჩნეული დარღვეულად, რადგანაც ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკა მისი საერთო ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა, და ქვეყნის მიერ დადგენილი საკანონმდებლო ნორმებს პატივი უნდა ეცეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონმდებლობა აშკარად მოკლებულია გონივრულ საფუძვლებს).

- Matelly v France (2014 წლის 2 ოქტომბერი) (პროფესიული ასოციაციის წევრობაზე უარის თქმის მოთხოვნა ჟანდარმერიის პროფესიულ ინტერესებს ემსახურებოდა, და შესაბამისად, მიჩნეული იქნა, რომ დაკავშირებული იყო პროფკავშირის უფლებებთან: დარღვევა, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლებს უფლება აქვთ კანონიერი, და საკმაოდ მკაცრი შეზღუდვები დააწესონ პროფკავშირების უფლებებთან დაკავშირებით, ამ გაერთიანებების წევრებზე ბლანკეტური აკრძალვების დაწესება ხელყოფდა თავად ამ უფლების არსს, რომელიც პროფკავშირების შექმნასა და მათში გაერთიანებას გულისხმობს)

- Junta Rectora Del Ertzainen Nazional Elkartasuna (ERNE) v Spain (2015 წლის 21 აპრილი) (სახელმწიფო უსაფრთხოების ძალების წარმომადგენლების გაფიცვის უფლების აკრძალვა კანონით: არ არის დარღვევა, პროფკავშირს საშუალება ჰქონდა ესარგებლა ამ უფლების ძირითადი ელემენტებით, და სახელმწიფო უსაფრთხოების ძალების შეიარაღებული დანაყოფების ძირითადი ფუნქციების გამო, რაც მდგომარეობდა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უწყვეტდა სტაბილურ ფუნქციონირებას, სახელმწიფოს საკმაოდ ფართო მიხედულების ფარგლები გააჩნდა).

- ECHR, პირველი ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისად „არავის შეიძლება ეთქვას უარი განათლების მიღებაზე“. მოცემული წინადადება ამ მუხლის ყველაზე დომინანტურ ნაწილს წარმოადგენს: მშობლების მიერ მათი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლებისა და სწავლების უზრუნველყოფის უფლების ნებისმიერი ინტერპრეტაცია არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში ბავშვის განათლების მიღების უფლებასთან. ეს ბავშვის უმთავრეს უფლებას წარმოადგენს იმის გათვალისწინებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დაწყებითი და საშუალო განათლება ბავშვის პიროვნული განვითარებისა და მომავალი წარმატებისთვის. თავისი არსით, განათლების უფლება გულისხმობს არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის უფლებას, რაც თავის მხრივ სახელმწიფოებს პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს უზრუნველყოს, რომ ბავშვები მათი მშობლებისთვის სასურველ განათლებას მიიღებენ. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ მოცემულ უფლებაზე შეიძლება გარკვეული შეზღუდვები დაწესდეს, და სახელმწიფოს უფლებამოსილება გააჩნია თავად განსაზღვროს თუ რა სახის საკანონმდებლო დებულებებს მიიღებს ამასთან დაკავშირებით იმ პირობით, რომ რეგულაციები არ ხელყოფენ თავად ამ გარანტირებული უფლების არსს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ არ ხდება თავად უფლების არსის ხელყოფა, და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობა რეალურადაა უზრუნველყოფილი, და არა ფიქტიურად, მოცემული გარანტია არ ნიშნავს, რომ იგი გულისხმობს სახელმწიფო ენად აღიარებული ენისგან განსხვავებულ ენაზე განათლების მიღების, ან კერძო სკოლებში სწავლების უფლებას. გარდა ამისა, მოცემული დებულება ვერ იქნება გამოყენებული საფუძვლად კერძო სკოლის მიერ სახელმწიფო დაფინანსების, ან დაგეგმვასთან დაკავშირებული კონტროლისგან გათავისუფლების მოთხოვნისთვის, თუმცა მოცემული დებულება ადგენს კერძო სკოლის დაფუძნებისა და მართვის უფლების გარანტიას, და იმავდროულად გულისხმობს, რომ კერძო სკოლები უნდა ექვემდებარებოდნენ სახელმწიფო რეგულირებას განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

- მოცემული დებულების ფარგლებში განათლების ყველა ფორმა ექცევა, მაგრამ სახელმ-წიფოებს მიხედულების თავისუფლების არე გააჩნიათ, რომელიც „ფართოვდება განათლების დონის შესაბამისად, და უკუპროპორციულია განათლების მნიშვნელობისა კონკრეტული ჯგუფებისთვის, და ზოგადად საზოგადოებისთვის“. უმაღლესი განათლების ხელმისაწვ-დომობის შეზღუდვა იმ კანდიდატებისთვის, რომლებსაც საკმარისად კარგი შედეგები აქვთ იმისთვის, რომ წარმატებით გააგრძელონ სწავლა, არ წარმოადგენს უფლებაში ჩარევას. გარდა ამისა, არ არის დაუშვებელი იმის განსაზღვრა, თუ რამდენი ადამიანისთვის იქნება ხელმისაწვდომი უმაღლესი განათლება. იმავდროულად გასათვალისწინებელია, რომ შეფასების პროცესი იმგვარი უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს მიკერძოებულობის რისკის მინიმალიზაცია.

- პირველი ოქმის მე-2 მუხლის მეორე წინადადების შესაბამისად „ნებისმიერი ფუნქციის განხორციელებისას, რომელსაც სახელმწიფო კისრულობს განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით, ის პატივს სცემს მშობელთა უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება“. რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის პატივისცემის უფლება ბავშვის მშობლებს გააჩნიათ, და არა თავად ბავშვს, ან სკოლად და ან რელიგიურ გაერთიანებას.

NOTES

- ‘განათლება“ გულისხმობს „საზოგადოებაში მიმდინარე პროცესს, რომლის ფარგლებშიც მოზრდილები ცდილობენ გაუზიარონ ახალგაზრდებს საკუთარი მრწამსი, კულტურა და სხვა ღირებულებები“, ხოლო „სწავლება გულისხმობს ცოდნის გადაცემასა და ინტელექტუალურ განვითარებას“. „პატივისცემა“ გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ მშობლის მოსაზრებების გათვალისწინებას; კერძოდ, „ეს გულისხმობს სახელმწიფოს მიერ მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების შესრულებას“. მოცემული გარანტია შეიძლება შეეხებოდეს სასწავლო პროგრამის შინაარს, ან სწავლებას, მაგრამ იგი არ ვრცელდება სწავლების გარკვეული ფორმით უზრუნველყოფაზე, მაგალითად ბავშვის რომელიმე კონკრეტულ სკოლაში განათლების მიღებაზე. „ფილოსოფიური მრწამსი“ გულისხმობს „დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ისეთი მოსაზრებების პატივისცემას, რომლებიც არ არიან შეუსაბამო ადამიანის ღირსებასთან, და „დამაჯერებელია, თანმიმდევრულია და მნიშვნელოვანია“. ეს გულისხმობს ჩამოყალიბებულ მრწამსს, რომელიც დაკავშირებულია „ადამიანის ცხოვრებისა და ქცევის მნიშვნელოვან ასპექტებთან“.

- სასწავლო პროგრამის განსაზღვრა და დაგეგმვა ეროვნული სახელისუფლებო ორგანოების კომპეტენციაში შედის. მოცემული დებულება „არ ანიჭებს მშობლებს იმის უფლებას, რომ შეეწინააღმდეგონ ასეთი სწავლებისა და განათლების სასკოლო პროგრამაში ინტეგრირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ინსტიტუციონალიზირებული სასკოლო განათლების სისტემა ვერ იფუნქციონირებდა, რადგანაც სასკოლო საგნების უმეტესობა გარკვეული ფილოსოფიური შინაარსის მატარებელია“. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს, რომ სწავლების, ან ინსტრუქტირების გზით მიწოდებული განათლება ხელს უწყობს ცოდნის „ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური გზით გაზიარებას“. მოცემული დებულება ადგენს გარანტიებს იმისა, რომ „სახელმწიფოს არ გააჩნდეს ინდოქტრინაციის მიზანი, რომლის გამოც მშობელთა რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსი იქნება უგულვებელყოფილი“, და „მოცემული წარმოადგენს ზღვარს, რომლის გადამეტება დაუშვებელია“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ შემთხვევაში, თუ არა აქვს ადგილი ინდოქტრინაციას, ისეთ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება, როგორიცაა რელიგიის ადგილის განსაზღვრა, ეროვნული ხელისუფლების მიხედულების თავისუფლების არეში შედის.

- მე-14 მუხლი ერთობლიობაში პირველი ოქმის მე-2 მუხლთან კრძალავს დისკრიმინაციულ მოპყრობას „პირადი მახასიათებლების ნიშნით“ (მდგომარეობის გამო), რომლებიც განასხვავებს ადამიანებს, ან ადამიანების ჯგუფს ერთმანეთისგან, და ამგვარად, მოცემული ქმედება პირველი ოქმის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში ხვდება, მით უფრო, თუ ასეთი ქმედება არ ისახავს კანონიერ მიზანს, ან არათანაზომიერია. მიუხედავად ამისა გასათვალისწინებელია, რომ განათლების სფეროში პოლიტიკის განსაზღვრა (მაგ. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მიმართებაში) ეროვნული ხელისუფლების მიხედულების ფარგლებშია. იმ შემთხვევაში, თუ დისკრიმინაციული კრიტერიუმების გამოყენება ხდება, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება დაამტკიცოს, რომ მისი პოლიტიკა ან პრაქტიკა ობიექტურად გამართლებულია, თანაზომიერია და აუცილებელია. გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა საკმარისი მტკიცებულებები წარადგინოს იმის დასადასტურებლად, რომ საკმარისი ეფექტური გარანტიები არსებობს იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება.

3.3 შესავალი კურსი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისადმი: სახელმწიფო მოხელეების ცნობიერების ამაღლება

1. მიზანი

მნიშვნელოვანია, რომ საჯარო მოხელეებს ესმოდეთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ძირითადი არსი, კერძოდ კი

(ა) ეროვნულ ვალდებულებებთან;

(ბ) ფუნდამენტალურ კონცეფციასა და იურისპრუდენციასთან;

(გ) აღსრულების მექანიზმებთან დაკავშირებული ასპექტები.

მოცემული მოდული არის შესავალი ტრენინგის მოკლე მოდული, რომელიც სხვა ტრენინგებთან კომბინაციაში შეიძლება იყოს გამოყენებული. მოცემულ მოდულში ხაზგასმულია ECHR-ის სუბსიდიარული ხასიათი, ანუ უფლებების გარანტირების ძირითადი ვალდებულება ეროვნულ ხელისუფლებას ეკისრება.

2. მიზნები და სწავლების მოსალოდნელი შედეგები

სასწავლო კურსის მიზანია კურსის მონაწილეებისთვის ECHR-ის მექანიზმების და პრეცედენტული სამართლის საფუძვლების გაცნობა, და მისი სუბსიდიარული ხასიათის განმარტება.

ILO-ს განსაზღვრა შემდეგნაირად შეიძლება:

კურსის დასრულებისთვის ტრენინგის მონაწილეები შეძლებენ:

- ECHR-ის აღსრულების ძირითადი მექანიზმების შესახებ საბაზისო ცოდნა, და ამ მექანიზმების განმარტება;
- ECHR-ის ინტერპრეტაციის იმ ძირითადი პრინციპების შესახებ საბაზისო ცოდნა, რომლითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხელმძღვანელობს, და ამ პრინციპების აღწერა
- განიხილონ ის გზები, რომლებითაც ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს კონვენციის რატიფიცირების შედეგად დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

3. შემოთავაზებული საკონტაქტო საათები და სასწავლო საათები

მოცემული მოდული მიზნად ისახავს ECHR-ის ძირითადი ასპექტების შესახებ ცოდნის ამაღლებას. მოდული 2-3 საათის განმავლობაში სწავლებას გულისხმობს.

4. კურსის შინაარსი

სესია 1: რატომ ECHR? რა არის სასამართლოს ძირითადი ფუნქცია? განხილვა: 30 წუთი, პლენარულის ჩათვლით

სესია 2: სასამართლოს პრეცედენტული სამართლით გათვალისწინებული ძირითადი მიდგომები განხილვა: 10 წუთი, მცირე ჯგუფებში მუშაობა - 30 წუთი

სესია 3: ეროვნული კონტექსტი და ECHR განხილვა: 20 წუთი

NOTES

.....

.....

.....

.....

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 1 - ECHR

მოცემული სესია მიზნად ისახავს კურსის მსმენელებისთვის სტრასბურგის სასამართლოს ფუნქციონირებისა და მისი გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ ცოდნის გადაცემას და ადამიანის უფლებების ეროვნულ დონეზე აღსრულების მნიშვნელობის განმარტებას. მოცემული სესიის განმავლობაში დაგეგმილია პრეზენტაცია და ვიდეომასალის ჩვენება. ძირითადი ინფორმაცია მოცემულია შემდეგ მისამართზე: http://www.echr.coe.int/ECHR/EN/Header/The+Court/Introduction/Information+documents/; ვიდეოკლიპების შერჩევა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: http://www.echr.coe.int/ECHR/EN/Header/The+Court/Introduction/Video+on+the+ Court/

პრეზენტაცია შემდეგ საკითხებს უნდა შეეხებოდეს:

- სასამართლოს იურისდიქცია როგორც სახელმწიფოებს შორის დავებზე, ასევე ინდივიდუალურ საქმეებზე ვრცელდება (ანუ, ნებისმიერი კერძო პირის, არასამთავრობო ორგანიზაციის, ან პირთა ჯგუფის მიერ წარდგენილ საჩივრებზე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათ მიმართ კონვენციის დარღვევას ჰქონდა ადგილი, და სასამართლო გადაწყვეტილებას ირებს საჩივრის დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით. საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა, და დარღვევის დადგენის შემდეგ სახელმწიფოს მიერ გატარებულ ზომებზე მონიტორინგი ხორციელდება (მათ შორის სამართლიანი დაკმაყოფილების მიკუთვნების შემთხვევაში შესაბამისი კომპენსაციის გადახდაზე), რაც მინისტრთა კომიტეტის პასუხისმგებლობაში შედის.
- სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა რაოდენობის თანაბარია. მოსამართლეებს უნდა ახასიათებდეთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და, ან უნდა ფლობდნენ მაღალი სამოსამართლო თანამადებობის დასაკავებლად აუცილებელ კვალიფიკაციას, ან იყვნენ აღარებული კომპეტენტურობის მქონე სამართლმცოდნეები. თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატისგან შემდგარი სიიდან მოსამართლეს ხმათაუმრავლესობით ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა. 2010 წლამდე მოსამართლეები 6 წლის ვადით აირჩეოდნენ, და მათი ხელახლა არჩევა იყო შესაძლებელი იმავდე ვადით, მაგრამ ამჟამად ისინი მხოლოდ ერთი 9-წლიანი ვადით აირჩევიან. მოსამართლეები პენსიაში უნდა გავიდნენ, როდესაც ისინი 70 წელს მიაღწევენ. [აქ მიზანშეწონილია სახელმწიფოების მიერ მოსამართლეების შერჩევასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება.]
- პროცედურები უმეტესწილად წერილობით ფორმაში არგუმენტაციის და შეტყობინებების მიწოდე-ბას ითვალისწინებენ, ხოლო ზეპირი განხილვა გამონაკლის შემთხვევებში ინიშნება, როდესაც სასამართლო ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს რთული საქმეების გადაწყვეტის, ან ახალ საკითხებზე სათანადოდ მსჯელობის მიზნით. სასამართლო წესების შესაბამისად ასეთი ზეპირი განხილვა საჯარო იქნება, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად გადაწყვეტს2. სასამართლო საქმის სამართლებრივ, და ფაქტობრივ ასპექტებზე მსჯელობს, და შესაბამისად, კონვენციის დებულებები არ ზღუდავენ მას საკუთარი შეხედულებისამებრ მიმართოს წერილობით პროცედურას, ან საქმის ზეპირ განხილვას.
- ამჟამად სასამართლოს კოლეგიები შეიძლება შედგებოდეს საქმის ერთპიროვნულად განმხილვე-ლი მოსამართლისგან, კომიტეტებისგან (სამი მოსამართლის შემადგენლობით), პალატებისგან (შვიდი მოსამართლის შემადგენლობით, იმ პირობით, რომ მოსამართლეთა რაოდენობა შეიძლება ხუთამდე შემცირდეს), დიდი პალატისგან (შვიდი მოსამართლის შემადგენლობით), ან პლენარული კოლეგიისგან. საქმეების დასაშვებობასთან დაკავ-შირებული გადაწყვეტილებები და განჩინებები დასაბუთებული უნდა იქნას. ნებისმიერი ცალკეული მოსამართლე, რომელიც მონაწილეობას იღებს საქმის განხილვაში, და რო-

მელიც სრულად ან ნაწილობრივ არ იზიარებს სასამართლოს პოზიციას, ვალდებულია ცალკე დააფიქსიროს თავისი მოსაზრება.

- საერთაშორისო სამართლით პირის, ან რომელიმე ორგანიზაციის მიერ ეროვნული კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის საერთაშორისო ორგანოს წინაშე გასაჩივრების უფლების აღიარება მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა, რომელსაც დიდი პოტენციალი და შედეგები გააჩნდა.
- სასამართლოს წესებსა და პრაქტიკულ სახელმძღვანელოში დაკონკრეტებულია, რომ ინდივიდუალური საჩივრები სასამართლოს წერილობით ფორმაში უნდა წარედგინოს, და ასევე მოცემულია იმ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც სასამართლოს უნდა წარედგინოს, ისევე როგორც მათი წარდგენის ვადები. მომჩივანის ინტერესები მისმა იურიდიულმა წარმომადგენელმა უნდა დაიცვას სასამართლოს წინაშე მხოლოდ მას შემდეგ, რაც საჩივრის შესახებ მოპასუხე სახელმწიფოს ეცნობება.
- თავდაპირველ ეტაპზე საჩივარს ერთი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია განიხილავს, ანუ ერ-თი მოსამართლე, რომელსაც სასამართლოს სამდივნოს იურისტი-რეფერენტები უწევენ დახმარებას. საქმის ერთპიროვნულად განმხილველმა მოსამართლემ შეიძლება დაუშვებლად ცნოს საჩივარი, როდესაც ამ გადაწყვეტილების მიღება საქმის შემდგომი შესწავლის გარეშე არის შესაძლებელი2. ასეთი გადაწყვეტილება საბოლოოა. საჩივრების უმეტესი წილი (დაახლოებით 95%) დაუშვებლად არის ცნობილი, ან ამოირიცხება განსახილველი საქმეების ნუსხიდან საქმის განმხილველი ერთი მოსამართლის მიერ.
- დარჩენილ საქმეებზე მათ დასაშვებობასა და არსებით მხარესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას პალატა იღებს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე განსახილველად დიდ პალატას გადაეცემა). პალატების (ან „სექციების“) წევრობა სამი წლის ვადით განისაზღვრება. სექციათა შემადგენლობა ყალიბდება გეოგრაფიული და გენდერული პრინციპით და ასახავს იმ სამართლებრივ სისტემებს, რომლებსაც ხელშეკრულების მონაწილე მხარეები წარმოადგენენ. პალატა შვიდი მოსამართლისგან შედგება, თუმცა მინისტრთა კომიტეტი უფლებამოსილია გადაწყვიტოს, რომ პალატის შემადგენლობა ხუთი მოსამართლით განისაზღვრება. მოსამართლე, რომელიც არჩეულია შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოდან, მონაწილეობს პალატისა და დიდი პალატის სხდომებში, როგორც ex officio წევრი.
- დიდი პალატა შედგება სასამართლოს თავმჯდომარისგან, თავმჯდომარის მოადგილეებისგან, და სექციების პრეზიდენტებისგან, და სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად შერჩეული სხვა მოსამართლეებისგან. მოსამართლე, რომელიც არჩეულია შესაბამისი მოპასუხე სახელმწიფოდან, მონაწილეობს დიდი პალატის სხდომებში, როგორც ex officio წევრი. დიდი პალატა განიხილავს მონაწილე წევრი სახელმწიფოების მიერ მისთვის წარდგენილ საქმეებს, და ინდივიდუალურ საჩივრებს, როდესაც პალატა მას გადასცემს თავის იურისდიქციაში მყოფ საქმეს. თუ პალატაშიგანსახილველი საქმე წამოჭრის კონვენციის განმარტებისათვის სერიოზულ საკითხს, ანთუ პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს ადრინდელ განჩინებასთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას შეუძლია, განჩინების გამოტანამდე, თავისი იურისდიქცია გადასცეს დიდ პალატას, თუ ერთი თვის ვადაში არც ერთი მხარე არ განაცხადებს, რომ ამის წინააღმდეგია. მოცემული დებულების მიზანია პრეცედენტული სამართლის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა. დიდი პალატა სააპელაციო სასამართლოს სახით მოქმედებს, როდესაც მას საქმე პალატის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაეცემა.
- დაბოლოს, კურსის მონაწილეებმა საბაზისო ცოდნა უნდა შეიძინონ დასაშვებობის კრიტერიუმების თაობაზე, რაც მოცემულია შემდეგ მისამართზე: http://www.echr.coe.int/ECHR/EN/Header/Applicants/Information+for+applicants/Frequently+asked+questions/

NOTES

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 2 - სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ძირითადი პრინციპები

მოცემული სესია ორი ნაწილისგან შედგება: შესავალი სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ძირითადი პრინციპებისადმი, და მნიშვნელოვანი პრეცედენტული გადაწყვეტილებების განხილვა მცირე ჯგუფებში. შესავალ ნაწილში შემდეგ ფუნდამენტალური ცნებები უნდა იქნას განხილული:

- ავტონომიური ცნებები
- ცოცხალი ინსტრუმენტი
- სამართლებრივი განსაზღვრულობა
- პოზიტიური ვალდებულებები
- სუბსიდიარობის პრინციპი
- თანაზომიერება
- „მიხედულების თავისუფლების ზღვარი“

მცირე ჯგუფებში მუშაობა კურსის მონაწილეებს საშუალებას აძლევს განიხილონ ეს ცნებები, და სასამართლოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ასპექტები.

კურსის მონაწილეებს კურსის დაწყებამდე უნდა ეთხოვოთ სასამართლო სხდომის ნახვა ონ-ლაინ საშუალებებით. [ნავარაუდევია, რომ კურსის მონაწილეებს გააჩნიათ ვიდეო-სტრიმინგის ფუნქციით აღჭურვილი კომპიუტერებისადმი ხელმისაწვდომობა] სასამართლო განხილვების ნახვა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: http://www.echr.coe.int/ECHR/EN/Header/Press/Multimedia/Webcasts+of+-public+hearings/latestwebcastEN.htm

ტრენინგის ორგანიზატორებმა უნდა შეარჩიონ ის საქმე, რომლის ჩვენება კურსის მონაწილეებისთვის ყველაზე მიზანშეწონილი იქნებოდა. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს საქართველოს საქმე. კურსის მონაწილეებმა უნდა მოამზადონ მოკლე შენიშვნები შემდეგ ასპექტებთან დაკავშირებით:

- საქმის ფაქტობრივი გარემოებები
- ეროვნული წარმოების ხასიათი და გამოსავალი
- ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, რომლებზეც სასამართლომ უნდა იმსჯელოს
- დასაშვებობასთან დაკავშირებით მიღებული თავდაპირველი გადაწყვეტილება (კერძოდ, სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვა)

შემდეგი დავალება იმაში მგომარეობს, რომ ჯგუფებმა უნდა განიხილონ სტრასბურგის პრეცედენტული სამართლიდან რამდენიმე საკვანძო საქმე. საქმეები (მარტივი) სასამართლოს ადრეული პრეცედენტული სამართლიდან უნდა იქნას შერჩეული, კერძოდ კი ყოველი საქმე სხვადასხვა „ფუნდამენტალური ცნების“ დარღვევას უნდა შეეხებოდეს. საქმეები მოცემულია HUDOC-ზე (www.echr.coe.int-ის (ზედა კუთხეში). ძირითადი საკითხი მდგომარეობს საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით, და არა დასაშვებობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში.

- *Tyrer v United Kingdom - ცოცხალი ინსტრუმენტი*
- *Handyside v United Kingdom - მიხედულების თავისუფლების ზღვარი*
- *Witold Litwa v Poland - სამართლებრივი განსაზღვრულობა*
- *Osman v United Kingdom – პოზიტიური ვალდებულებები*

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 3 - ეროვნული კონტექსტი და ECHR

საბოლოო სესიის განმავლობაში ყურადღება გამახვილებულია ეროვნულ სამართლებრივ სისტემაზე და ECHR-ზე. კერძოდ, ეს გულისხმობს 2 საკითხის განხილვას:

(ა) როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი ECHR-ის მოთხოვნების ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში;

(ბ) სახელმწიფოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები.

კურსის მოცემული ნაწილი ისეა აგებული, რომ იგი ტრენერებს საშუალებას აძლევს კურსის მონაწილეებს თვალნათლივ დაანახონ შემდეგი:

(ა) ECHR-ის პრეცედენტული სამართლის ზეგავლენა ეროვნულ კანონმდებლობაზე სახელმწიფოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში;

(ბ) ხარვეზები, რომლებიც ქვეყანაში არსებობს. ტრენერზეა დამოკიდებული, თუ რა საქმეებს შეარჩევს იგი, მაგრამ გასათვალისწინებელია „ქვეყნის ფაქტოგრაფიული ფაილი“, რომელიც სასამართლოს ვებგვერდზეა მოცემული (www.echr.coe.int).

ტრენინგის დასასრულისთვის მონაწილეებს ინფორმაცია უნდა გააჩნდეთ სასამართლოს ვებგვერდზე და HUDOC-ზე არსებული ონ-ლაინ რესურსების, მათ შორის ქართულ ენაზე არსებული მასალების, სხვადასხვა პუბლიკაციების და ფაქტების ამსახველი ფაილების თაობაზე. კერძოდ, იხილეთ http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=press/factsheets&c=

C. სპეციალური სასწავლო კურსები სამიზნე აუდიტორიისთვის

სხვადასხვა აუდიტორიისთვის, რომელშიც როგორც საჯარო სექტორის წარმომადგენლები, ასევე სხვა სექტორების წარმომადგენლებიც მოიაზრებიან, ადამიანის უფლებათა სფეროს სპეციფიურ საკითხებთან დაკავშირებით უნდა გაიმართოს ტრენინგები. ტრენინგის ორგანიზებაზე პასუხისმგებელმა ინსტიტუტებმა გარკვეულ ეტაპზე ტრენინგის პრიორიტეტები უნდა განსაზღვრონ. ჩვენს მიერ შემოთავაზებული კურიკულუმები უბრალოდ გარკვეულ მიმართულებებს ასახავენ, და ყოველთვის იქნება კონკრეტული ტრენინგ საჭიროებების დადგენის აუცილებლობა. ქვემოთ მოცემული ინფორმაცია დახმარებას გაგიწევთ ადამიანის უფლებების საკითხებზე სასწავლო კურსების შემუშავებაში, რომლებიც შეიძლება დამოუკიდებელი კურსის სახით იყოს, ან სხვადასხვა მოდულების სახით იქნას ინტეგრირებული.

NOTES

.....

.....

.....

.....

3.4 ტრენინგი ჟურნალისტებისთვის: შესავალი ტრენინგი გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის საკითხებზე

1. მიზანი

მოცემული კურსი იმ ჟურნალისტებისთვისაა განკუთვნილი, რომლებიც დაინტერესებული არიან უფრო მეტი ინფორმაციის მიღებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფუნქციონირების, მე-10 მუხლის არსისა და პრეცედენტული სამართლის თაობაზე.

ხშირად ჟურნალისტებს არ ესმით ადამიანის უფლებათა აღსრულების საერთაშორისო მექანიზმების ფუნქციონირებასთან (მაგ. სხვადასხვა სასამართლოების მუშაობის სპეციფიკა) დაკავშირებული საბაზისო ასპექტები, და არ გააჩნიათ ცოდნა სტრასბურგის პრეცედენტული სამართლის თაობაზე.

2. მიზნები და სწავლების მოსალოდნელი შედეგები

კურსის მიზანია ინფორმირებულობის ამაღლება (ა) ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის სხვა სასამართლოებს შორის ორგანიზაციული განსხვავებების შესახებ; და (ბ) გამოხატვის თავისუფლების გარანტიების შესახებ.

კურსის ფარგლებში შემოთავაზებული ILO შემდეგია:

სასწავლო კურსის დასასრულისთვის მონაწილეები შეძლებენ შემდეგს:

- EuCtHR-ის და CJEU-ს როლებისა და ფუნქციების ძირითადი ასპექტების გაგება და განმარტება.
- მე-10 მუხლში ასახული გარანტიების ინტერპრეტაციის ძირითადი პრინციპების, კერძოდ კი დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის უფლებებსა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებული ასპექტების გაგება და ჩამოყალიბება
- სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ხელმძღვანელობა EuCtHR-ის სამი საკვანძო საქმის განხილვისას, რომლებიც დაკავშირებულია მედიის პასუხისმგებლობებთან (ა) სასამართლო სისტემის რეპუტაციის დაცვის; (ბ) საჯარო პირებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეების პირადი ცხოვრების უფლების დაცვის; და (გ) კერძო პირების რეპუტაციის დაცვის თვალსაზრისით
- HUDOC-ზე ატვირთული პრეს-რელიზებისადმი წვდომა

3. სასწავლო კურსის ხანგრძლივობა

კურსის მიზანია საბაზისო ცოდნის მიწოდება შესაბამისი სასამართლოების, ინსტიტუტების, მე-10 მუხლის არსის, ECHR-ისა და გამოხატვის თავისუფლების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ინტერპრეტაციის თაობაზე. ტრენინგ სესია, რომელიც ამ საკითხებს ეთმობა, არ არის ხანგრძლივი. გასათვალისწინებელია, რომ ჟურნალისტები დაკავებული ადამიანები არიან. შესაბამისად, საკონტაქტო საათების რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ 4 საათით.

4. სასწავლო კურსის შინაარსი

სესია 1: ევროპის საბჭო; ევროგაერთიანება: EuCtHR და CJEU პრეზენტაცია: 20 წუთი

სესია 2: მედიის თავისუფლება: ჟურნალისტების უფლებები და პასუხისმგებლობები ECHR-ის მიხედვით2 ბლოკი, ყოველი მათგანი 90-წუთიანია: ყოველ ბლოკში გათვალისწინებულია შესავალი ნაწილი და მცირე ჯგუფებში მუშაობა; და შემდეგ შემაჯამებელი სესია.

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 1

“ორი ევროპის“ ცნება ყოველთვის გასაგები არ არის. ამაზე საუბარი უნდა დაიწყოს ევროპის საბჭოს საქმიანობის შესახებ მოკლე პრეზენტაციით [http://www.coe.int/en/web/about-us/videos], რის შემდეგაც ტრენერმა უნდა განმარტოს განსხვავებები ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს შორის [იხილეთ http://www.coe.int/en/web/about-us/do-not-get-confused] - ამის გაკეთება შესაძლებელია მსუბუქი და სახალისო ვიქტორინის გზით (სავარაუდოდ ჯგუფების შექმნა)

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 2

პირველი ნაწილის განმავლობაში განხილული უნდა იქნას ჟურნალისტების უფლებები და ის დამცავი გარანტიები, რასაც ევროპული პრეცედენტული სამართალი ადგენს. მეორე ნაწილის განმარტება ცოტა უფრო მეტ გამოწვევებთანაა დაკავშირებული, რადგანაც აქ განხილული უნდა იყოს როგორ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვები, და ასევე უახლეს პრეცედენტულ სამართალში ასახული მიდგომები. მეორე პრეზენტაცია ყურადღებას უნდა ამახვილებდეს (ა) მედიის მიერ პირად ცხოვრებაში ჩარევაზე; და (ბ) კერძო პირების რეპუტაციის დაცვაზე.

რეკომენდირებულია, რომ ეს თემები ორ ბლოკად იქნას განხილული, და ყოველი მათგანი 90 წუთის ხანგრძლივობის უნდა იყოს. ყოველი ბლოკი უნდა დაიწყოს მოკლე მიმოხილვით: შემდეგ ჟურნალისტები ჯგუფებად უნდა დაიყონ და განიხილონ კონკრეტული კაზუსის ფაქტობრივი გარემოებები (ისე, რომ წინასწარ არ იცოდნენ, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ). პირველ რიგში ყოველი კაზუსის ეთიკური განზომილება უნდა იქნას განხილული. აქ სასურველია, რომ ჟურნალისტთა ეთიკის ეროვნულ კოდექსზეც გამახვილდეს ყურადღება. შემდეგ, კურსის მონაწილეებს უნდა ჰკითხოთ, თუ ადამიანის რომელი უფლებების საკითხი დგება (და ასევე უნდა ჰკითხოთ, აქვს თუ არა ადგილი მე-10 მუხლის დარღვევას).

პლენარულ სესიაზე ინფორმაციული უკუგების პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს რელევანტური საკითხების იდენტიფიცირებაზე, რათა მონაწილეებმა გააცნობიერონ ფუნდამენტალური მნიშვნელობის მოსაზრებები, და ურთიერთსაპირისპირო ინტერესების დაბალანსების საკითხი (პირადი ცხოვრების და რეპუტაციის დაცვა, ინსტიტუტების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დაცვა და სხვა). შემდეგ ჟურნალისტებს უნდა განემარტოთ ის მიდგომა, რაც სტრასბურგის სასამართლომ გამოიყენა (თუ განსხვავებული შინაარსის განჩინებაა მიღებული, ამის მოკლე განმარტება). შემაჯამებელ პლენარულ სესიაზე [დაახლოებით 20 წუთი], ჟურნალისტებს შეიძლება HUDOC-ის და სხვა ონ-ლაინ მასალების თაობაზე მიეწოდოთ ინფორმაცია (პრეს-რელიზებთან მიმართებაში).

NOTES

.....

.....

.....

.....

თემა 1

(a) მედიის დაცვა დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. იმავდროულად, მედიის ვალდებულებაა ინფორმაციისა და იდეების გაზიარება ყველა იმ საკითხზე, რომლებიც საზოგადოების ინტერესს იწვევენ, მათ შორის ისეთ საკითხებზე, რომლებთანაც დაკავშირებით საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. შესაბამისად, ჟურნალისტები მოქმედებენ როგორც ინფორმაციის გამტარი, და მათ მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ საჯარო დისკუსიებსა და დებატებში, და ისინი საგამოძიებო ჟურნალისტიკის მეშვეობით კანონიერების სადარაჯოზე დგანან. ამის გამო მედიის სათანადო დაცვაა აუცილებელი (ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებისა, რომლებიც კანონიერების უზრუნველყოფის „დარაჯების“ სახით მოქმედებენ). ამგვარად. „საჭიროა მე-10 მუხლის მოთხოვნების ზედმიწევნით გათვალისწინება, როდესაც პრესაზე დაკისრებული სანქციები ან ღონისძიებები ზღუდავს პრესის მიერ კანონიერი სახელმწიფო ინტერესის თაობაზე დებატებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას“, და გარდა ამისა, „საფუძვლიანი მიზეზები უნდა იქნას დასახელებული იმ ზომების გასამართლებლად, რომლებიც ზღუდავენ საზოგადოების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას“. იმავდროულად, ეს ჟურნალისტებს კონკრეტულ პასუხისმგებლობებს აკისრებს, კერძოდ კი იმოქმედონ კეთილსინდისიერად და წინასწარ გადაამოწმონ ფაქტობრივი განცხადებები, რომლებიც შეიძლება პოტენციურად ცილისმწამებლური იყოს, თუ ეს არ მოითხოვს არაგონივრულ ძალისხმევას, ან არ არის შეუძლებელი“, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, „როდესაც პრესის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ შეიძლება სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს კერძი პირების რეპუტაციასა და უფლებებზე“, თუმცა „ზოგადად, როდესაც პრესას წვლილი შეაქვს საჯარო დებატებში ლეგიტიმური ინტერესის გამომწვევ საკითხებთან დაკავშირებით, მას უფლება აქვს დაეყრდნოს ოფიციალურ ანგარიშებსა და ინფორმაციაში ასახულ ფაქტებს, ისე, რომ აღარ მიმართოს დამოუკიდებელ კვლევას“.

(b) ჟურნალისტები ვალდებული არიან დაიცვან კანონი, და „პასუხისმგებლური ჟურნალიზმის“ ცნება გაითავისონ, რადგანაც ეს არის პროფესიული აქტივობა, რომელზეც მე-10 მუხლით დადგენილი გარანტიები ვრცელდება, რაც ასევე გულისხმობს ჟურნალისტების მიერ მათი პროფესიული მოვალეობების შესრულებისას კანონიერი ქცევის ვალდებულებას. ამგვარად, „ის ფაქტი, რომ ჟურნალისტმა ამ მოვალეობების შესრულებისას კანონი დაარღვია, მნიშვნელოვანია, თუმცა არა გადამწყვეტი, როდესაც იმის შეფასება ხდება, თუ რამდენად პასუხისმგებლად იქცეოდა ჟურნალისტი“.

(c) განსაკუთრებული წონა ენიჭება მედიის მცდელობას ხელი შეუწყოს დისკუსიებსა და დებატებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესს იწვევენ. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ჟურნალისტური ფუნქციების სათანადოდ შესრულებისთვის საჭირო გახდეს ჟურნალისტების დაშვება იმ ადგილებში, სადაც მოვლენები ხდება. საჭიროა გათვალისწინებული იქნას ჟურნალისტებზე დაკისრებულ სანქციებს პოტენციურად „გამაგრილებელი ეფექტი“, რის გამოც „მთავრობის დომინანტური პოზიციიდან გამომდინარე, აუცილებელია მან თავი შეიკავოს სისხლის სამართლებრივი დევნისგან, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მისი მოწინააღმდეგეების, ან მედიის მხრიდან გაუმართლებელ კრიტიკაზე რეაგირების სხვა ქმედითი საშუალებები არსებობს“. ამგვარად, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ ზედმეტად არ შეზღუდოს მედია „მასზე დაკისრებული როლის შესრულებაში, კერძოდ კი საზოგადოების ინფორმირებაში საჯარო ხელისუფლების აშკარა, ან სავარაუდო ბოროტად გამოყენების შემთხვევების თაობაზე“. აღსანიშნავია, რომ ასეთი რისკი უდავოდ არსებობს როდესაც საგამოძიებო ჟურნალისტიკის სფეროს წარმომადგენლებზე „კერძო პირების რეპუტაციის გაუმართლებელი შელახვის გამო დადგენილი სტანდარტით მათ შეიძლება სანქციის სახით დაეკისროთ თავისუფლების აღკვეთა, ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა“. მსგავსი პრობლემები შეიძლება წარმოიშვას მედიის

.....

.....

.....

.....

მიერ მასზე დაკისრებული როლის შესრულებასთან მიმართებაში, რომელიც მდგომარეობს მართლმსაჯულების აღსრულებისა და უწესრიგობების საპოლიციო ძალების მიერ დარეგულირების გაშუქებასა და მონიტორინგში.

(d) არსებული პოლიტიკა გულისხმობს ჟურნალისტური წყაროების დაცვის მნიშვნელობის აღიარებას, რაც პრესის თავისუფლების წინაპირობაა. იმავდროულად აღსანიშნავია, რომ თავად ინფორმაციის მიწოდება არ გულისხმობს, რომ ინფორმატორი წარმოადგენს „წყაროს“ და მასზე მე-10 მუხლით გათვალისწინებული დამცავი გარანტიები ვრცელდება: ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ დაცვა ვრცელდება მხოლოდ იმ წყაროებზე, ვინც მიაწოდა ისეთი ინფორმაცია, რომლის ცოდნის უფლება საზოგადოებას გააჩნია FN0. იმ შემთხვევებში, როდესაც წყაროზე დაცვა ვრცელდება, საფუძვლიანი დასაბუთება უნდა იქნას მოყვანილი იმისა, რომ ჩარევა მართლზომიერი და ეფექტური იყო. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც სისხლის სამართალწარმოების საკითხი დგება, და პირის თავისუფლება შეიძლება იდოს სასწორზე, ინფორმაციის წყაროს გამჟღავნების გამამართლებელი გადაუდებელი საჯარო აუცილებლობის არგუმენტი შეიძლება უფრო მისაღებად იქნას მიჩნეული.

თემა 2

მე-2 თემასთან დაკავშირებით შემდეგი საკითხები უნდა იქნას მოცული:

(a) სასამართლოს პრეცედენტული სამართალი პირადი ცხოვრების პატივისცემის საკითხზე ეფუძნება პირადი დამოუკიდებლობის ღირებულების აღიარებას. „სხვა ადამიანებთან და გარეშე სამყაროსთან ურთიერთობების დამყარების და შენარჩუნების უფლება“ ყოველგვარი არასასურველი ჩარევის გარეშე, რათა „უზრუნველყოფილი იქნას „რომ პირს გააჩნია სივრცე, სადაც მას შეუძლია თავისუფლად განვითარდეს და პიროვნული თვითრეალიზაცია მოახდინოს“, განმარტავს, თუ რატომ ანიჭებს სასამართლო ამდენად დიდ მნიშვნელობას სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყოს კერძო მხარეების, განსაკუთრებით კი მედიის საქმიანობის სათანადო რეგულირება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვის მიზნით. მოცემული ასევე ვრცელდება საჯარო პირებზე, როდესაც არსებობს „ლეგიტიმური მოლოდინი“ იმისა, რომ მათი პირდი და ოჯახური ცხოვრების უფლება დაცული უნდა იყოს. ხაზგასასმელია, რომ ამ პოზიტიური ვალდებულების აღსრულების საშუალებების არჩევანი სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებში ხვდება.

(b) აღსანიშნავია, რომ პირადი ცხოვრებისა და პრესის ჩარევის საკითხი არ უნდა იქნას განხილული ცალკე მე-10 მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლებისგან, რომელიც ასევე ითვალისწინებს პირის უფლებას „მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუმოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად“ FN0. მე-10 მუხლი უშვებს პრეზუმფციას გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ, რაც დემოკრატიისა და პირის განვითარების საშუალებად მოიაზრება: “პლურალიზმი, შემწყნარებლობა და ფართო ხედვა“ დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირების წინაპირობას წარმოადგენს. შესაბამისად, გამართლებულია გამოხატვის თავისუფლების დაცვის სხვადასხვა დონის არსებობა, იმისდა მიხედვით, თუ რა ინტერესები დევს სასწორზე. პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე დებატებში მონაწილეობის უფლებასთან დაკავშირებით დაცვის ყველაზე მაღალი სტანდარტი უნდა არსებობდეს, და შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ ასეთ

NOTES

შემთხვევებში არა მხოლოდ იმ პოლიტიკური მოღვაწეების პირადი ცხოვრების უფლება იქნება ნაკლებად დაცული, რომლებმაც ნებაყოფლობით აირჩიეს ასეთი პოზიცია და შესაბამისად, საზოგადოების წინაშე არიან ანგარიშვალდებული, არამედ ასევე შოუ-ბიზნესის ცნობილი წარმომადგენლების, ან საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სხვა საჯარო პირების პირადი ცხოვრებაც. იმავდროულად, თავისუფლებით სარგებლობა დაკავშირებულია გარკვეულ პასუხისმგებლობებთან, და ეროვნულ დონეზე არსებულმა სანქციებმა უნდა უზრუნველყონ დაზარალებული მხარის მიერ განცდილი ზიანის ეფექტური გამოსწორება, რათა მომავალში მსგავსი სახის დარღვევების აღკვეთა მოხდეს.

(c) პირადი ცხოვრების უფლების დაცვა მიზნად ისახავს პირის ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის დაცვას და პირადი ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, და შესაბამისად, მედიის მხრიდან პირის პირად ცხოვრებაში ჩარევის შემთხვევებში შეფასებული იქნება სახელმწიფოს მიერ მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების შესრულება, რაც მესამე მხარეების მხრიდან პირის პირად ცხოვრებაში ჩარევისგან დაცვას გულისხმობს. კერძო პირისა და გამომცემლის მე-8 და მე-10 მუხლებით დადგენილი უფლებების დაბალანსება მიიღწევა ეროვნული ხელისუფლებისთვის მიხედულების თავისუფლების არის მინიჭების გზით (ანუ, გადაწყვეტილებებს ეროვნული სასამართლოები იღებენ), თუმცა მიუხედავად ამისა, სასამართლო შეისწავლის, თუ რამდენად მისაღები გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეებია: *Von Hannover v Germany (no 1), Von Hannover v Germany (no 2), Axel Springer v Germany*, და *Couderc and Hachette Filipacchi Associés v France (2015)*.

(d) ბოლო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებებიდან იკვეთება ტენდენცია, რომ რეპუტაციასა და ღირსებაზე მე-8 მუხლით დადგენილი გარანტიები ვრცელდება, და შესაბამისად, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას პირადი ცხოვრების ეფექტური დაცვის პოზიტიური ვალდებულება აკისრიათ. იმავდროულად აღსანიშნავია, რომ „იმისთვის, რომ მე-8 მუხლით დადგენილი გარანტიები გავრცელდეს, პირად ღირსებასა და რეპუტაციაზე შეტევამ სიმძიმის გარკვეულ ზღვარს უნდა მიაღწიოს და შეზღუდოს, ან შეუძლებელი გახადოს პირის მიერ პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობა“. პირის რეპუტაციის შელახვა მორალური ხასიათის ასპექტია, მაგრამ მე-8 მუხლით დადგენილი გარანტიები არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც რეპუტაციის შელახვა თავად ამ პირის მოქმედებებითაა განპირობებული. სახელმწიფოს შეიძლება სხვა პირების მხრიდან რეპუტაციისა და ღირსების შელახვისგან დაცვის პოზიტიური ვალდებულება დაეკისროს, განსაკუთრებით თუ საქმე ეხება მედიის მიერ ჩარევას. ასეთ შემთხვევებში სასამართლო შეაფასებს, თუ რამდენად უზრუნველყო სახელმწიფომ შესაბამისი კანონმდებლობის მიღება ამ ინტერესების დაცვის მიზნით. სასამართლოს მიერ შეფასება ხშირად გულისხმობს იმის გულდასმით შესწავლას, თუ რამდენად იქნა დაცული ბალანსი გამოხატვის თავისუფლების უფლებასა და მე-8 მუხლის მოთხოვნებს შორის, რადგანაც საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ინტერესმა შეიძლება გადაწონოს კერძო პირის პირადი ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებული ინტერესები. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეებია: *A v Norway, Aksu v Turkey* (რასობრივი სტერეოტიპები) და *Dzhugashvili v Russia (2014)* (წინაპრებთან დაკავშირებით).

3.5 შეუწყნარებლობასთან ბრძოლა თანასწორობის ხელშეწყობის გზით: შესავალი კურსი სახელმწიფო მოხელეებისთვის

1. მიზანი

ECtHR-ის პრეცედენტულ სამართალში ხაზგასმულია მთელი რიგი ღირებულებები, მათ შორის პლურალიზმი, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და შემწყნარებლობა. ეს ღირებულებები ხაზს უსვამენ ყოველი ადამიანის ხელშეუვალ უფლებას, რაც მისი ღირსების დაცვაში მდგომარეობს, დამოუკიდებლად მისი პიროვნული მახასიათებლებისა.

ნათელია, რომ საჯარო მომსახურებები ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა იქნას მიწოდებული. ECHR ასევე სახელმწიფოს მთელ რიგ პოზიტიურ ვალდებულებებს ადგენს სხვა არა-საჯარო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან შეუწყნარებლობისა და უთანასწორო მოპყრობის პრევენციის თვალსაზრისით.

მოცემული კურსის მიზანია ცნობიერების ამაღლება თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ძირითადი პრინციპებისა, და შემწყნარებლობისა და მიუკერძოებლობის ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა პრეცედენტული სამართლიდან შესაბამისი მაგალითების განხილვის გზით. კურსი მიზნად ისახავს მონაწილეების დამოკიდებულების შეცვლას (საჭიროების შემთხვევაში).

სამიზნე აუდიტორია სავარაუდოდ არის საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლები (საჯარო მოხელეები, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს წარმომადგენლები, განათლების სფეროს მენეჯერები). ხაზგასასმელია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კურსის მონახაზი საკმაოდ ზოგად საკითხებს შეეხება, ტრენერმა კონკრეტული აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა შეარჩიოს სადისკუსიო თემები.

2. მოცემული კურსის მიზანი და სწავლების მოსა

კურსის მიზანია საჯარო მოხელეებისთვის დახმარების გაწევა თანასწორი მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტის გაგებასა და ამ სტანდარტით ხელმძღვანელობაში მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების პროცესში.

კურსის დასასრულების შედეგად მონაწილეები შეძლებენ შემდეგს:

- პირდაპირ დისკრიმინაციასთან, ირიბ დისკრიმინაციას, ვიქტიმიზაციასა და დევნასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტების განსაზღვრა
- ECHR-ში ასახული დისკრიმინაციის დაუშვებლობის გარანტიების გავრცელების სფეროს გაგება და გადმოცემა
- იმ გარემოებების შესახებ ცოდნა, როდესაც დისკრიმინაცია შეიძლება გამართლებულად (ან აუცილებელ ზომად) იქნა მიჩნეული
- პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობის აღება ყველა პირის მიმართ თანასწორი მოპყრობის თვალსაზრისით

NOTES

3. შემოთავაზებული საკონტაქტო საათები და სასწავლო საათები

მოცემული მოდულის მიზანია მონაწილეებისთვის საბაზისო ინფორმაციის მიწოდება თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპების თაობაზე, რომლებიც ECHR-ია ასახული (თუმცა მოდული არ შემოიფარგლება მხოლოდ კონვენციის მოთხოვნებით). ეს არის შესავალი კურსი საჯარო სექტორის მოხელეებისთვის.

მოდული 5 საათიან სწავლებას ითვალისწინებს (შესავალი სესიისა შესვენებების გამოკლებით). [შესაბამისად, იგი შეიძლება ერთდღიანი სემინარის სახით იქნას ორგანიზებული, ან პროფესიული განვითარების ტრენინგებში იქნას ჩართული].

4. სასწავლო კურსის შინაარსი

შემოთავაზებული სასწავლო კურსის მონახაზი შემდეგნაირია:

სესია 1: თანასწორობა საერთაშორისო სამართლის მიხედვით განხილვა: 30 წუთი

სესია 2: უთანასწორობის მიზეზები და ეროვნულ დონეზე არსებული გამოწვევები ჯგუფური დისკუსიები: 30 წუთი, + 10 წუთი პლენარული განხილვისთვის და ანგარიშგებისთვის]

სესია 3: დისკრიმინაცია და ECHR განხილვა: 30 წუთი

სესია 4: დისკრიმინაცია მსხვერპლების პერსპექტივიდან პლენარული განხილვა ან პრეზენტაცია, დაახლოებით 10 წუთი

სესია 5: კაზუსების განხილვა მცირე ჯგუფებში, დაახლოებით 45 წუთი, + პლენარულ სესიაზე ანგარიშგება და დასკვნითი კომენტარები

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 1

თანასწორობა საერთაშორისო სამართლის მიხედვით: ქვემოთ მოცემული ელემენტები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, და კურსის ყველა მონაწილე ინფორმირებული უნდა იყოს ამ ელემენტების თაობაზე, და ესმოდეს მათი გავრცელების სფერო:

a. თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ცნებების ძირითადი არსი

b. დისკრიმინაციული დამოკიდებულებისა და მოპყრობის მიზეზების და წყაროების იდენტიფიცირება

c. ECHR-ით დადგენილი დისკრიმინაციის დაუშვებლობის გარანტიების გავრცელების სფერო

d. ისეთი სიტუაციების იდენტიფიცირება, სადაც საჭიროა თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა, და ასევე „პოზიტიური დისკრიმინაციის“ ვითარებების იდენტიფიცირება.

კურსის ფარგლებში შემდეგი საკითხები უნდა იქნას განხილული:

- თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის სამართლებრივი საფუძვლები საერთაშორისო სამართლის მიხედვით
- მნიშვნელოვანი დეფინიციები: პირდაპირი დისკრიმინაცია; ირიბი დისკრიმინაცია; ვიქტიმიზაცია; დევნა

კურსის მოსამზადებლად გამოყენებული საკვანძო მასალები: Interrights, *დისკრიმინაციის დაუშვებლობა საერთაშორისო სამართლის მიხედვით.* იხილეთ შემდეგ მისამართზე: http://www.interights.org/handbook/index.html/. მოცემული მასალები კარგ საფუძველს წარმოადგენენ კურსის შინაარსის შესამუშავებლად.

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 2 - უთანასწორობის წყაროები; ამჟამად არსებული პრაქტიკა

მცირე ჯგუფებში განხილვა 30 წუთის განმავლობაში; შემდეგ 10-წუთიანი პლენარული სესია ჯგუფური მუშაობის შედეგების წარდგენით. მოცემული სესიის განმავლობაში გათვალისწინებულია მონაწილეებისთვის შეკითხვების დასმა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ფესვგადგმულია ეროვნულ დონეზე საზოგადოებაშიგარკვეული ცრუ შეხედულებები, და რამდენად ახდენს ეს ზეგავლენას სახელმწიფო მომსახურებების მიწოდებაზე. საჭიროა ამ საკითხებისადმი სენსიტიური მიდგომა, მაგრამ შესაძლებელია გარეშე სარეფერენციო წყაროების იდენტიფიცირება დისკუსიის ხელშეწყობის მიზნით. თუ ადგილობრივი წყაროები არ არის ხელმისაწვდომი, დისკუსია შეიძლება ECRI-ს ანგარიშებზე (ან მსგავს საერთაშორისო მასალებზე) დაყრდნობით გაიმართოს.

დისკუსიის მიზანია მონაწილეებთან ერთად განხილვა, თუ რამდენად ფართოდაა გავრცელებული საზოგადოებაში ცრუ შეხედულებები და დამოკიდებულებები (ან დამახასიათებელია თუ არა ასეთი შეხედულებები რაღაც კონკრეტული ჯგუფისთვის, მაგ. ასაკობრივი ნიშნით); რამდენად დამახასიათებელი დისკრიმინაციული მოპყრობა. შესავალ ნაწილში კურსის მონაწილეებს ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ შემდეგ საკითხებზე:

- ადამიანები, რომლებიც პირდაპირ დისკრიმინაციას ექვემდებარებიან;
- პოლიტიკა, რომელიც ირიბ დისკრიმინაციას უწყობს ხელს;
- ვიქტიმიზაცია (საჩივრის წარდგენის გამო);
- დევნა.

მოცემულ ეტაპზე შეიძლება საჭირო გახდეს „კეთილსინდისიერი პროფესიული მოთხოვნების“ ცნების განმარტება [დასაქმებასთან დაკავშირებით იხილეთ მე-5 შენიშვნა), რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ნავარაუდევია, რომ მონაწილეები ღია დისკუსიების შედეგად შეძლებენ თანამედროვე საზოგადოებაში პიროვნების ინდივიდუალური მახასიათებლების ნიშნით დისკრიმინაციული დამოკიდებულებების და მოპყრობის იდენტიფიცირებას. მოცემული საკითხის განხილვა სიფრთხილით უნდა მოხდეს, მაგრამ სწავლების ერთ-ერთი შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ კურსის მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართული დამოკიდებულებების ცვლილების საკითხში. [ECRI-ს ანგარიშები ნამდვილად შეიცავენ ისეთ ასპექტებს, რომლებიც დისკუსიებს შეუწყობენ ხელს, რაც ფასილიტატორს საშუალებას მისცემს (ა) განმარტოს ECRI-ს და ევროპის საბჭოს სხვა საკვანძო ინიციატივები, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა შესახებ კონვენცია; და (ბ)და განიხილოს ინდივიდუალური საჩივრის მეშვეობით ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფარგლები).

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 3 - დისკრიმინაცია და ECHR

1-ლი სესიის განმავლობაში კურსის მონაწილეებისთვის წარდგენილი იქნა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული 4 ასპექტი. მოცემული ნაწილის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია ECHR-ში განხილულ პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციაზე (კერძოდ, მე-14 მუხლი და მე-12 ოქმი). მნიშვნელოვანია, რომ კურსის მონაწილეებმა გაიგონ შემდეგი: (ა) განსხვავებული მოპყრობა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონვენციის დებულებების მოთხოვნებს (მაგ. მე-8 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს) იმ შემთხვევაშიც, თუ არ ამოქმედდება მე-14 მუხლი; (ბ) სხვა ჯგუფთან მიმართებაში

NOTES

შედარების ცნება; (გ) კანონიერი მიზნის, სამართლებრივი განსაზღვრულობისა და თანაზომიერების პრინციპები.

მოცემული ნაწილი გარკვეულწილად ტექნიკური ხასიათისაა, მაგრამ კურსის მონაწილეებმა უნდა გაიგონ სამართლებრივი ტესტის არსი, და მისი გამოყენება ორ სფეროსთან მიმართებაში მაინც. მოცემულ ეტაპზე ასევე მიზანშეწონილია „მაღალი რისკის" მახასიათებლების შესახებ ცნების განმარტება (სექსუალური ორიენტაცია და ბოშების წინააღმდეგ დისკრიმინაცია).

მოსამზადებელი დისკუსიის (30 წუთი) შემდეგ მონაწილეები მცირე ჯგუფებში იმუშავებენ. კურსის მონაწილეთა კონკრეტული სფეროს გათვალისწინებით, შესაძლებელია საჭირო გახდეს განსხვავებული საჭიროებების გონივრული დაკმაყოფილების ცნების განმარტება (მაგ. სამუშაო ადგილას რელიგიური სიმბოლიკის შემცველი სამკაულების ტარება; განათლების სფეროში რელიგიური მრავალფეროვნების გათვალისწინება; „კეთილსინდისიერი პროფესიული მოთხოვნების" წაყენება; სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვა; რასობრივი ნიშნით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება და სხვა).

განხილული უნდა იქნას შემდეგი საკვანძო საკითხები:

- უმცირესობათა დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სულისკვეთების განუყოფელი ნაწილია. განსაკუთრებით დაუშვებელია დისკრიმინაციული მოპყრობა, რადგანაც იგი ადამიანის ღირსებისა და კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტალური ცნებებთან წინააღმდეგობაში მოდის. სქესობრივი, ან რასობრივი ნიშნით დისკრიმინაცია ასეთი მოპყრობის მსხვერპლისთვის ღირსების შემლახველია, რადგანაც იგი ამ დისკრიმინაციის მსხვერპლი სქესობრივი ან რასობრივი სტერეოტიპების გამო ხდება და მისი პირადი ღირსებები უგულებელყოფილია.

- ECHR-ში ასახულია დისკრიმინაციის დაუშვებლობის ნათელი დებულებები. კერძოდ, ECHR-ის მე-14 მუხლი; აგრეთვე მე-7 ოქმის მე-5 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ მეუღლეები სარგებლობენ კერძო სამართლებრივი ხასიათის თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით ერთმანეთს შორის და შვილებთან ურთიერთობაში, დაქორწინების დროს, ქორწინების განმავლობაში და მისი შეწყვეტის შემთხვევაში; და მესამე: მე-12 ოქმის პირველი მუხლი, რომელიც 2005 წელს შევიდა ძალაში, რომელიც ადგენს დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას.

- მე-14 მუხლის კონტექსტში „დისკრიმინაციაში იგულისხმება გონივრული დასაბუთების გარეშე მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა... [სასამართლომ] ასევე დაადგინა, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფოს ზოგადი პოლიტიკა და ღონისძიებები დისკრიმინაციულ ან არათანაზომიერ გავლენას ახდენენ ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფზე, შეიძლება კვალიფიცირებული იქნას როგორც კონვენციის დარღვევა, რომელიც დე ფაქტო ვითარებიდან გამომდინარეობს". ზოგადად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ მე-14 მუხლის დარღვევის საგანზე წარდგენილი საჩივრის განხილვას, თუ პრეცედენტული სამართლით უკვე დადგენილია იმავე საკითხთან დაკავშირებით ფუძემდებლური გარანტიის დარღვევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც „საქმე ეხება ამ ძირითადი უფლებების დარღვევას არათანასწორი მოპყრობის გამო". პირს არ შეუძლია უარი განაცხადოს თავის უფლებაზე არ დაექვემდებაროს დისკრიმინაციულ მოპყრობას.

- მე-14 მუხლი ერთობლიობაში უნდა იქნას განხილული რომელიმე სხვა გარანტიასთან, ან გარანტიებთან, რომლებიც ასახულია კონვენციის 2-12 მუხლებში, ან რომელიმე ოქმში.

- „არსებითად ანალოგიური“ ვითარების არსებობისას, თუ გარემოებები კონვენციით დაცული უფლების ფარგლებში ხვდება, და ამ ორ შემთხვევაში პირებისადმი განსხვავებულ მოპყრობას ჰქონდა ადგილი, მე-14 მუხლის გავრცელების საკითხი გადაწყდება ამ ორი ვითარების მსგავსების შესახებ ფაქტორების გათვალისწინებით. ეს კონკრეტული პირები შეიძლება არსებითად მსგავს ვითარებაში ყოფილიყვნენ. თუ ანალოგიური ვითარება არ გამოიკვეთება, მე-14 მუხლი შეიძლება არ გავრცელდეს.

- *აკრძალული საფუძვლები:* თუ არსებითად ანალოგიურ ვითარებაში სხვადასხვა პირებისადმი მოპყრობა განსხვავებულია, შემდეგი შეკითხვა მდგომარეობს იმაში, განსხვავებული მოპყრობა ხვდება თუ არა მე-14 მუხლის გავრცელების სფეროში. აკრძალული საფუძვლების ჩამონათვალი განისაზღვრება ფრაზით „განურჩევლად ისეთი ნიშნით დისკრიმინაციისა, როგორიცაა...“, და ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, არამედ მაგალითის სახითაა მოყვანილი. მომჩივანმა უნდა დაამტკიცოს, რომ განსხვავებული მოპყრობა განპირობებულია პიროვნული მახასიათებლით ან მდგომარეობით. აკრძალულ საფუძვლებს მიეკუთვნება: სექსუალური ორიენტაცია, ოჯახური მდგომარეობა და სხვა. აღსანიშნავია, რომ „ქონებრივი მდგომარეობა“ არ არის დაკავშირებული თანდაყოლილ თვისებასთან, და არ არის განუყოფლად დაკავშირებული პირის იდენტობასთან ან პიროვნულ თვისებებთან (მაგ. სქესი, რასობრივი თუ რელიგიური კუთვნილება).

- *განსხვავებული მოპყრობის აუცილებლობის დასაბუთება;* თუ ანალოგიურ ვითარებებში სხვადასხვა პირებისადმი განსხვავებულ მოპყრობას ჰქონდა ადგილი, რაც კონვენციით დაცული უფლების ფარგლებში ხვდება, და მე-14 მუხლით დაცული საფუძველით ხორციელდება, მაშინ უნდა დაისვას შეკითხვა, თუ რამდენად „ობიექტური და გონივრული“ დასაბუთება გააჩნია ასეთ განსხვავებულ მოპყრობას. განსხვავებული მოპყრობა ყოველთვის არ მოიაზრება დისკრიმინაციად: ხელისუფლება „ხშირად აწყდება ისეთ ვითარებებს და პრობლემებს, როდესაც განსხვავებული გარემოებების გამო აუცილებელი ხდება განსხვავებული სამართლებრივი გამოსავალის ძებნა: გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ გარკვეული სამართლებრივი უთანასწორობა შეიძლება რეალურად არსებული უთანასწორობის აღმოფხვრას ემსახურებოდეს“. განსხვავებული მოპყრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება დისკრიმინაციული, თუ იგი არ ემსახურება კანონიერ მიზანს, ან „თუ არ არსებობს „გონივრული ურთიერთმიმართება ან თანაზომიერება გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის“. ძალიან წონიანი მიზეზები უნდა დასახელდეს იმისთვის, რომ ისეთი ნიშნით განსხვავებული მოპყრობა, როგორიცაა ეთნიკური კუთვნილება, ეროვნება, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, გამართლებულად იქნას მიჩნეული.

- იმის მტკიცების ტვირთი, რომ მომჩივანი მსგავს ვითარებაში მყოფი სხვა პირისგან განსხვავებულ მოპყრობას დაექვემდებარა, თავად მომჩივანს ეკისრება. ამგვარად, შემდეგ

NOTES

სახელმწიფომ უნდა მოიყვანოს ობიექტური და გონივრული დასაბუთება იმისა, თუ რატომ დაექვემდებარა პირი განსხვავებულ მოპყრობას.

- მე-14 მუხლი არ შემოიფარგლება მხოლოდ პირდაპირი დისკრიმინაციით: იგი ასევე ირიბ დისკრიმინაციაზეც ვრცელდება. მე-14 მუხლი ასევე ადგენს ვალდებულებას, რომლის შესაბამისადაც არსებითად განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი მოპყრობა განსხვავებული უნდა იყოს.

საკვანძო საქმეები:

- *Thlimmenos v Greece*, [GC] 2000-IV, საქმე შეეხებოდა პირს, რომელსაც უარი ეთქვა სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მინიჭებაზე სისხლის სამართლის საქმეზე ნასამართლეობის გამო, როდესაც მან უარი განაცხადა სამხედრო უნიფორმის ტარებაზე მისი რელიგიური მრწამსის გამო, რადგანაც იგი იეღოვას მოწმეების მიმდევარი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზეზი გააჩნდა არ მიენიჭებინა გარკვეული პირებისთვის სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი, „პირის მსჯავრდება რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსის გამო უნიფორმის ტარებაზე უარის თქმის გამო არ ნიშნავს, რომ პირი არაკეთილსინდისიერია, ან ზნედაცემულია, რის გამოც იგი ვერ მოახერხებდა მასზე დაკისრებული პროფესიული მოვალეობების შესრულებას“. შესაბამისად, მოცემულ საფუძველზე პირის ამორიცხვა არათანაზომიერი და გაუმართლებელი იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „არ არსებობდა ობიექტური ან გონივრული გამართლება იმისა, რომ მომჩივანისადმი მოპყრობა ყოფილიყო განსხვავებული მძიმე დანაშაულში მსჯავრდებული ნებისმიერი სხვა პირის მიმართ არსებული მოპყრობისგან“.

- *Nachova and Others v Bulgaria* [GC] 2005-VII, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას ერთობლიობაში მე-2 მუხლთან, რადგანაც რასობრივი საფუძვლით მოტივირებული მკვლელობის შესახებ განცხადებაზე გამოძიება არ ჩატარებულა. მიუხედავად იმისა, რომ არ იქნა დამტკიცებული, რომ რასისტულმა დამოკიდებულებამ გარკვეულწილად განაპირობა მკვლელობა, ხელისუფლების მხრიდან რასისტული სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ ბრალდების გამოუძიებლობის გამო, რაც შესაძლოა გამოავლენდა ეთნიკური, ან უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ ძალის გამოყენების შესაძლებელ რასისტულ მოტივებს, „უაღრესად მნიშვნელოვანია იმ საკითხზე პასუხის გასაცემად, ჰქონდა თუ არა ადგილი უკანონო და სიძულვილით გამოწვეულ ძალადობას“.

- *DH and Others v Czech Republic,* [GC] 2007, ბოშა ბავშვების კოგნიტიური პრობლემების მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილ სპეციალიზირებულ სკოლებში მიმაგრება მიჩნეული იქნა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევად ერთობლიობაში პირველი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევასთან. მიუხედავად იმისა, რომ თავად ბავშვების სპეციალიზირებულ სკოლებში მიმართვის მარეგულირებელი კანონმდებლობის ხარვეზები არ გამოვლენილა, სტატისტიკური მონაცემები ადასტურებდა, რომ ის, თუ როგორ ხდებოდა კანონმდებლობის

პრაქტიკაში აღსრულება იწვევდა იმას, რომ ბოშა ბავშვების დიდი რაოდენობა ხვდებოდა ასეთ სკოლებში. შესაბამისად, მტკიცების ტვირთმა სახელმწიფოზე გადაინაცვლა, და მას უნდა მოეყვანა მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ კანონის ასეთი ზეგავლენა განპირობებული იყო ობიექტური ფაქტორებით, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეთნიკურ კუთვნილებასთან. სასამართლომ დაასკვნა, რომ ის ტესტები, რომლებსაც სახელმწიფო ეყრდნობოდა, ვერ ამართლებდა განსხვავებულ მოპყრობას.

- საქმეში *Hoffman v Austria*, (1993) A 255-C, მომჩივანს უარი ეთქვა მისი ბავშვის მეურვეობაზე, რადგანაც იგი იეღოვას მოწმეების მიმდევარი იყო. სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ თავისი გადაწყვეტილების დაფუძნება განსხვავებული რელიგიისადმი კუთვნილების ფაქტზე, დაუშვებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საქმეზე ძირითად ასპექტს რელიგიური კუთვნილება წარმოადგენდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა მე-8 და მე-14 მუხლების დარღვევას, რადგანაც საქმე ეხებოდა ბავშვზე მეურვეობას, რაც ოჯახური ცხოვრების ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს.

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 4 - პრეზენტაცია

მოცემული სესია კურსის მონაწილეებს ეხმარება უმცირესობების წარმომადგენლებზე დისკრიმინაციის შედეგების უკეთ გაგებაში. სესია დაახლოებით 10 წუთი გრძელდება (თუ ვიდეომასალა იქნება გამოყენებულ; ხოლო თუ პრეზენტაციას მოწვეული სტუმარი გააკეთებს - სავარაუდოდ სესია 15 წუთი გაგრძელდება). ტრენინგის ფარგლებში მოცემულ სფეროში არსებული სხვადასხვა მასალა უნდა იქნას გამოყენებული, და დისკრიმინაციის მსხვერპლისგან ამის შესახებ მოსმენა შეიძლება ეფექტური ინსტრუმენტი იყოს, რაც დამოკიდებულების ცვლილებას გამოიწვევს. YouTube-ზე (ან მსგავს წყაროებზე) ასეთი ხასიათის მრავალი მასალა არსებობს (სავარაუდოდ, უცხო ენაზე); თუ ასეთი მასალები არ გაქვთ ხელთ, შეიძლება რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციიდან იყოს მოწვეული წარმომადგენელი, რომელიც მოკლე პრეზენტაციას გააკეთებს. [მაგალითად, იხილეთ https://www.youtube.com/watch?v=BO6PQHGXnIk]

ვიდეოს ან პრეზენტატორის არჩევანი დამოკიდებულია აუდიტორიაზე. პრეზენტატორს წინასწარ ბრიფინგი უნდა ჩაუტარდეს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- დროის მკაცრად განსაზღვრა, რაც სპიკერმა უნდა გაითვალისწინოს
- ტრენინგის მიზანი - ანუ, აუდიტორიისთვის დისკრიმინაციასთან ბრძოლის აუცილებლობის განმარტება
- თუ შესაძლებელია, დისკრიმინაციასთან დაკავშირებით პირადი გამოცდილების გაზიარება
- თუ შესაძლებელია, პოლემიკაში შესვლა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს რომელიმე ორგანიზაციის პირდაპირი გაკრიტიკება

NOTES

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 5 - დისკუსიები მცირე ჯგუფებში: პრინციპების გამოყენება სცენარებთან მიმართებაში

ბოლო სესია სხვადასხვა სცენარის ჯგუფებში განხილვას ითვალისწინებს. ჯგუფებში მუშაობის მიზანია: (ა) მე-3 ნაწილში განხილული EuCtHR-ის პრეცედენტული სამართლის პრინციპების გავრცელება კაზუსებზე (ბ) უთანასწორობის, ან დისკრიმინაციის პროაქტიული პრევენციის შესაძლებლობების განხილვა კურსის მონაწილის ორგანიზაციისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების გზით.

ეს ორი დავალება თავისი ხასიათით ერთმანეთისგან განსხვავდება. პირველი ნაწილი გულისხმობს შეძენილი ცოდნის გამოყენებას; მეორე ნაწილი პირდაპირ სვამს დამოკიდებულების ცვლილების აუცილებლობის საკითხს ორგანიზაციულ და კულტურულ ასპექტებზე ყურადღების გამახვილების გზით. (თუ ჯგუფებისთვის მეორე დავალება რთული გამოდგება, ფასილიტატორმა შეიძლება მათ სხვა დავალება მისცეს, მაგალითად „ციხის პერსონალის ტრენინგის შედეგები (ციხის პერსონალისთვის ტრენინგი), ან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების თაობაზე გაცხადება და ამ ფაქტების გამოძიება (პროკურორებისთვის).

სცენარების პირველ ნაწილში ყურადღება შეიძლება გამახვილდეს სტრასბურგის პრეცედენტულ სამართალში განხილულ ასპექტებზე (ზემოთ მოყვანილი კაზუსები), მაგრამ ეს აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. ასევე, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს სტრასბურგის „საკონტროლო ჩამონათვალის“ გამოყენება, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

დამოკიდებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ ასპექტებზე მუშაობისას შეიძლება გამოყენებული იყოს რამდენიმე სცენარი ეროვნული კონტექსტის შესახებ. შეიძლება სასარგებლო გამოდგეს ქვემოთ მოცემული მასალები (ამერიკის გამოცდილება):

http://stepupprogram.org/topics/discrimination/

3.6 საჯარო მოხელეების მხრიდან არასათანადო მოპყრობის რისკის აღმოფხვრა: კურსი საჯარო მოხელეებისთვის, რომლებიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს წარმომადგენლები არიან

1. მიზანი

ისეთი საჯარო მოხელეების დაუსჯელობასთან ბრძოლა, როგორიცაა პოლიციის ოფიცრები, ან ციხის პერსონალი, რომლებიც არასათანადო მოპყრობაში არიან მხილებული, უაღრესად მნიშვნელოვანია. ECHR-ის მე-3 მუხლი პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს ეროვნულ ხელისუფლებებს უზრუნველყონ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებების, ან ნიშნების გამოძიება.

მოცემულთან დაკავშირებით სამართლებრივი ვალდებულებები და მათი გავრცელების სფერო სავარაუდოდ გასაგებია, მაგრამ საჯარო მოხელეები არ იცავენ ამ მოთხოვნებს. შეიძლება არსებობდეს დამოკიდებულების პრობლემაც, და საჭიროა განიმარტოს, რომ კოლეგამ, რომლისთვისაც ცნობილი გახდა არასათანადო მოპყრობის თაობაზე, უნდა განაცხადოს ამის შესახებ. შეიძლება ორგანიზაციული კულტურა ყოველთვის არ უწყობდეს ამას ხელს.

სავარაუდოდ, სამიზნე აუდიტორია უნდა იყოს პოლიცია, ციხის პერსონალი, და ბავშვთა მართლმსაჯულების სამსახურები. [შენიშვნა: დამატებითი მასალებია შემოთავაზებული იმ პირებისთვის, ვინც პასუხისმგებელია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მონიტორინგის ჩატარებაზე: იხილეთ 3.6.]

2. კურსის მიზანი და სწავლების მოსალოდნელი შედეგები

მოცემული კურსის მიზანია საჯარო მოხელეებისთვის დახმარების გაწევა შემდეგი პრინციპების და მათი გავრცელების სფეროს გაგებაში: (ა) არასათანადო მოპყრობის აღკვეთის ვალდებულება; და (ბ)არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების ეფექტური გამოძიებისა და ამ პროცესის ხელშეწყობის პოზიტიური ვალდებულება.

შემოთავაზებულია სწავლების შემდეგი მოსალოდნელი შედეგები:

კურსის დასრულებისკენ მონაწილე შეძლებს შემდეგს:

- „მოწყვლადი პირების“ ცნების განსაზღვრა მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის პოზიტიური ვალდებულების კონტექსტში
- საჯარო სექტორის ვალდებულებების ჩამოყალიბება მოცემულ სფეროსთან მიმართებაში
- სტრასბურგის პრეცედენტული სამართლის პრინციპების გავრცელება ფაქტობრივ ვითარებებზე
- პირადად და პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მოწყვლადი პირების დაცვის ვალდებულების დაკისრება

NOTES

3. შემოთავაზებული საკონტაქტო საათები და სასწავლო საათები

მოცემული მოდულის მიზანია ძირითადი სამართლებრივი პასუხისმგებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლება. მოდული 5 საათიან სწავლებას გულისხმობს (შესავალი სესიისა და შესვენებების გამოკლებით). [შესაბამისად, ეს შეიძლება იყოს ერთდღიანი სპეციალური კურსი, ან მოცემული მოდული შეიძლება ჩართული იქნას შესაბამის სასწავლო კურსში].

მოცემული მოდული მოქნილობის ფართო საშუალებას იძლევა. სამიზნე აუდიტორია შეიძლება მოიცავდეს: სასამართლო ექსპერტიზის პერსონალს, დაკავების ადგილების მონიტორინგზე პასუხისმგებელი სტრუქტურების პერსონალს და სხვა.]

4. კურსის შინაარსი და სასწავლო კურსის სავარაუდო მონახაზი

შემოთავაზებულია, რომ ტრენინგი გასცდეს „ეფექტური გამოძიების“ საკითხს და ყურადღება გამახვილდეს იმ ჯგუფებზე, რომლებიც შეიძლება განსაკუთრებით მოწყვლადი იყვნენ არა-სათანადო მოპყრობის მიმართ, რაც მე-3 სესიის ფარგლებში იქნა განხილული.

ტრენინგის შინაარსი დამოკიდებულია სამიზნე აუდიტორიის შემადგენლობაზე. ციხეებში მომუშავე პერსონალისთვის გამიზნული ტრენინგის შემთხვევაში შემოთავაზებულია კურსის შემდეგი მონახაზი:

სესია 1: ECHR-ის მე-3 მუხლით დადგენილი პოზიტიური ვალდებულებების ხასიათი, პრინციპები და გავრცელების სფერო განხილვა, დაახლოებით 30 წუთი

სესია 2: ‘მოწყვლადი ჯგუფების’ იდენტიფიცირება, მცირე ჯგუფებში მუშაობა, დაახლოებით 60 წუთი, მათ შორის პლენარული და ინფორმაციული უკუგაცვლისთვის გათვალისწინებული 15 წუთის ჩათვლით]

სესია 3: მოწყვლადი თავისუფლებააღკვეთილი პირების დაცვა პრაქტიკაში, დაახლოებით 40 წუთი, ხოლო შემდეგ კაზუსების განხილვა მცირე ჯგუფებში 45 წუთის განმავლობაში, და შედეგების თაობაზე მოხსენება; დასკვნითი ნაწილი

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 1

ძირითადი საკვანძო საკითხებია: (ა) ECHR-ის მე-3 მუხლით დადგენილი პოზიტიური ვალდებულებების ხასიათი, პრინციპები და გავრცელების სფერო(უფლებები უნდა იყოს „პრაქტიკაში აღსრულებული და ეფექტური’, და არასათანადო მოპყრობის ფაქტის დადგენა მტკიცებულებების მოპოვების გზით); (ბ) ეფექტური გამოძიების წარმოების სამართლებრივი ვალდებულება (როდის ამოქმედდება ეს ვალდებულება? და რას გულისხმობს ეს?) აქ ძირითად საკითხს წარმოადგენს მე მუხლის პროცესუალური მხარე. ყურადღება შემდეგ ასპექტებზე უნდა გამახვილდეს:

- „პროცესუალური ასპექტი“, ანუ „პროცესუალური მხარე“ გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას არასათანადო მოპყრობის შესახებ სარწმუნო საჩივრების, ან საკმარისად სანდო მიმანიშნებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები კონვენციით დაცული უფლებების დარღვევების ფარგლებში ხვდება, განახორციელოს ამ ფაქტების ეფექტური გამოძიება. მე-3 მუხლი დარღვეულად შეიძლება იქნას მიჩნეული, თუ დამტკიცდება, რომ სახელმწიფოს მიერ არასათანადო მოპყრობის გამოძიება არ იყო ეფექტური, მაშინაც კი, თუ ვერ დამტკიცდება, რომ არასათანადო მოპყრობად ნამდვილად ჰქონდა ადგილი. გამოძიება გულდასმით უნდა ჩატარდეს, რათა დადგენილი იქნას ფაქტობრივი გარემოებები, და უზრუნველყოს დამნაშავეების გამოვლენა და დასჯა. იმავდროულად გასათვალისწინებელია, რომ „გამოძიების ვალდებულება“ არის არა „შედეგის მიღწევის, არამედ საშუალების არსებობის ვალდებულება“: არ არის სავალდებულო, რომ ყველა გამოძიება მომჩივანისთვის წარმატებით დასრულდეს, მაგრამ გამოძიებამ უნდა შეძლოს ფაქტების დადგენა, და დამნაშავეების გამოვლენა და დასჯა“.

- გამოძიების დაწყების ვალდებულება მაშინ წარმოიქმნება, როდესაც შესაბამისი სახელისუფლებო სტრუქტურებისთვის ცნობილი გახდება იმ გარემოებებს შესახებ, რომლებიც მიანიშნებენ, რომ სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა საკმარისად მძიმე არასათანადო მოპყრობის ფაქტს, რაც მე-3 მუხლის გავრცელების სფეროში ხვდება. ანუ, არსი იმაში მდგომარეობს, რომ „საკმარისად ნათელი მიმანიშნებელი არსებობს იმისა, რომ ადგილი ჰქონდა წამების ან არასათანადო მოპყრობის ფაქტს", ანარსებობს „სადაო პრეტენზია" არასათანადო მოპყრობის თაობაზე, რაც „საფუძვლიანი ეჭვის" საფუძველს იძლევა. გამოძიების ჩატარების ვალდებულება შეიძლება მაშინაც წარმოიქმნეს, თუ პირს არ წარუდგენია საჩივარი არასათანადო მოპყრობის თაობაზე, მაგრამ არსებობს სხვა საკმაოდ ნათელი მინიშნებები ამ ფაქტის არსებობის თაობაზე, თუმცა ასეთი ვალდებულება არ წამოიქმნება, როდესაც არასათანადო მოპყრობის თაობაზე განცხადება არ არის სარწმუნო.

- როდესაც პირს შეუძლია დაამტკიცოს, რომ იგი არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა, რომელიც მე-3 მუხლის მოცვის ფარგლებში ხვდება, ამოქმედდება მოთხოვნა, რომლის შესაბამისადაც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს დაზარალებულისთვის სამართლიან დაკმაყოფილებას და დამნაშავეების დასჯას, რასაც ასევე მომავალში მსგავსი უკანონო ქმედებების აღკვეთის ეფექტი ექნება.

- თუ არსებობს მინიშნება, რომ სახელმწიფო მოხელეების მიერ არასათანადო მოპყრობაში დისკრიმინაციულ ელემენტებს შეიცავს, ან თუ ასეთი ელემენტები გამოვლინდა სახელმწიფო მოხელეების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების ფარგლებში მესამე მხარეების მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე რეაგირების თვალსაზრისით, წარმოიქმნება ვალდებულება გამოძიებული იქნას, თუ რამდენად საფუძვლიანია ასეთი მოპყრობის შესახებ განცხადებები. იმავდროულად, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები უნდა იქნას მოყვანილი.

- იმ შემთხვევაში, თუ არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივარი სარწმუნო გამოდგა, და გამოძიება უნდა უზრუნველყოფდეს ფაქტების დადგენას, და დამნაშავის იდენტიფიცირებას და დასჯას, „ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა უნდა წარმართოს იმის დასადგენად, თუ რა მოხდა, და არ უნდა დაეყრდნოს ნაჩქარევ, ან დაუსაბუთებელ დასკვნებს და დახუროს გამოძიება, ან ასეთი დასკვნებით იხელმძღვანელოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, და შესაბამისად, ამ მიზნით „ყველა გონივრულ ზომას უნდა მიმართოს ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოძიების მიზნით". ეროვნულ დონეზე გამოძიების ეფექტურობის დადგენა ხუთი პრინციპის გამოყენებით ხდება. პირველ რიგში, გამოძიება იმ სტრუქტურებისგან დამოუკიდებელმა ორგანომ უნდა ჩაატაროს, რომელმაც სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობა ჩაიდინა. მეორე, გამოძიება უნდა იყოს ადეკვატური (ანუ, უნდა მოხდეს მტკიცებულებების მოძიება იმის დასადგენად, თუ რამდენად უკანონო იყო პოლიციის მიერ ჩადენილი ქმედებები, და თუ დადგინდა, რომ უკანონო ქმედებებს ჰქონდა ადგილი, უნდა მოხდეს დამნაშავეების გამოვლენა და დასჯა). მესამე, გამოძიება დროულად უნდა ჩატარდეს. მეოთხე, გამოძიებასა და მის შედეგებზე საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმი უნდა არსებობდეს, თუმცა საზოგადოებრივი ზედამხედველობის ხარისხი დამოკიდებულია კონკრეტული გარემოებების ხასიათზე. მეხუთე, მსხვერპლი საკმარისად ჩართული უნდა იყოს პროცედურაში, რათა მისი კანონიერი ინტერესები იქნას დაცული.

NOTES

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 2

მოცემული სესია მიზნად ისახავს „მოწყვლადი პირების“ იდენტიფიცირებას.

სესია ითვალისწინებს მცირე ჯგუფებში მუშაობას 45 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც პლენარულ სესიაზე ინფორმაციული უკუგებაა დაგეგმილი 15 წუთის განმავლობაში.

დისკუსიის მიზანია მონაწილეების მიერ პატიმრობაში მყოფი „მოწყვლადი პირების“ იდენტიფიცირება. შესავალი პრეზენტაციის განმავლობაში ტრენინგის მონაწილეების ყურადღება 2 კატეგორიაზე უნდა იქნას მიმართული:

- პირები, რომლებიც ფსიქოლოგიურ ზიანს განიცდიან რომელიმე სხვა კონკრეტული პირის ქმედებების გამო
- პირები, რომლებიც შეიძლება დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მათი პირადი მახასიათებლების გამო

სესიისგან მოსალოდნელი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ პირადი გამოცდილების გაზიარების გზით ტრენინგის მონაწილეები შეძლებენ გარკვეული შემთხვევების გახსენებას და განხილვას (მაგალითად, პოლიციის ოფიცრებთან, ოჯახური ძალადობის ან ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლებთან დაკავ-შირებული სიტუაციები), და განიხილავენ წარსულ საქმეებთან დაკავშირებით ორგანიზაციულ და ინსტიტუციონალურ ხარვეზებს. გარდა ამისა, ასევე ნავარაუდევია, რომ ფასილიტატორები დაეხმარებიან ტრენინგის მონაწილეებს (ა) „მოწყვლადობის“ ცნების გაანალიზებასა და რისკების იდენტიფიცირებაში (რაზედაც დაყრდნობით ინფორმაციული უკუგება მოხდება).

დისკუსიები ტრენინგის მონაწილეთა კონკრეტულ ჯგუფებზე უნდა იყოს ორიენტირებული, მაგალითად, პოლიცია, ციხე, საჯარო მოხელეები, რომლებიც საჩივრებს განიხილავენ და სხვა. მოცემული საკითხები უაღრესად სენსიტიურია, და ხშირად საკმაოდ რთულია იმ ფაქტორებზე საუბარი, რომელთა გამო კოლეგებმა შეიძლება არასათანადო მოპყრობას მიმართონ. თუ დისკუსია შეფერხდება,მონაწილეებს უნდა სთხოვონ განიხილონ ის ზოგადი ან კულტურული ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ არასათანადო მოპყრობას (ან პირიქით, მის პრევენციას ახდენენ).

საბოლოო მიზანია ტრენინგის მონაწილეებისთვის დახმარების გაწევა დამოკიდებულებების ცვლილების მნიშვნელობის და რისკების მართვის (ჯგუფური ან ინდივიდუალური) აუცილებლობის გაგებაში.

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 3 - პოზიტიური ვალდებულებები პრაქტიკაში

მოცემული სესიის განმავლობაში მონაწილეები გაეცნობიან ოსმანის საქმეს და მასთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართალს. სესიის განმავლობაში ყურადღება უნდა გამახვილდეს EuCtHR-ის მიერ განხილულ პრეცედენტულ სამართალში ასახულ პოზიტიური ვალდებულებების პრაქტიკაში აღსრულებაზე. საქმეების შერჩევა სამიზნე აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს (როგორც ზემოთ აღინიშნა), მაგრამ სხვადასხვა ხასიათის საქმეები უნდა იქნას განხილული, მათ შორის გარკვეული ხარვეზებიც. კურსის მონაწილეებმა უნდა გაიგონ (ა) გარემოებები, როდესაც ასეთი ვალდებულებები წარმოიქმნება; (ბ) „იდენტიფიცირებადი რისკისა“ და „გონივრული ზომების“ ტესტი.

მოსამზადებელი პრეზენტაციის შემდეგ (30 წუთი) კურსის მონაწილეები მცირე ჯგუფებში იმუშავებენ. ეს გულისხმობს სხვადასხვა სცენარების ჯგუფურ განხილვას. ეს ადგილობრივი კონტექსტისადმი უნდა იქნას მისადაგებული (მაგ. ეროვნული კანონმდებლობის, პრაქტიკისა და ორგანიზაციული პასუხისმგებლობების გათვალისწინებით), მაგრამ იმავდროულად პრეცედენტული სამართლის შესაბამისად სხვადასხვა ფაქტორებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. ზოგადი აუდიტორიისთვის მთელი რიგი ასპექტები უნდაიქნას განხილული (ზოგადად პატიმრების დაცვა, პატიმრების კონკრეტული ჯგუფების დაცვა, ოჯახური ძალადობა და სხვა). ამ სცენარების წყაროებად შეიძლება ადგილობრივი მასალები გამოდგეს (მაგ. ციხეებში არასათანადო მოპყრობის შესახებ ანგარიშები, სტრასბურგის განჩინებები და სხვა).

3.7 დაუსჯელობასთან ბრძოლა; დამატებითი/ ალტერნატიული მასალები საჯარო მოხელეებისთვის, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონიტორინგზე არიან პასუხისმგებელი

1. მიზანი

ზოგადად, პოლიციასა და ციხეებში არსებული სისტემური პრობლემები კარგადაა დოკუმენტირებული. საჯარო მოხელეების გარკვეული კატეგორიისთვის, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონიტორინგზე არიან პასუხისმგებელი, მიზანშეწონილია სხვა ინსტიტუტებში არსებული პრაქტიკის გაცნობა (კერძოდ კიCPT). ხშირად აქცენტი კეთდება მხოლოდ დაკავების პირობების მონიტორინგზე, რაც არ არის სასურველი, მოცემული მოდულის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პრევენციულ და საგამოძიებო მონიტორინგზე, რათა არასათანადო მოპყრობის პრევენცია იქნას უზრუნველყოფილი.

მოცემული კურსი კიდევ უფრო ამყარებს წინა კურსის ფარგლებში შეძენილ ცოდნას [3.5],მაგრამ იგი ასევე შეიძლება ადაპტირებული იქნას კონკრეტული აუდიტორიის საჭიროებებისადმი. გარდა ამისა, შესაძლებელია ყურადღების გამახვილება სხვადასხვა უნარების განვითარებაზე, მაგ. გასაუბრების ტექნიკები, საცხოვრებელი პირობების ხარისხისა და ზომების შეფასება და სხვა.

2. კურსის მიზანი და სწავლების დასახული შედეგები

კურსი მიზნად ისახავს (ა) მონაწილეებისთვის CPT-ის სტანდარტებისა და მუშაობის მეთოდების შესახებ სიღრმისეული ცოდნის გადაცემას; და (ბ) სტანდარტების მოთხოვნების მნიშვნელობა იმ პირებისთვის, ვისაც მონიტორინგის ვიზიტების პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

სწავლების დასახული შედეგები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

კურსის დასასრულისთვის მონაწილეები შეძლებენ შემდეგს:

- CPT-ის ციხეებთან და მოკლევადიანი დაკავების იზოლატორებთან (სიზო) დაკავშირებული ძირითადი სტანდარტების ჩამოყალიბება
- მონიტორინგის სფეროში არსებული ხარვეზების გამოსწორება (და დაკავების პირობების მონიტორინგი)

3. მოცემული კურსის მიზანი და სწავლების მოსალოდნელი შედეგები

მოცემულ ეტაპზე, და სანამ საბოლოო სახით განისაზღვრება სწავლების მოცვის სფერო, სწავლების მოსალოდნელი შედეგების ზუსტად ჩამოყალიბება შეუძლებელია. ზოგადად, ეს შეიძლება იყოს ცოდნის ამაღლება და უნარების განვითარება.

4. კურსის შინაარსი

ასევე, შეუძლებელია კურსის შინაარსის ზუსტი განსაზღვრა. შეიძლება საჭირო გახდეს საბაზისო, და უფრო დეტალური სასწავლო კურსის ორგანიზება (პირველი შეიძლება შეეხებოდეს მონიტორინგის ვიზიტების ფარგლებში პირების უფლებამოსილებას და პასუხისმგებლობებს, ხოლო მეორე კი შეეხებოდეს ჯგუფებს, რომლებიც გადაუდებელი ვიზიტებით მიდიან დაწესებულებებში და უფრო კონკრეტულ სფეროებში გააჩნიათ გამოცდილება).

NOTES

სესია 1: მე-3 (და მე-2) მუხლის პროცესუალური ასპექტების გავრცელების სფერო და შინაარსი განხილვა: 30 წუთი

სესია 2: მონიტორინგის ჯგუფების წინაშე ეროვნულ დონეზე არსებული გამოწვევები დისკუსიები მცირე ჯგუფებში, 45 წუთი

სესია 3: თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მონიტორინგი ჩატარების უნარების დახვეწა მცირე ჯგუფებში მუშაობა, 2 საათი, ხოლო შემდეგ პლენარული დასკვნითი სესია

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 1 - მე-3 და მე-2 მუხლების პროცესუალური ასპექტები

ამოსავალი წერტილის სახით საჭიროა კურსის ყველა მონაწილის ცნობიერების ამაღლება სტრასბურგის მოლოდინების შესახებ, კერძოდ: ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოეფექტურობის კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს (დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; ეფექტურობა და დროულობა; დაზარალებულის საკმარისი ჩართულობა; საჯაროობა და საზოგადოებრივი ზედამხედველობა); საკანონმდებლო ჩარჩოუნდა იყოს კოორდინირებული და შესაძლებელი იყოს გადაწყვეტილებების გადასინჯვა(წარმოების შეჩერების, ან შეწყვეტის შემთხვევაში, დგება ასეთი გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლის ვალდებულება, ან შესაძლებელი უნდა იყოს სამართალწარმოების წამოწყება სისხლის სამართლის საჩივრის წარდგენის გზით იმ შემთხვევებში, როდესაც ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს); უნდა არსებობდეს არასათანადო მოპყრობის აღკვეთის მოტივაცია.

ასევე, საჭიროა დამოკიდებულებების შეცვლა და დასახული მიზნის მისაღწევად ძალისხმევის წარმართვა. ამგვარად, „ხელისუფლებამ ყველა გონივრული ზომა უნდა გაატაროს ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებების, მათ შორის სავარაუდო დაზარალებულისგან დეტალური ჩვენების, თვითმხილველების ჩვენების, სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი სამედიცინო დოკუმენტაციის მოპოვების მიზნით, რათა სრული და ზუსტი ინფორმაცია მოგროვდეს დაზიანებების თაობაზე, და ამ დაზიანებების მიზეზების ობიექტური ანალიზი გახდეს შესაძლებელი.“

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 2 - მონიტორინგის ჯგუფების მიერ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მონიტორინგთან დაკავშირებული გამოწვევები

მოცემული სესია მიზნად ისახავს მონაწილეებს შორის დისკუსიის ხელშეწყობას არსებული პრობლემების თაობაზე (მათი ვიზიტების შედეგად მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით). ეს საშუალებას აძლევს ჯგუფებს გამოავლინონ ის მნიშვნელოვანი სფეროები, სადაც ციხის მონიტორინგს ვითარების რეალურად შეცვლა შეუძლია. კურსის მონაწილეებს უნდა სთხოვონ შემდგომი მონიტორინგისთვის 3 სფეროს დასახელება. ჯგუფებმა (25 წუთი) უნდა გამოავლინონ ძირითადი პრობლემატური სფეროები. ეს შეიძლება იყოს (ქვეყნის 2014 წლის ანგარიშზე დაყრდნობით):

- მონიტორინგის ორგანოებთან კომუნიკაციის გამო დაშინება, ან დასჯა დისციპლინური გადაცდომის სახით უნდა იყოს დაკვალიფიცირებული;
- პატიმრებს უნდა შეეძლოთ არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ისე, რომ არ ეშინოდეთ შემდგომი დასჯის ან შურისძიების; გამონაკლის შემთხვევებში, თუ ამის საჭიროება არსებობს, პატიმარს უნდა შეეძლოს ითხოვოს სხვა დაწესებულებაში გადაყვანა;
- წერილობითი საჩივრების წარდგენისთვის პატიმრებისთვის ყოველთვის მისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი საკანცელარიო მარაგები: ციხეში რამდენიმე ადგილას უნდა იყოს ხელმისაწვდომი დასალუქი კონვერტები, და არ უნდა იყოს საჭირო მათი სპეციალურად მოთხოვნა; პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ტელეფონი ცხელ ხაზზე დასარეკად და კონფიდენციალური კომუნიკაციისთვის.
- უნდა არსებობდეს საჩივრების შესახებ მონაცემების და არასათანადო მოპყრობის

შემთხვევების შესახებ სტატისტიკის წარმოება, რათა ადრეულ ეტაპზევე მოხდეს შესაძლებელი დარღვევების გამოვლენა და გამოძიებისა და საჩივრების შედეგებსა და ანგარიშების მოთხოვნების შესრულებაზე მონიტორინგის დამყარება.

- ცენტრალიზებული წვდომა რეალურ დროში ციხის ფლიგელებში განთავსებული ვიდეო-კამერებისადმი, რათა შიდა მონიტორინგის განყოფილებას ან გამომძიებელს შესაბამისი ჩანაწერების ნახვა შეეძლოთ

- ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ციხის პერსონალის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გაცხადება მიღებული პრაქტიკა იქნება; ყველას ნათლად უნდა ესმოდეს, რომ არასათანადო მოპყრობაში ბრალი არა მხოლოდ ამ ქმედებების ჩამდენებს, არამედ ყველა იმ ადამიანებსაც მიუძღვით, რომლებმაც იციან, ან უნდა იცოდნენ ასეთი ფაქტების შესახებ, და არ ახდენენ მათზე სათანადო რეაგირებას და ამ ფაქტების გაცხადებას;

- სასწრაფოდ უნდა დაეთმოს ყურადღება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ციხის პერსონალის შერჩევა და დაქირავების, ასევე ხელმძღვანელი მენეჯმენტის დანიშვნისა და დაწინაურების კრიტერიუმებს. ტრენინგის ფარგლებში ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს პროფესიულ სტანდარტებზე ან დამოკიდებულებების ცვლილებაზე, მაგალითად ციხის პერსონალის ეთიკის კოდექსზე ყურადღების გამახვილების გზით.

- პატიმრებს უნდა შეეძლოთ ციხის ჯანდაცვის დანაყოფებისადმი მიმართვა კონფიდენციალურად, ისე რომ ციხის თანამშრომლებმა არ განახორციელონ სამედიცინო დახმარების შესახებ თხოვნების შეფასება და არ შეზღუდონ მათთვის ამ სერვისების ხელმისაწვდომობა; გარდა ამისა, პატიმრებს არ უნდა ეშინოდეთ, რომ რაიმე უარყოფითი შედეგები მოჰყვება მათ მიერ სამედიცინო პერსონალისთვის მიმართვას; ციხის პერსონალის მხრიდან ნებისმიერი მცდელობა ჩაერიონ ამ სერვისების ხელმისაწვდომობაში, ან კონსულტაციების კონფიდენციალურობა შელახონ, დისციპლინური სანქციებით უნდა ისჯებოდეს. პატიმრების სამკურნალოდ საავადმყოფოებში (ციხის, ან სამოქალაქო სექტორის) გადაყვანის თაობაზე გადაწყვეტილება კვალიფიცირებულმა სამედიცინო პერსონალმა უნდა მიიღოს, და არა პერსონალმა ან ადმინისტრაციამ.

- სასწრაფოდ უნდა დაეთმოს ყურადღება ყოველ პატიმართან დაკავშირებით კონფიდენციალური სამედიცინო ფაილების წარმოებისა და გრძელვადიანი შენახვის სისტემის მოწესრიგებას. საჭიროა ტრავმების სათანადო აღრიცხვა: ნებისმიერი ძალადობის ნიშნები, ასევე პატიმრის განცხადებები და ექიმის დასკვნები სათანადოდ უნდა იქნას აღრიცხული, და ეს ინფორმაცია პატიმრის მოთხოვნისთანავე უნდა იქნას მისთვის წარდგენილი. ციხეებში სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალურობა ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში, და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა ექიმის პასუხისმგებლობაში უნდა შედიოდეს.

- ციხის ჯანდაცვის სერვისების წარმომადგენლებმა პერიოდულად უნდა აწარმოონ სტატისტიკური ანგარიშები პატიმრების დაზიანებების შემთხვევების თაობაზე, და ეს ანგარიშები წარუდგინონ ციხის ხელმძღვანელობას, შესაბამის სამინისტროებს, და შიდა და გარეშე მონიტორინგის ორგანოებს (კერძოდ, გამოძიებას, MCLA დანაყოფებს და ომბუდსმენს).

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 3 - უნარები

ტრენინგის ფარგლებში შესაძლოა საჭირო გახდეს კონკრეტული უნარების განვითარებაზე ყურადღების გამახვილება (მაგ. ანგარიშების მომზადება და გასაუბრების ტექნიკები). თუ ეს მიზანშეწონილად იქნება მიჩნეული, შეიძლება გამოყენებული იქნას CPT-ს მიერ მომზადებული შიდა დოკუმენტები და ანგარიშები, რომლებიც უკვე გასაჯაროებულია; იხილეთ: http://www.cpt.coe.int/en/workingdocs.htm .

სესიის განმავლობაში შეიძლება მონიტორინგის სფეროს ექსპერტის მიერ პრეზენტაცია გაკეთდეს (და კითხვა-პასუხის სესია დაემატოს) და მან თავისი პრაქტიკული გამოცდილება გაუზიაროს მონაწილეებს. ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა სფეროს ექსპერტების მოწვევა (მაგ. სამედიცინო, ან სასამართლო ექსპერტების), რომლებიც თავის გამოცდილება გაუზიარებენ მონაწილეებს.

NOTES

3.8 ადამიანის უფლებები და სამხედრო ძალის გამოყენება: ტრენინგი სამხედრო პერსონალისა და საჯარო მოხელეებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან შეიარაღებული კონფლიქტების მართვაზე

1. მიზანი

სამხედრო პერსონალის უფლებების დაცვა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ადამიანის უფლებების დაცვა წარმოადგენს შეიარაღებული კონფლიქტების პირობებში ადამიანის უფლებების დაცვის ორ განზომილებას. სამხედრო პერსონალს (ან პოლიციის ოფიცრებს) ასევე გააჩნიათ სიცოცხლის უფლება. ეს არ არის ტრენინგის მარტივი ასპექტი. ამასთან დაკავშირებით საჭიროა სტრასბურგის პრეცედენტული სამართლისა და საერთაშორისო სამართლის (მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის) ღრმა ცოდნა.

მოცემული თემის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. შესაბამისად, მოცემულ სფეროში ტრენინგის ჩატარებისთვის საჭიროა დიდი რაოდენობის საკონტაქტო საათების დათმობა. თუ ტრენინგს ატარებს გარეშე ორგანიზაციის ექსპერტი ადამიანის უფლებების საკითხებზე (განსაკუთრებით თუ ეს სამხედროებისთვის ორგანიზებული ტრენინგია), საჭიროა ორგანიზაციის საჭიროებების ფრთხილი შესწავლა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ორგანიზაციის საჭიროებების, ტრენინგის მონაწილის საჭიროებების და ტრენერის შესაძლებლობების და საჭიროებების ერთმანეთთან შეჯერება, და ტრენინგის რელევანტურობა. იმ გარემოს შესწავლა, რომელიც კონკრეტულ ორგანიზაციაში არსებობს, ტრენინგის საჭიროებებს ბევრად უფრო ნათლად დანახვას უწყობს ხელს. ტრენინგის მონაწილის საჭიროებები შეიძლება უფრო რთული შესაფასებელი იყოს იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის კოჰორტა ადამიანებისა, რომლებიც ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე მუშაობენ, და მათი უნარები და ცოდნის დონე ერთმანეთისგან განსხვავებულია.

ტრენერების წინაშე სხვა სახის გამოწვევებიც დგას. თუ ტრენინგს გარეშე ორგანიზაციის წარმომადგენელი ატარებს, უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ მონაწილეების მიერ ისინი აღიქმებიან როგორ პირები, რომლებსაც არ ესმით სამხედრო ორგანიზაციის საჭიროებები, ან კულტურა. ამგვარად, თუ ტრენინგს გარეშე ორგანიზაცია ატარებს, ასეთი ტრენინგი არასასურველად ან თავზე მოხვეულად იქნას მიჩნეული. ასევე, შეიძლება ორგანიზაციის ხელმძღვანელობა თითქოს ეთანხმებოდეს ტრენინგის შინაარსსა და ღირებულებებს, მაგრამ რეალურად არ იზიარებდეს მათ, და შესაბამისად, ტრენინგი არ იქნება სერიოზულად აღქმული.

მოცემულ სფეროში შეიძლება ტრენინგის მრავალი თემის იდენტიფიცირება. "სამხედროების უფლებების დაცვა" და „შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში ადამიანის უფლებების თვალსაზრისით არსებული ვითარება" არის თემები, რომლებიც ერთი და იმავე მონეტის ორ მხარეს წარმოადგენენ: ანუ, ეს ნიშნავს, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს პოტენციურად სასიკვდილო ძალის გამოყენებაზე (ან სასიკვდილო ძალის გამოყენებაზე), ზოგადად ძალის გამოყენებაზე, დაკავების უფლებამოსილებაზე, და ფუძემდებლური დემოკრატიული თავისუფლებების დაცვაზე. (ეს არ მოიცავს სამხედროების ადამიანის უფლებების დაცვის ასპექტებს: ანუ, სამხედრო მართლმსაჯულება და მე-6 მუხლით დადგენილი გარანტიები; სიტყვის თავისუფლებისა და გაერთიანების უფლება და სხვა. ნავარაუდევია, რომ ტრენინგი უნდა გასცდეს კურსის მონაწილეების საბაზისო საჭიროებებს).

გარდა ამისა, საჭიროა მონაწილეებისთვის ინფორმაციის მიწოდება იურისდიქციასთან დაკავშირებულ ასპექტებზე (რომლებიც ECHR-ის პირველი მუხლის მოთხოვნების შედეგად წარმოიქმნება), როდესაც საკითხი შეეხება ტერიტორიაზე დე ფაქტო კონტროლს. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი საკმაოდ რთულია.

2. მოცემული კურსის მიზანი და სწავლების მოსალოდნელი შედეგები

მოცემული საკითხის მოცულობის და მრავალფეროვნების გათვალისწინებით არ არის შესაძლებელი სწავლების მიზნების, ან მოსალოდნელი შედეგების მკაფიოდ ჩამოყალიბება.ეს ტრენინგ საჭიროებების ფრთხილი ანალიზის შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს.

სწავლების მოსალოდნელი შედეგები სავარაუდოდ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებაზე უნდა იყოს მიმართული. ასევე, საჭირო იქნება გარკვეული უნარების განვითარება (ოპერატიული დაგეგმვის, მოლაპარაკებების, ზეპირი კომუნიკაციის და სხვა), და ასევე შესაძლებელია ყურადღება გამახვილდეს დამოკიდებულებების გარდაქმნაზე (მაგ. ძალის გამოყენების საჭიროების მინიმალიზაციის, ან მრავალფეროვნების აღიარებისა და მიღების მიმართულებით მუშაობა).

3. შემოთავაზებული საკონტაქტო საათები და სასწავლო საათები

საჭიროა მოლაპარაკებების წარმოება და შეთანხმების მიღწევა გარეშე ორგანიზაციასთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, ტრენინგის მოცემული სფერო საკმაოდ მოცულობითი და რთულია. თუ დაშვება იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო მოხელეები უნდა ინფორმირებულები იყვნენ ამ საკითხზე, და იცოდნენ სტრასბურგის პრეცედენტული სამართალი, გადასაწყვეტია, ეს ტრენინგი უნდა იყოს, თუ უბრალოდ ცოდნის გადაცემა, რადგანაც მასალის ხასიათიდან გამომდინარე საჭიროა მოკლე ლექციების წაკითხვა და მცირე ჯგუფებში განხილვების ორგანიზება (კაზუსზე, ან სცენარზე დაყრდნობით). თუ ტრენინგი გამიზნულია იმ პირებისთვის, ვინც პასუხისმგებელია სასიკვდილო ძალის შესაძლებელ გამოყენებაზე, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სხვა ხასიათის საკითხებს (მაგ. მოლაპარაკებების უნარები, ოპერატიული დაგეგმვა და სხვა). გარდა ამისა, საჭიროა დამოკიდებულების ცვლილებაზე მუშაობა (მაგ. სასიკვდილო ძალისთვის მიმართვა მხოლოდ უკიდურესი საშუალების სახით, ან დაკავებული პირების მიმართ სათანადო მოპყრობა).

4. კურსის შინაარსი

მოცემული კურსის ფარგლებში სავარაუდოდ ყურადღება გამახვილდება ECHR-სა და შესაბამის პრეცედენტულ სამართალზე. როგორც აღინიშნა, საკმაოდ ბევრი და რთული საკითხები უნდა იქნას განხილული, კერძოდ:

- მუხლი 2, სიცოცხლის უფლება და პროცესუალური ასპექტები
- მუხლი 3 არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა სამხედრო სამსახურში
- მუხლი 5, თავისუფლებისადახელშეუხებლობისუფლება
- მუხლი 14, დისკრიმინაციის აკრძალვა და მე-12 ოქმის პირველი მუხლი (დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა)
- პირველი ოქმის მუხლი 1, საკუთრების დაცვა
- და სავარაუდოდ, საერთაშორისო კონტექსტში, მუხლი 1

მოკლედ რომ ვთქვათ, არსებული გამოწვევები განსაზღვრავენ ტრენინგის მოცვის სფეროს. ყველა თემები ერთი კურსით ვერ იქნება მოცული.

შედეგად, არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად მოცემულ სფეროში კურსის მონახაზის, ან ფასილიტატორის შენიშვნების შეთავაზება. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია იმ სფეროების იდენტიფიცირება, სადაც პრეცედენტული სამართალი არსებობს. ქვემოთ მოცემულია იმ ძირითადი საქმეების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენება ტრენერებს შეუძლიათ:

NOTES

.....

.....

.....

.....

ფასილიტატორის შენიშვნები: ECHR და სამხედრო სექტორი, და სამოქალაქო სექტორის პასუხისმგებლობა - სტრასბურგის საკვანძო პრეცედენტული სამართალი.

სახელმწიფოს ვალდებულებები სამხედრო სამსახურის ორგანიზების პროცესთან მიმართებაში:

მუხლი 9 - სავალდებულო სამხედრო სამსახური დაპირები, რომლებიც უარს ამბობენ სამხედრო სამსახურზე რელიგიური მრწამსის გამო

- Bayatyan v. Armenia (საჩივარი No. 23459/03)
- Ülke v Turkey (საჩივარი No. 39437/98)
- Taştan v Turkey (საჩივარი No. 6374/00)

მუხლი 2 და 3 - სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირებზე ზრუნვის ვალდებულება

- Chember v Russia (საჩივარი No. 7188/03)

მუხლი 8 - ჰომოსექსუალისტობა სამხედრო სამსახურში

- Smith and Grady v United Kingdom (საჩივარი Nos. 33985/96, 33986/96)

მუხლი 14 - გენდერული განსხვავებები სამხედრო სამსახურში

- Spöttl v Austria (საჩივარი No. 22956/93)
- Karlheinz Schmidt v Germany (საჩივარი No. 13580/88)

მუხლი 2 - სასიკვდილო ძალის გამოყენების გამოძიების ვალდებულება

- Al-Skeini and Others v United Kingdom (საჩივარი No. 55721/07)
- Jaloud v The Netherlands (საჩივარი No. 47708/08)

მუხლი 3 - პატიმრებისადმი მოპყრობა

- El-Masri v The Former Yugoslav Republic of Macedonia (App No. 39630/09)
- Nasr and Ghali v Italy (საჩივარი No. 44883/09)

მუხლი 5 - მტერი მეომრების დაკავება

- A and Others v the United Kingdom (საჩივარი no. 3455/05)
- Hassan v United Kingdom (საჩივარი No. 29750/09)

მუხლი 8 - დაზვერვა

- Roman Zakharov v Russia (საჩივარი No. 47143/06)

ურთიერთმიმართება ECHR-სა და სხვა საერთაშორისო სამართალს/შეიარაღებული კონფ-ლიქტების შესახებ სამართალს შორის

- Hassan v United Kingdom (საჩივარი No. 29750/09)

ECHR-ის გავრცელება კონფლიქტურ ზონებთან მიმართებაში

მუხლი 1 - ექსტრატერიტორიალური გავრცელება

- Bankovic and Others v Belgium and Others (საჩივარი No. 52207/99)
- Al-Skeini and Others v United Kingdom (საჩივარი No. 55721/07)
- Hassan v United Kingdom (საჩივარი No. 29750/09)
- Jaloud v The Netherlands (საჩივარი No. 47708/08)
- Smith v Ministry of Defence [2014] AC 52
- Al-Saadoon & Ors v Secretary of State for Defence [2015] EWHC 715 (Admin)
- Serdar Mohammed and Others v Secretary of State for Defence [2015] EWCA Civ 843
- Hirsi Jamaa and Others v Italy (საჩივარი No. 27765/09)

მუხლი 15 - ECHR-ის მოთხოვნებიდან გადახვევა

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საინფორმაციო პუბლიკაცია "საგანგებო ვითარებაში კონვენციის მოთხოვნებიდან გადახვევა".
- Lawless v Ireland (No. 3) (საჩივარი No. 332/57)
- Ireland v United Kingdom (საჩივარი No. 5310/71)
- A and Others v the United Kingdom (საჩივარი no. 3455/05)
- Hassan v United Kingdom (საჩივარი No. 29750/09)

NOTES

3.9 ქალთა უფლებები ეროვნულ კონტექსტში: შესავალი კურის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აღსრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელეებისთვის

1. მიზანი

უაღრესად მნიშვნელოვანია საჯარო ორგანიზაციების წარმომადგენლების (განსაკუთრებით, კი პოლიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოსამართლეებისა და პროკურორების) ცნობიერების ამაღლება ქალთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული სტრასბურგის პრეცედენტული სამართლის თაობაზე. დისკრიმინაციულმა დამოკიდებულებამ შეიძლება ზემოქმედება იქონიოს ქალებისთვის სერვისების მიწოდებაზე; გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ისეთი ფენომენის იგნორირება მოხდეს, როგორიცაა ოჯახური ძალადობა, ან ადამიანებით ვაჭრობა, მაშინ როდესაც ქალები განსაკუთრებით დაუცველები არიან ასეთი რისკებისგან.

კურსი შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც იყოს საინტერესო.

2. მოცემული კურსის მიზანი და სწავლების მოსალოდნელი შედეგები

მოცემული კურსის მიზანია ქალების ადამიანის უფლებების დარღვევების თაობაზე ცნობიერების ამაღლება. კურსი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ECHR-ის მოთხოვნების დარღვევაზე, მაგრამ გარდა ამისა, მასში ასევე ასახულია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციით დადგენილ სტანდარტებზე (CEDAW).

სწავლების მოსალოდნელი შედეგები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

კურსის დასრულებისკენ მონაწილეები შეძლებენ შემდეგს:

- ქალების ოჯახური და სხვა სახის ძალადობისგან დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფო მოხელეებზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების განმარტება
- ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის შემთხვევების ეფექტური გამოძიების ვალდებულების ჩამოყალიბება
- ECHR-ში ასახული დისკრიმინაციისგან დაცვის გარანტიების არსის გადმოცემა.
- ეროვნულ დონეზე ოჯახური ძალადობისა და ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებული პრობლემების მასშტაბის განხილვა.

3. შემოთავაზებული საკონტაქტო საათები და სასწავლო საათები

მოცემული კურსი ერთდღიანია (ანუ, ერთი სამსაათიანი სესია და ერთი ორსაათიანი სესია). მონაწილეები უნდა მოემზადონ მოცემული სემინარისთვის და ეროვნულ დონეზე საზოგადოებაში ქალების მიმართ ძალადობის დონესთან დაკავშირებული ასპექტები შეისწავლონ.
(იხილეთ ფასილიტატორის შენიშვნები 2).

4. კურსის მონახაზი

მოცემული კურსი შეიძლება ადაპტირებული იქნას სამიზნე აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით; შემოთავაზებულია კურსის შემდეგი მონახაზი:

სესია 1: საერთაშორისო კონტექსტი განხილვა: 30 წუთი

სესია 2: ძალადობის თვალსაზრისით არსებული ეროვნული კონტექსტიგანხილვა: 20 წუთი, და შემდეგ მცირე ჯგუფებში დისკუსია 40 წუთი

სესია 3: ECHR-ი და ოჯახური ძალადობა განხილვა: 20 წუთი, და შემდეგ მცირე ჯგუფებში დისკუსია 60 წუთი

სესია 4: დისკრიმინაცია და ECHR

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 1 - საერთაშორისო კონტექსტი

სესიის მიზანია მონაწილეების ცნობიერების ამაღლება საერთაშორისო სამართლის მიხედვით და მსოფლიოს სხვადასხვა კულტურებში ქალების როლისა და სტატუსის შესახებ. პრეზენტაციაში შემდეგი საკითხები უნდა იქნას მიმოხილული: (ა) იმის განხილვა, თუ რამდენად მოიაზრებიან ქალები მეორეხარისხოვან მოქალაქეებად ეროვნულ კანონმდებლობაში, კულტურასა და რელიგიაში; და (ბ) გაეროს CEDAW კომიტეტი.

განსახილველი თემების ჩამონათვალი საკმაოდ დიდია. პრეზენტაციაში ყველა საკითხი ვერ იქნება მოცული, მაგრამ ეს დაეხმარება კურსის მონაწილეებს გაეცნონ მსოფლიოში ქალების უფლებებთან დაკავშირებულ ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტს. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ქვეყანაში შეიძლება აღმოჩნდნენ არა-ევროპული წარმომავლობის ადამიანები, და საჯარო მოხელეებს უნდა ესმოდეთ, თუ რა კულტურიდან და კონტექსტიდან მოდიან ეს ადამიანები.

ევროპაში ადამიანების ტრეფიკინგის თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები არსებობს: იხილეთ GRETA-ს ვებგვერდი: http://www.coe.int/t/dghl/monitoring/trafficking/default_en.asp

პრეზენტაციის ბოლო ნაწილში ყურადღება უნდა გამახვილდეს ქალთამიმართყველაფორმისდისკრ იმინაციისაღკვეთისშესახებ გაერთიანებული ერების კონვენციასა (CEDAW) და კომიტეტზე; იხილეთ: https://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 2 – ეროვნული კონტექსტი

პირველი სესიის შემდეგ ყურადღება ეროვნულ კონტექსტზეა გამახვილებული. მოწვეულმა ექსპერტმა უნდა ისაუბროს ამ თემაზე ზოგად კონტექსტში, ხოლო მეორე ექსპერტმა ერთი კონკრეტული ასპექტი უნდა განიხილოს (მაგ. ოჯახური ძალადობა ან ადამიანებით ვაჭრობა). გარდა ამისა, შეიძლება სასარგებლო გამოდგეს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის (მათ შორის ევროპის საბჭოს) მიერ მომზადებული ანგარიშები.

პირველი ჯგუფური დისკუსიების განმავლობაში მონაწილეებმა უნდა განიხილონ პრეზენტაციის დროს წარდგენილი საკითხები, კერძოდ კი უნდა შეაფასონ, თუ რამდენად არის რეალურად არსებული სიტუაცია ასახული ოფიციალურ ანგარიშებში. შესაბამისად, კურსის მონაწილეებს უნდა სთხოვონ განიხილონ შემდეგი საკითხები: (ა) თავიანთი თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით რა გამოცდილება გააჩნიათ დისკრიმინაციის ან უთანასწორობის შემთხვევებთან შეხების თვალსაზრისით; (ბ) პრობლემები, რომლებიც უმცირესობებს ექმნებათ მოცემული თვალსაზრისით. ჯგუფებს ასევე შეიძლება ეთხოვოთ (გ) სტრატეგიების შემოთავაზება დისკრიმინაციის განმაპირობებელი მიზეზების

NOTES

აღმოფხვრის მიზნით. [მონაწილეებს შეიძლება სთხოვონ ამ საკითხებზე წინასწარ მომზადება.]

სესია ასევე მიზნად ისახავს მონაწილეების დამოკიდებულებების შეცვლას. მოცემულ თემაზე მუშაობა სათანადო სიფრთხილით უნდა მოხდეს.

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 3 - ECHR და ოჯახური და სხვა სახის ძალადობა

პირველი ნაწილი ეთმობა პრეზენტაციას, რომელშიც განხილული იქნება მოცემულ სფეროში არსებული პრეცედენტული სამართალი, რის შემდეგაც კაზუსები მცირე ჯგუფებში იქნება განხილული.

ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი ასპექტები, რომლებიც ჯგუფებში დისკუსიების დროს უნდა იქნას განხილული; განსახილველი სცენარები შეიძლება ქვემოთ მოცემულ საქმეებზე დაყრდნობით მომზადდეს და ადაპტირებული უნდა იქნას არსებული ეროვნული კონტექსტისა და გარემოებების გათვალისწინებით.

ოჯახური ძალადობა

დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმის სახით ქალების მიმართ ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით იხილეთ: http://hub.coe.int/en/web/coe-portal/event-files/our-events/25-november-domestic-violence?dynLink=true&layoutId=217&dlgroupId=10226&fromArticleId=

- ხელისუფლებას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ოჯახური ძალადობის პრობლემის აღკვეთის თვალსაზრისით, და გარკვეულ გარემოებებში ხელისფლების მხრიდან იმ პირების დასაცავად ქმედითი ზომების გაუტარებლობა, რომლებიც ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობის რისკს ექვემდებარებიან, შეიძლება მიჩნეული იქნას კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად(ხოლო იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლის მოსპობასთან, ასევე კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევად). როდესაც ძალადობა გენდერული ნიშნითაა განპირობებული, შეიძლება ასევე კონვენციის მე-14 მუხლი ამოქმედდეს. საქმეზე ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v Turkey (2009)), სახელისუფლებო ორგანოები ინფორმირებული იყვნენ მომჩივანის მეუღლის მიერ მის და დედამისის წინააღმდეგ მიმართული სერიოზული ძალადობისა და მუქარის ინციდენტების თაობაზე, მაგრამ მიიჩნიეს, რომ ეს ოჯახის შიდა საქმე იყო, და მხოლოდ ძალადობის ერთ ინციდენტთან დაკავშირებით მოხდა მისი სისხლის სამართლებრივი წესით დევნა მანამდე, სანამ მომჩივანის დედა მისმა მეუღლემ მოკლა. ქალების არაერთგზისი თხოვნა დახმარების გაწევის თაობაზე უყურადღებოდ იქნა დატოვებული. მეუღლე მსჯავრდებული იქნა, მაგრამ განაჩენის გასაჩივრების მოლოდინში იგი გაათავისუფლეს, რის შემდეგაც ქალმა კვლავ მიმართა რამდენჯერმე სახელისუფლებო ორგანოებს დახმარების გაწევის თხოვნით, რასაც კვლავაც არ მოჰყოლია რეაგირება, მანამდე, სანამ მომჩივანმა სტრასბურგის სასამართლოს არ მიმართა. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მომჩივანის მიმართ მე-2 მუხლის დარღვევას, რადგანაც სასიკვდილო თავდასხმა არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ განჭვრეტადიც იყო მოძალადის მიერ მანამდე ჩადენილი ქმედებების გათვალისწინებით. ხელისუფლების რეაგირება მომჩივანის საჩივრებზე აშკარად არაადეკვატური იყო: მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წარმოება შეწყვეტილი იქნა იმის გამო, რომ საჩივრები გაწვეული იქნა, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ რაც უფრო მაღალი იყო მომავალში

დანაშაულის ჩადენის რისკი უფრო სავარაუდოიყო, რომ პროკურატურა გააგრძელებდა საჯარო ინტერესიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქმის გარემოებებზე დაყრდნობით დადგინდა მე-14-ე მუხლის მე-2-ე და მე-3-ე მუხლებთან ერთობლიობაში დარღვევა, და სასამართლომ აღნიშნა რომ სახელმწიფოების უმეტესობის მიერ აღიარებული საერთაშორისო სამართლის შესაბამისი წესების და პრინციპების მიხედვით, სახელმწიფოს უუნარობა – განუზრახველიც კი – დაიცვას ქალები ოჯახში ძალადობის განარღვევს მათ უფლებას ისარგებლონ კანონის დაცვის თანაბარი მექანიზმებით. თურქეთში არსებული ზოგადი და დისკრიმინაციული სასამართლო ინერტულობა ოჯახური ძალადობისთვის ხელსაყრელ კლიმატს ქმნიდა, ძალადობა გენდერულ საფუძველზე ხორციელდებოდა, და შედეგად იწვევდა ქალების მიმართ დისკრიმინაციას. (ასევე იხილეთ პარაგრაფები 132 და 149: 'ოჯახური ძალადობა შეიძლება სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული, მათ შორის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფორმით ... რაც ზოგადად წარმოადგენს მთელი რიგი წევრი სახელმწიფოს წინაშე მდგომ პრობლემას, რომელიც ხშირად არ არის გამოვლენილი, რადგანაც ხშირად ასეთ ძალადობას პირად ურთიერთობებსა და დახურულ წრეებში აქვს ადგილი, და მხოლოდ ქალები არ არიან ძალადობის მსხვერპლი; მოცემულ საქმეზე სასამართლომ დაასკვნა, რომ „ეროვნულმა ხელისუფლებამ არ გაატარა ქმედითი ზომები და არ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება დაეცვა მომჩივანის დედის სიცოცხლის უფლება".)

- ოპუზის საქმეზე გადაწყვეტილება ასახავს გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ კონვენციის კომიტეტის პოზიციას, რომელიც გადმოცემულია მის ზოგად რეკომენდაციაში no 19, რომლის შესაბამისადაც „გენდერული ძალადობა წარმოადგენს დისკრიმინაციის ფორმას, რომელიც სერიოზულად ზღუდავს ქალების მიერ თავიანთი უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას მამაკაცებთან თანასწორ საფუძველზე, და შესაბამისად, იკრძალება CEDAW-ს პირველი მუხლით; ასევე კომიტეტმა თურქეთში არსებული მდგომარეობის ამსახველ თავის მეოთხე და მეხუთე ანგარიშში კვლავ ხაზი გაუსვა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის ოჯახური ძალადობა, დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს (CEDAW/C/TUR/4–5 და Corr.1, 2005 წლის 15 თებერვალი, პარ. 28).

- ოპუზის საქმეზე გადაწყვეტილებაში ასევე ასახულია CEDAW-ს კომიტეტის გადაწყვეტილებები, მოცემული კომუნიკაციაში 2/2003, AT v Hungary (2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებები) და 6/2005, Fatma Yýldýrým v Austria (2007 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება). ასევე იხილეთ Kontrová v Slovakia, (2007წლის 31 მაისი), პარაგრაფები 46–55 (პოლიციის მიერ სათანადო ზომების გაუტარებლობა მომჩივანის შვილების დასაცავად, მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია ინფორმირებული იყო მისი მეუღლის ძალადობრივი ქცევის შედეგად არსებული საფრთხის თაობაზე).

- ასევე იხილეთ ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (CETS 210) (2011)) [სტამბოლის კონვენცია], მუხლი 5(2): 'მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო და სხვა ქმედითი ზომები რათა უზრუნველყონ არა-სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი პირების მიერ კონვენციით მოცული ძალადობის აქტების სათანადო პრევენცია, გამოძიება და

NOTES

.....

.....

.....

.....

დასჯა. მე-3 მუხლის შესაბამისად, ქალების მიმართ ძალადობა წარმოადგენს „ადამიანის უფლებების დარღვევას და ქალთა მიმართ დისკრიმინაციას, და მოიცავს გენდერულ საფუძველზე ჩადენილ ძალადობის ყველა იმ აქტს, რომელსაც შედეგად მოაქვს ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანი და ტანჯვა, მათ შორის მუქარას ასეთი აქტების ჩადენისა, ძალდატანებას, ან თავისუფლების თვითნებურ ხელყოფას, იქნება ეს საზოგადოებაში, თუ პირად ცხოვრებაში". „ოჯახური ძალადობა ნიშნავს ყველა ფიზიკურ, სქესობრივ, ფსიქოლოგიურ თუ ეკონომიკურ ძალადობას, რაც ხდება ოჯახურ წრეში ან ყოფილ და ამჟამინდელ მეუღლეებსა ან პარტნიორებს შორის, იმის მიუხედავად დამნაშავე იზიარებს, ან იზიარებდა თ არა საცხოვრებელს მსხვერპლთან". ხოლო „გენდერი ნიშნავს სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას ან მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება მიიჩნევს ქალის ან მამაკაცის მახასიათებლად". ქალების წინააღმდეგ გენდერულ საფუძველზე ჩადენილი ძალადობა ნიშნავს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას, რადგან ის ქალია, ან იმას, რაც გავლენას ახდენს ქალებზე არათანაზომიერად". ქალში ასევე იგულისხმება გოგონები 18 წლის ასაკის ქვემოთ. ევროპის საბჭოს სტანდარტების განმსაზღვრელი დამატებითი დოკუმენტები იხილეთ: მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2002) 5 ქალების ძალადობისგან დაცვის შესახებ.

- გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ადამიანის უფლებების კომისიისთვის ქალების წინააღმდეგ ძალადობის შესახებ (E/CN.4/2006/61), რომელშიც აღნიშნულია, რომ საერთაშორისო სამართლით სახელმწიფოებს ვალდებულება ეკისრებათ „უზრუნველყონ სათანადო რეაგირება ქალების მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით".

სხვა საკვანძო საქმეები:

- *MC v Bulgaria* (2003), ეროვნული კანონმდებლობით გაუპატიურების ეროვნული კანონმდებლობით დეფინიცია ჯერ კიდევ ეყრდნობოდა იმ პრინციპს, რომ მოცემული ქმედება ფიზიკურ ფიზიკური ძალის გამოყენებას გულისხმობს. სასამართლოს აზრით მოცემული განმარტება არ შეესაბამებოდა შედარებითი და საერთაშორისო სამართლის თანამედროვე სტანდარტებს. ამჟამად არსებული მოთხოვნების შესაბამისად ქალების მიმართ როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ძალადობა სისხლის სამართლის დანაშაულად უნდა იყოს კვალიფიცირებული და შესაბამისი სასჯელი უნდა იყოს გათვალისწინებული.
- *Kontrová v Slovakia (2007)* (ხელისუფლების მიერ მამის მხრიდან ოჯახური ძალადობის ფაქტების ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღკვეთის ვალდებულების შეუსრულებლობა, რის შედეგადაც მამამ საბოლოოდ თავისი შვილები მოკლა და თავი მოიკლა: მიჩნეული იქნა დარღვევად რადგანაც პოლიციამ არ მოახდინა ოჯახისთვის არსებული საფრთხის პრევენცია);
- *Branko Tomašić and Others v Croatia(2009)* (სათანადო ზომების გაუტარებლობა დედის და ბავშვის სიცოცხლის დაცვისთვის ბავშვის მამისგან, რომელიც მანამდე მსჯავრდებული იყო დედის და ბავშვის მოკვლის მუქარისთვის: დარღვევა);

ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

- ამჟამად ევროპის სახელმწიფოების უმეტესობაში ტრეფიკინგი, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, და ეს ქვეყნები წარმოადგენენ ტრეფიკინგის თვალსაზრისით წარმომავლობის, ტრანზიტის ან საბოლოო დანიშნულების ადგილს. ნათელია კოორდინირებული ზომების გატარების აუცილებლობა საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე. ევროპის საბჭომ და ევროკავშირმა ქმედითი ზომები უნდა გაატარონ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

- მე-4 მუხლის მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში მდგომარეობს იმაში, რომ იგი ადგენს სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყონ ეროვნული კანონმდებლობით პირების სხვა კერძო პირების მხრიდან ექსპლუატაციისგან ეფექტური დაცვა. მე-4 მუხლი რამდენიმე არსებით და პროცესუალურ ვალდებულებას ადგენს: საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს დანერგვა იძულებითი შრომის, მომსახურებისა და მონობის აკრძალვისა და ამ ქმედებების სათანადო დასჯის მიზნით; ამ კანონმდებლობის აღსრულება დაზარალებულების დაცვის მიზნით და ეფექტური გამოძიების ჩატარება „როდესაც ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდება ექსპლუატაციის შესაძლებელი შემთხვევების თაობაზე“.

- ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს 2000 წელს მირებული კონვენციის ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ ადგენს შემდეგს (პალერმოს ოქმი): „ტრეფიკინგი“ ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით.“მსგავსი ინტერპეტაციაა ასახული ევროპის საბჭოს კონვენციაში ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ (CETS 197 (2005)). პალერმოს ოქმის მუხლი4, პარაგრაფი 3(ა) ასევე დამატებით ადგენს, რომ „ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმ, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას“. თუ გამოყენებულია მე-3 მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება, ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლის თანხმობას აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მის წინასწარ განზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს“- მუხლი 3 (ბ). ამგვარად, დეფინიცია სამ ელემენტს შეიცავს: ქმედებები, საშუალებები და მიზანი (მიაქციეთ ყურადღება, რომ 18 წლამდე ასაკის პირების შემთხვევაში მხოლოდ მოქმედებებს და მიზანსა აქვს მნიშვნელობა). მოცემული დეფინიცია სხვების მიმართ ექსპლუატაციის ფორმების ფართო წრეს მოიცავს, მათ შორის იძულებით ქორწინებას“.

NOTES

- ევროპის საბჭოს სტანდარტები ასახულია ევროპის საბჭოს კონვენციაში ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ქმედებების შესახებ (CETS 197 (2005)). ასევე იხილეთ ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ (ლანსაროტის კონვენცია). ევროკავშირის დონეზე, ამსტერდამის ხელშეკრულების 29-ე მუხლში პირველად გაკეთდა კონკრეტული მინიშნება ადამიანებით ვაჭრობასა და ბავშვთა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე. დამატებითი ზომებია ასახული ევროპის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებაში 2002, და ევროპის საბჭოს 2004 წლის დირექტივაში (2004/81/EC მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის გაცემულ ცხოვრების ნებართვაზე, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლები არიან). და დირექტივა 2011/36/EU) ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისადა მსხვერპლთა დაცვის შესახებ. ამჟამად უკვე არსებობს ევროკავშირის ტრეფიკინგთან ბრძოლის კოორდინატორი. ასევე იხილეთ: http://ec.europa.eu/anti-trafficking.

KEY

- *Siliadin v France* (2005) (მომჩივანი 15 წლის იყო, როდესაც საფრანგეთში ჩამოვიდა საფრანგეთის მოქალაქესთან ერთად, რომელიც მას დაპირდა საიმიგრაციო სტატუსისთვის საჭირო დოკუმენტების მიღებასა და განათლებაში დახმარების გაწევას ოჯახში უსასყიდლოდ მუშაობის სანაცვლოდ, მაგრამ შემდეგ გოგონა „ათხოვა“ სხვა წყვილს, რომელიც აიძულებდა მომჩივანს ემუშავა დღეში 15 საათი დაახლოებით 4 წლის განმავლობაში, სანამ წყვილის წინააღმდეგ სისხლისსამართლის წარმოება არ იქნა წამოწყებული. საბოლოოდ, წყვილი გამართლებული იქნა, და სასამართლომ მათ მხოლოდ კომპენსაციის გადახდა დააკისრა მომჩივანის მისი ნების წინააღმდეგ დაკავების გამო, რადგანაც იგი არასრულწლოვანი იყო და საფრანგეთში უკანონოდ იმყოფებოდა და ეშინოდა, რომ პოლიცია მას დააკავებდა; ქმედება კვალიფიცირებული იქნა როგორც იძულებით შრომა, და მიუხედავად იმისა, რომ ვერ დადგინდა, რომ მომჩივანი მონობაში იყო ამ ცნების ტრადიციული გაგებით, რადგანაც წყვილს არ ჰყავდა მომჩივანი მფლობელობაში, დაუცველობისა და იზოლაციის გამო, რომელშიც მომჩივანი აღმოჩნდა, და ასევე იძულებითი შრომისა და გადაადგილების თავისუფლების უქონლობის გამო სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი მსახურებაში ჰყავდათ).

- *Rantsev v Cyprus and Russia* (2010): (რუსი ქალის გარდაცვალება გაურკვეველ გარემოებებში, მას შემდეგ რაც კვიპროსში მრავალსართულიანი სახლის ფანჯრიდან გადმოვარდა, სადაც იგი მოცეკვავედ სამუშაოდ წავიდა შესაბამისი ვიზის საფუძველზე; ზემოთხსენებული შემთხვევა მოხდა ერთი საათის მოგვიანებით, როდესაც პოლიციამ გამოკითხა კაბარეს მფლობელი, სადაც იგი მანამდე მუშაობდა, და რომელმაც მიაკითხა რუს ქალს პოლიციის განყოფილებაში, სადაც იგი დაკავებული ჰყავდათ, რადგანაც მან გაქცევა სცადა, რის შემდეგაც პატრონმა ქალი წაიყვანა თავის სახლში; საქმე განხილული იქნა იმ ანგარიშების გათვალისწინებით, სადაც საუბარია კვიპროსში ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევებზე, მატი კომერციულ სექს მუშაკებად ექსპლუატაციის მიზნით, და :კაბარეს მოცეკვავის“ ვიზების შესახებ, რომლებიც

ხელს უწყობენ ადამიანებით ვაჭრობას. ორივე სახელმწიფოს ხელისუფლებამ არ უზრუნველ-ყო სათანადო ადმინისტრაციული და სამართლებრივი ჩარჩოს მიღება ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისმიზნითდა პოლიციამ არ დაივა ქალი მიუხედავად იმისა, რომ გონივრული ეჭვი არსებობდა იმის შესახებ, რომ იგი შეიძლება ტრეფიკინგის მსხვერპლი ყოფილიყო, ხოლო რუსეთის ხელისუფლებამ არ გამოიძია ქალის დაქირავებაზე პასუხისმგებელი პირები). სასამართლომ აღნიშნა შემდეგი:

- მისი ბუნებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ტრეფიკინგი ეფუძნება საკუთრების უფლებისგან გამომდინარე ძალაუფლებას. იგი ეპყრობოდა ადამიანებს როგორც შესასყიდ და გასაყიდ, იძულებითი შრომისთვის განკუთვნილ საგნებს, მცირედი ანაზღაურები ფასად ან მის გარეშე, ძირითადად სექსინდუსტრიაში თუმცა არა მარტო აქ. იგი გულისხმობს მსხვერპლის ქმედებების მჭიდრო მეთვალყურეობას, რომლებიც მძიმე პირობებში ცხოვრობენ და მუშაობენ. ტრეფიკინგი წარმოადგენს მონებით ვაჭრობის უძველესი პრაქტიკის თანამედროვე ფორმას“.

ეფექტური გამოძიება

- ოჯახური ძალადობის შესაძლებელი დისკრიმინაციული ასპექტების გამოძიების ვალდებულება წარმოადგენს არა შედეგის, არამედ საშუალების ვალდებულებას, რაც მდგომარეობს იმ გარემოებების ეფექტური გამოძიების ვალდებულებას, რომლებიც მიანიშნებენ, რომ პირი შეიძლება ისეთ ქმედებებს დაექვემდებარა, რომლებიც მე-2, მე-3 ან მე-4 მუხლის ფარგლებში ხვდებიან. გამოძიება იმ ორგანოებისგან დამოუკიდებელმა ორგანომ უნდა ჩაატაროს, რომლებიც ამ ქმედებაში შეიძლება ყოფილიყო ჩართული, და გამოძიებამ უნდა უზრუნველყოს დამნაშავეების გამოვლენა და დასჯა, თუ დადგინდება, რომ ადგილი ჰქონდა პირის გარდაცვალებას, არასათანადო მოპყრობას, იძულებთ შრომას ან მსახურების იძულებას. გამოძიება უნდა იყოს დროული, მაგრამ ასევე საჭიროა გადაუდებელი ზომების გატარება დაზარალებულის იმ ვითარებიდან გამოყვანის მიზნით, რომელიც შეიძლება მისთვის საფრთხის შემცველი იყოს. ადამიანებით ვაჭრობასთან მიმართებაში ეს შეიძლება გულისხმობდეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე პასუხისმგებელი ორი ან მეტი ქვეყნის სტრუქტურების ვალდებულებას.

- კურსის მონაწილეები უნდა გაეცნონ სტრასბურგის სასამართლოს მოთხოვნებს: კერძოდ, რომ გამოძიებამ ეფექტურობის ძირითადი კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს (დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; ადეკვატურობა, დროულობა; დაზარალებულის საკმარისი ჩართულობა, და საზოგადოების მხრიდან კონტროლი); გამოძიება უნდა იყოს კოორდინირებული, ექვემდებარებოდეს კონტროლს(წარმოების შეწყვეტის ან დასრულების, ასევე უარის თქმის შემთხვევაში, დგება გადაწყვეტილების სასამართლო წესით გადასინჯვის ვალდებულება, ან სამართალწარმოების წამოწყების ვალდებულება სისხლის სამართლის სარჩელის წარდგენის გზით, თუ ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს); გამოძიება მიზნად უნდა ისახავდეს არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრას.

NOTES

საკვანძო საქმეები

Opuz v Turkey; და Rantsev v Cyprus and Russia, იხილეთ ზემოთ.

ფასილიტატორის შენიშვნები: სესია 4 - დისკრიმინაცია

მოცემული სესია მიზნად ისახავს მონაწილეების ცოდნის ამაღლებას

(ა) ECHR-ით დისკრიმინაციის მიმართ დადგენილი ზოგადი მიდგომების თაობაზე;

(ბ) გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის კონკრეტული ასპექტების შესახებ. სესია იწყება შესავალი ნაწილით, რის შემდეგაც საკვანძო საქმეები იქნება განხილული (ადაპტირებული ეროვნულ კონ-ტექსტზე მორგებით). სესია დასრულდება პლენარული ნაწილით და ინფორმაციული უკუგებით (20 წუთი).

კურსის მონაწილეები უნდა გაეცნონ შემდეგ ძირითად დეფინიციებს: პირდაპირი დისკრიმინაცია, ირიბი დისკრიმინაცია; ვიქტიმიზაცია და დევნა (იხილეთ Interrights-ის დისკრიმინაციის აკრძალვა საერთაშორისო სამართლის მიხედვით: http://www.interights.org/handbook/index.html/).

- დისკრიმინაციის აკრძალვის შემცველი დებულებები ასახულია ECHR-ის სამ მუხლში: მუხლი 14, მე-7 ოქმის მუხლი 5, რომლის შესაბამისადაც „მეუღლეებისარგებლობენკერძოსამართლე ბრივიხასიათისთანაბარიუფლებებითადამოვალეობებითერთმანეთსშორისდაშვილებთანურთ იერთობაში, დაქორწინებისდროს, ქორწინებისგანმავლობაშიდამისიშეწყვეტისშემთხვევაში“; და მე-12 ოქმის პირველი მუხლი, რომელიც 2005 წელს შევიდა ძალაში და დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას შეიცავს.

- მე-14 მუხლი: „მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა ობიექტური და გონივრული საფუძვლის უქონლობისას ... სასამართლოს შესაბამისად ზოგადი პოლიტიკა ან ზომა, რომელიც არათანაზომიერად უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფზე, შეიძლება მიჩნეული იქნას დისკრიმინაციულ ზომად მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იყო მიმართული კონკრეტულად ამ ჯგუფის წინააღმდეგ, და რომ დისკრიმინაცია, რომელიც კონვენციის მოთხოვნებთან მოდის წინააღმდეგობაში, შეიძლება დე ფაქტო ვითარებით იყოს გამოწვეული“. ზოგადად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ მე-14 მუხლის დარღვევის შესახებ წარდგენილი საცივრის განხილვას, თუ უკვე დადგინდა, რომ ძირითადი გარანტიების დარღვევა იმავე საფუძველზე მოხდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც „საქმე არსებითად შეეხება კონკრეტული უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით არათანასწორ მოპყრობას“. პირს არა აქვს უფლება უარი თქვას თავის უფლებაზე არ დაექვემდებაროს დისკრიმინაციას.

- მე-14 მუხლი ერთობლიობაში უნდა იქნას განხილული რომელიმე სხვა გარანტიასთან, ან გარანტიებთან, რომლებიც ასახულია კონვენციის 2-12 მუხლებში, ან რომელიმე ოქმში.

- „არსებითად ანალოგიური“ ვითარების არსებობისას, თუ გარემოებები კონვენციით დაცული უფლების ფარგლებში ხვდება, და ამ ორ შემთხვევაში პირებისადმი განსხვავებულ მოპყრობას ჰქონდა ადგილი, მე-14 მუხლის გავრცელების საკითხი გადაწყდება ამ ორი ვითარების მსგავსების შესახებ ფაქტორების გათვალისწინებით. ეს კონკრეტული პირები შეიძლება არსებითად მსგავს ვითარებაში ყოფილიყვნენ. თუ ანალოგიური ვითარება არ გამოიკვეთება, მე-14 მუხლი შეიძლება არ გავრცელდეს.

- აკრძალული საფუძვლები: თუ არსებითად ანალოგიურ ვითარებაში სხვადასხვა პირებისადმი მოპყრობა განსხვავებულია, შემდეგი შეკითხვა მდგომარეობს იმაში, განსხვავებული მოპყრობა ხვდება თუ არა მე-14 მუხლის გავრცელების სფეროში. აკრძალული საფუძვლების ჩამონათვალი განისაზღვრება ფრაზით „განურჩევლად ისეთი ნიშნით დისკრიმინაციისა, როგორიცაა...“, და ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, არამედ მაგალითის სახითაა მოყვანილი. მომჩივანმა უნდა დაამტკიცოს, რომ განსხვავებული მოპყრობა განპირობებულია პიროვნული მახასიათებლით ან მდგომარეობით. აკრძალულ საფუძვლებს მიეკუთვნება: სექსუალური ორიენტაცია, ოჯახური მდგომარეობა და სხვა. აღსანიშნავია, რომ „ქონებრივი მდგომარეობა“ არ არის დაკავშირებული თანდაყოლილ თვისებასთან, და არ არის განუყოფლად დაკავშირებული პირის იდენტობასთან ან პიროვნულ თვისებებთან (მაგ. სქესი, რასობრივი თუ რელიგიური კუთვნილება).

- განსხვავებული მოპყრობის აუცილებლობის დასაბუთება; თუ ანალოგიურ ვითარებებში სხვადასხვა პირებისადმი განსხვავებულ მოპყრობას ჰქონდა ადგილი, რაც კონვენციით დაცული უფლების ფარგლებში ხვდება,და მე-14 მუხლით დაცული საფუძველით ხორ-ციელდება, მაშინ უნდა დაისვას შეკითხვა, თუ რამდენად „ობიექტური და გონივრული“ დასაბუთება გააჩნია ასეთ განსხვავებულ მოპყრობას. განსხვავებული მოპყრობა ყოველთვის არ მოიაზრება დისკრიმინაციად: ხელისუფლება „ხშირად აწყდება ისეთ ვითარებებს და პრობლემებს, როდესაც განსხვავებული გარემოებების გამო აუცილებელი ხდება განსხვავებული სამართლებრივი გამოსავალის ძებნა: გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ გარკვეული სამართლებრივი უთანასწორობა შეიძლება რეალურად არსებული უთანასწორობის აღმოფხვრას ემსახურებოდეს“. განსხვავებული მოპყრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება დისკრიმინაციული, თუ იგი არ ემსახურება კანონიერ მიზანს, ან „თუ არ არსებობს „გონივრული ურთიერთმიმართება ან თანაზომიერება გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის“. ძალიან წონიანი მიზეზები უნდა დასახელდეს იმისთვის, რომ ისეთი ნიშნით განსხვავებული მოპყრობა, როგორიცაა ეთნიკური კუთვნილება, ეროვნება, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, გამართლებულად იქნას მიჩნეული.

- იმის მტკიცების ტვირთი, რომ მომჩივანი მსგავს ვითარებაში მყოფი სხვა პირისგან განსხვავებულ მოპყრობას დაექვემდებარა, თავად მომჩივანს ეკისრება. ამგვარად, შემდეგ სახელმწიფომ უნდა მოიყვანოს ობიექტური და გონივრული დასაბუთება იმისა, თუ რატომ დაექვემდებარა პირი განსხვავებულ მოპყრობას.

NOTES

- მე-14 მუხლი არ შემოიფარგლება მხოლოდ პირდაპირი დისკრიმინაციით: იგი ასევე ირიბ დისკრიმინაციაზეც ვრცელდება. მე-14 მუხლი ასევე ადგენს ვალდებულებას, რომლის შესაბამისადაც არსებითად განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი მოპყრობა განსხვავებული უნდა იყოს.

- ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. მან აღნიშნა, რომ უაღრესად წონიანი მიზეზები უნდა იქნას დასახელებული კონვენციის ორგანოების წინაშე, რომ მიჩნეული იქნას, რომ განსხვავებული მოპყრობა მხოლოდ გენდერული ნიშნით თავსებადია კონვენციის მოთხოვნებთან. მოცემული მიდგომა უდევს საფუძვლად სასამართლოს პრეცედენტულ სამართალსაც.

საკვანძო საქმეები

- *Burghartz v Switzerland* (1994), სასამართლომ დაადგინა, რომ შვეიცარიის კანონმდებლობა უშვებდა ქალის მიერ მეუღლის გვარზე თავისი ქალიშვილობის გვარის დართვას, მაგრამ კრძალავდა ქმრის მიერ იმავე გვარით სარგებლობას, რასაც არ გააჩნდა ობიექტური ან გონივრული საფუძველი, და შესაბამისად, წარმოადგენდა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას, რაც შეუთავსებელია მე-8 და მე-14 მუხლებთან.

- *Karlheinz Schmidt v Germany* (1994), სასამართლომ განიხილა გერმანიის კანონი, რომელიც მამაკაცებს ავალდებულებდა, და არა ქალებს სახანძრო სამსახურში მსახურობას და ფინანსური შენატანების განხორციელებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ იმის გამო, რომ მოხალისეების საკმაოდ დიდი რაოდენობა არსებობდა, პრაქტიკაში არ არსებობდა მამაკაცების ამ სამსახურში გაწვევის აუცილებლობა, და ფინანსური შენატანების განხორციელება უნდა ყოფილიყო ერთადერთი ვალდებულება. ასეთი ფინანსური ტვირთის დაკისრების შემთხვევაში გენდერული ნიშნით განსხვავებული მოპყრობა არ იყო გამართლებული. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მე-14 მუხლის დარღვევას ერთობლიობაში მე-4 მუხლის მე-3 პარაგრაფთან.

- დისკრიმინაცია ასევე შეიძლება დე-ფაქტო ვითარებიდან წარმოიქმნას, როგორც საქმეზე *Zarb Adami v Malta* (2006), რომელთან დაკავშირებითაც სასამართლომ მსგავსი დარღვევა აღმოაჩინა, როდესაც მიიჩნია, რომ არ არის გამართლებული ნაფიც მსაჯულებად მამაკაცთა და ქალთა მოწვევის თვალსაზრისით არსებული პროცენტული თანაფარდობა.

- *Van Raalte v Netherlands* (1997), მომჩივანი იყო დაუქორწინებელი მამაკაცი, რომელსაც არ ჰყავდა შვილები. იგი ჩიოდა, რომ კანონი, რომელიც 45 წელზე ზემოთ უშვილო ქალებს ათავისუფლებდა სოციალური შენატანებისგან ბავშვთა სოციალური დახმარების ფონდში, არ ათავისუფლებდა მამაკაცებს იგივე ვალდებულებისგან, რაც დისკრიმინაციული იყო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ

სახელმწიფოებს მიხედულების გარკვეული თავისუფლება გააჩნიათ ასეთი შენატანებისგან გათავისუფლების თვალსაზრისით, მე-14 მუხლი მოითხოვს, რომ ასეთი ზომები „თანაბრად გავრცელდეს როგორც კაცებზე, ასევე ქალებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკმარისი დასაბუთება არის წარდგენილი ამ ზომების განსხვავებული წესით დაკისრების აუცილებლობის თაობაზე“. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი გამამართლებელი მიზეზები არარსებობდა, და დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა მე-14 მუხლის დარღვევას ერთობლიობაში პირველი ოქმის პირველ მუხლთან.

- *Schuler-Zgraggen v Switzerland* (1993), საქმე შეეხებოდა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც სასამართლომ უარი უთხრა მომჩივანს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შემწეობაზე. მომჩივანის აზრით მის მიმართ ადგილი ჰქონდა მე-14 მუხლის დარღვევას ერთობლიობაში მე-6 მუხლთან, რადგანაც სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება იმაზე დააფუძნა, რომ გათხოვილი ქალები უარს ამბობენ თავიანთ სამსახურზე, როდესაც მათ პირველი შვილი შეეძინათ. სასამართლომ დაუშვა ვარაუდი, რომ მომჩივანი ასევე უარს იტყოდა თავის სამსახურზე მაშინაც კი, თუ მას არ ექნებოდა ჯანმრთელობის პრობლემები. მომჩივანის აზით ის რომ მამაკაცი ყოფილიყო, სასამართლო არ გააკეთებდა ასეთ დაშვებას, რაც ისედაც წინააღმდეგობაში მოდიოდა რამდენიმე სამეცნიერო კვლევის შედეგებთან. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული დაშვება გადაწყვეტილების ერთადერთი საფუძველი იყო, და დაასკვნა, რომ მხოლოდ გენდერული ნიშნით განსხვავებული მოპყრობა მიუღებელი იყო.

- *Stec and Others v United Kingdom* (2006)დიდმა პალატამ დაადგინა, რომ საწარმოო ტრავმის შემწეობის მოცულობაში ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავება კანონიერ მიზანს ისახავდა, და ობიექტურად და გონივრულად დასაბუთებული იყო. ეს სხვაობა გამოწვეული იყო საპენსიო ასაკს შორის სხვაობით, და მიზნად ისახავდა ქალების ეკონომიკურად არაუპირატესი მდგომარეობის გამოსწორებას, რადგანაც ისინი ტრადიციულად ოჯახში ეწეოდნენ უსასყიდლო შრომას.

- *Sahin v Germany and in Sommerfeld v Germany* (2003), დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ ბავშვების ნახვის უფლების მოპოვების შესახებ განცხადებებისადმი განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვების მამები დაურეგისტრირებელ ურთიერთობებში თანაცხოვრობდნენ ბავშვის დედასთან, და მეორეს მხრივ ქორწინებაში დაბადებული ბავშვების მშობლების შემთხვევაში, წარმოადგენდა მე-14 მუხლის დარღვევას ერთობლიობაში მე-8 მუხლთან. ასეთი განსხვავებული მოპყრობა, როდესაც პირველ შემთხვევაში მშობელს უნდა ჰქონოდა მშობელს ბავშვის ნახვის უფლება, თუ დადგინდებოდა, რომ ამას კეთილისმყოფელი გავლენა ექნებოდა ბავშვის კეთილდღეობაზე, არ იყო დასაბუთებული საფუძვლიანი მიზეზებით.

NOTES

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრიცაა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE